ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

სამშაბათი, 5 თებერვალი, 2013 №29 (6030) ფასი: 30 თეთრი

5 თებერვლიდან!
„ახალი თაობა“ +
სერია „დიდი ქართველები“
პატრიარქი
ანტონ II
ფასი გაზეთთან ერთად 3 ლარი




# „მითხრეს, თუ დანაშაულს არ აღიარებ, შვილს საკანში მოგისვამთ და მის წამებას გაყურებინებთო“ გვ.2

## ყოფილი პატიმარი სერგი თეთრაძის წამების დეტალებს იხსენებს




გვ.4

## დავით ბაქრაძე: „სააკაშვილი მთავრობის დათხოვნას არ აპირებს“

რას ითხოვენ ნაციონალები საკონსტიტუციო ცვლილებების მხარდაჭერის სანაცვლოდ





## ფიქრია ჩიხრაძე: გვ.5 „გია ხუხაშვილმა ზურაბ ადეიშვილი ჩაანაცვლა“

## ლაშა ჩხარტიშვილი: „დარიალჰესი ისე უნდა აშენდეს, რომ თერგი არ გაქრეს“ გვ.2



## მამუკა გიორგაძე: „უგულავასა და გვ.6 მერაბიშვილის დაპატიმრება პრობლემა არ არის“





## მამუკა არეშიძე: გვ.3 „ხალხი ნაციონალებს მხარს აღარ დაუჭერს“

„ქართულ ოცნებაში“ აგენტები მრავლად არიან



## ყოფილი პოლიტპატიმრები საქმეების გასაჯაროებას ითხოვენ გვ.6

მაგთი MAGTI

მაგთიკომი MAGTICOM

## ირაკლი ლომჯანიძე: „მაგთიკომი“ იყო და რჩება უპირობო ლიდერად კავშირგაბმულობის სფეროში

გვ. 5

## თამაზ ვაშაკიძე პოლიტდევნილის სტატუსს ითხოვს გვ.4

ვინ აუნაზღაურებს მას მორალურ ზარალს



## გურამ შარაძის საქმეში ახალი მოწმე გამოჩნდა

გურამ შარაძის მკვლელობის საქმეში ახალი მოწმე გამოჩნდა. ინფორმაციას ამის შესახებ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია ავრცელებს.

მოწმის ვინაობა ჯერ არ სახელდება და მის შესახებ ადვოკატთა ასოციაციის ოფისში დღეს გამართულ პრესკონფერენციაზე გახდება ცნობილი.

პრესკონფერენციას აკადემიკოს გურამ შარაძის ოჯახის ადვოკატი ირაკლი გაბრიჩიძე, ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე ზაზა ხატიაშვილი და ადვოკატი გელა ნიკოლაიშვილი გამართავენ.

ნიუსპრესი

9 771987 938006

7 რა განსხვავებაა სააკაშვილის საგარეო პოლიტიკასა და ივანიშვილის პოლიტიკას შორის

11 მკვლელობა ყოფითი პრობლემების გამო

7 ზაზა წერეთელი: „ქართველებს პასუხისმგებლობის ალღება არ გვიყვარს“

10 ვინ მიიღებს რუსთაველისა და ეროვნულ პრემიებს?

# ლაშა ჩხარტიშვილი: „დარიალჰესი ისე უნდა აშენდეს, რომ თერგი არ გაქრეს“

**იმედია, „ქართული ოცნება“ საკუთარ პროგრამას არ დაარღვევს და საქართველოში დიდი ჰესები მშენებლობას აღარ გააგრძელებს**

გულიკო ბალაძე

### ინტერვიუ „გრიმფისის ჯგუფის“ წევრ ლაშა ჩხარტიშვილთან

***— ბატონო ლაშა, თქვენი შეფასებით, რა მემკვიდრეობა და პრობლემები დატოვა ნაციონალურმა მოძრაობამ ქვეყანაში გარემოს დაცვის კუთხით?***

— სამწუხაროდ, ედუარდ შევარდნაძის პერიოდიდან მოყოლებული მძიმე ვითარებაა, რამაც კატასტროფამდე მიიყვანა საქართველოში გარემოს დაცვა. სააკაშვილმა ღიად და დეკლარირებულად დაიწყო გარემოს განადგურება. მათ ჰქონდათ ასეთი თეზა: ჯერ ეკონომიკა, შემდეგ ეკოლოგია, რაც მცდარი თეზაა. ამბობდნენ, რომ მომხმარებელი თავად აფასებს პროდუქციას, რაც ასევე არ არის სწორი მიდგომა. კახა ბენდუქიძე, მიხეილ სააკაშვილი და მათი გარემოცვის წარმომადგენლები (ლევან რამიშვილი და ნაცმოძრაობა) ცდილობდნენ გაემართლებინათ ულტრალიბერტარიანული მიდგომა. გარემოს განადგურების ხარჯზე. იცვლებოდა კანონმდებლობა, იცვლებოდა საკანონმდებლო აქტები. ბევრი მათგანი, საერთოდ, გაქრა, უმრავლესობა კი — ფორმალობად გადაიქცა ისევე, როგორც თავად გარემოს დაცვის სამინისტრო. შესაბამისად, მოვლენებმა კატასტროფული სახე მიიღო — მთელ საქართველოში დაიწყო ტყის განადგურების, ნიადაგის ეროზირების თუ ბიომრავალფეროვნების სხვადასხვა კომპონენტების მოსპობის პროცესი. კანონმდებლობაში შედიოდა არნახული ცინიკური ჩანაწერები. როგორიც იყო, მაგალითად, რომ თურმე საქართველოში, ველურ ბუნებაში შეიძლება წითელ წიგნში შეტანილი, განადგურების პირას მისულ სახეობებზე ნადირობის დაშვება, ლიცენზიების გაცემა ფულისა და ქრთამის სანაცვლოდ. თუნდაც გავიხსენოთ, ეკონომიკის მინისტრის მიერ თავისი თავისთვის მიწისძვრის ბალიანობის მაჩვენებლის ერთეულებში განსაზღვრის უფლებამოსილების მინიჭება.

***— ასეთი რამეც იყო?***

— დიახ, მიწისძვრების საშუალო მაჩვენებელს ეკონომიკის მინისტრი განსაზღვრავდა ყოველგვარი გამოთვლებისა და მეთოდიკის მითითების გარეშე. მას შეეძლო ერთპიროვნულად ეთქვა, რომ ამა თუ იმ რეგიონში, ვთქვათ, ხევსურეთში, მოხდებოდა მხოლოდ და მხოლოდ 8 ბალიანი ან 6 ბალიანი მიწისძვრა. ამის დადგენას სერიოზული კვლევები სჭირდება და ვერც ერთი მინისტრი ან ცალკეული პიროვნება, ამას ვერ გააკეთებს.

***— ეს რაღაში სჭირდებოდათ?***

— ეს სჭირდებოდათ საიმისოდ, რომ სხვადასხვა პროექტების განხორციელება და ინვესტორებთან მსჯელობა, მათ შორის, ფინანსებზე, დაეწყოთ იაფ პროექტებზე. საბოლოო ჯამში, ჩვენ გვენახა არა მხოლოდ თბილისის აეროპორტის სახურავი ჰაერში, წყალწაღებული ხიდი ანაკლაში, არამედ მალე შეიძლება გვენახა ჩამოშლილი ხუდონჰესი, ან რომელიმე სხვა გიგანტური ნაგებობა, რომელიც, იმედია, აღარ აშენდება. იმედია, „ქართული ოცნება“ საკუთარ პროგრამას არ დაარღვევს და საქართველოში დიდი ჰესები მშენებლობას აღარ გააგრძელებს. პროგრამის თანახმად, დიდი ჰესები საქართველოში აღარ უნდა აშენდეს. თუმცა, მცირე ჰესებიც ისეთი პროექტებით შენდებოდა, რომ ისინი შეცვლას საჭიროებენ. მაგალითად, დარიალჰესის შემთხვევაში თერგის გაქრობაზეა საუბარი. იმედი მაქვს, ჰესი ისე აშენდება, რომ თერგი არ გაქრება, ისევე, როგორც ფარავანი.

კულმინაცია იყო 2012 წლის 20 მარტი, როცა საქართველოს გარემოს დაცვის კანონში შევიდა ცვლილება, სადაც შავით თეთრზე ეწერა (როგორც სააკაშვილი იტყოდა, პირველად მსოფლიო ისტორიაში), რომ შეიძლებოდა სახელმწიფოს გაეყიდა მასობრივი მკვლელობის ლიცენზია. სხვა არაფერი არ შეიძლება დაერქვას იმ კანონს, რომელშიც საუბარი იყო იმაზე, რომ ერთი მხრივ, კერძო პირს, ან კომპანიას თუ ფიზიკურ პირსა და, მეორე მხრივ, ენერგეტიკის სამინისტროს, ანუ სახელმწიფოს წარმომადგენელ ორგანოს შორის, შეიძლებოდა დადებულიყო შეთანხმება, რომლის საფუძველზეც კერძო პირს ან კომპანიას მიეცემოდა უფლებამოსილება, დაერღვია საქართველოში მოქმედი ბუნების დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მართვის ყველა ნორმა და სათანადოდ პასუხი არ ეგოთ, რადგან გარემოს განადგურებაში ფული გადახდილი ჰქონდა. გარემოს დაცვის კანონმდებლობაში შედის ყოველივე, რაც გარემოს ეხება. შეიძლება კომპანიას, საწარმოს მოეწამლა მდინარე, მასობრივად დაეწვა ტყე, მეწყრები გამოეწვია, რადიაციული ნარჩენების ნაგავსაყრელი მოეწყო და ყოველი დარღვევა შეიძლებოდა გამხდარიყო ლეგალური. ასეთი ხელშეკრულების დადება, რეალურად, ვერ მოასწრეს, მაგრამ კანონით ეს შესაძლებელი იყო. აღნიშნული კანონი მალე უნდა გაუქმდეს.



***— ანუ სააკაშვილმა და ნაციონალებმა ქვეყანა, ფაქტობრივად, თავიანთი მოხმარების საგნად აქციეს.***

— რეალურად, სააკაშვილი და მისი რეჟიმი საქართველოს ექცეოდა ისე, როგორც განვითარებული პარაზიტები სოციალურ გარემოს. მე ბიოლოგი ვარ, ამ კუთხით წლების განმავლობაში ვმუშაობდი. სპეციალობით ეკოლოგი გახლავარ. ძალიან კარგად ვიცი პარაზიტოლოგია და პარაზიტები. პირობითად, პარაზიტები ორ ჯგუფად იყოფიან. მიხეილ სააკაშვილი საქართველოს განუვითარებელი პარაზიტივით ექცეოდა. განვითარებული პარაზიტი ცდილობს, რაც შეიძლება მეტი ხნის განმავლობაში შეინარჩუნოს ცოცხალი ორგანიზმი, რომელიც პარაზიტისთვის არის მასპინძელი, რათა თავადაც არ დაიღუპოს. ამიტომ ცდილობს მოერგოს მასპინძელ ორგანიზმს და თვითონაც რაც შეიძლება დიდხანს მიიღოს სარგებელი მისგან. მიხეილ სააკაშვილი საქართველოს ისე ექცეოდა, როგორც განუვითარებელი, ერთუჯრედიანი პარაზიტი და დაღუპვამდე მიიყვანა საქართველოს მართლაც უნიკალური მემკვიდრეობა, რომელიც არანაკლებ კრეატიულია, ვიდრე საქართველოს სულიერი მემკვიდრეობა. უკვე ვნახეთ, ბაგრატს როგორ მოექცნენ, რომელიც იუნესკოს ნუსხაშია შეტანილი.

***— თუმცა, ბაგრატთან დაკავშირებით სააკაშვილი და ნაციონალები თავს იქებენ, კარგი გავაკეთეთო.***

— მათ თავის საქები არაფერი აქვთ. ბაგრატი, სამწუხაროდ, მალე იუნესკოს სიაში აღარ იქნება. ასევე ბევრი ძეგლის გადარჩენისთვის ბრძოლა გვიწევს, რომლის გადარჩენისთვის სააკაშვილმა არაფერი გააკეთა. ასევე უნდა ვიზრუნოთ ჩვენს ბუნებრივ მემკვიდრეობაზე, რომ არ დავკარგოთ. საქართველო გამორჩეულია თავისი ლანდშაფტური ბიომრავალფეროვნებით. შესაბამისად, კონტროლიც ამითაა გამოწვეული და მისი განადგურების მაღალი ალბათობაც. გარემოს დაცვით ჩვენ ვიცავთ, ერთი მხრივ, საკუთარი ადამიანების საარსებო გარემოს, მეორე მხრივ კი — ჩვენს კუთვნილ მემკვიდრეობას, რომელიც მსოფლიო საგანძურის მნიშვნელოვანი მარგალიტია. ამასთანავე ჩვენ ვიცავთ საქართველოს ეკონომიკურ დამოუკიდებლობისა და განვითარების საფუძვლებს.

***— ძველი ხელისუფლების მიერ გარემოზე მიყენებული ზიანი, ალბათ, საბოლოოდ არ დადგენილა და არ შეფასებულა. პასუხი არ უნდა მოეთხოვოთ მათ გარემოზე მიყენებული ზიანისათვის?***

— ჩემი ღრმა რწმენით, სააკაშვილს და ნაციონალებს პასუხი ყველა დანაშაულისთვის უნდა მოეთხოვოთ. მით უმეტეს, ისეთ სულიერ თუ მატერიალურ ფასეულობაზე, როგორიცაა, ბუნება. თანაც, საქართველოს მრავალფეროვანი ბუნების ბიო და ლანდშაფტური მემკვიდრეობის გამო. მათი განადგურების, მათი მნიშვნელოვანი ნაწილის დაზიანებისათვის, საქართველოს ტყეების განადგურების გამო, რა თქმა უნდა, მათ პასუხი უნდა მოეთხოვოთ არა მარტო ქვემო ქართლში, არამედ საქართველოს მნიშვნელოვან ნაწილში. სადაც კი გამოიკვეთა სააკაშვილისა და მისი ხელისუფლების წარმომადგენლების დანაშაულის კვალი, პასუხი უნდა მოეთხოვოთ იმიტომ, რომ მათ მიაყენეს ზიანი საქართველოს ბუნებას, ადამიანების საცხოვრისს. ეს არის მასობრივი მკვლელობის ტოლფასი. მათ პასუხი უნდა აგონ, თუნდაც იმისთვის, რომ შემდგომმა ხელისუფლებამ არ გაბედოს მსგავსი მოქმედება. მით უმეტეს, საკუთარი ჯიბის ზრუნვას არ შესწიროს ადამიანების სიცოცხლე და ჯანმრთელობა.

***— მე მოვისმინე საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის განცხადება, თერგთან დაკავშირებით. რამდენადაც მახსოვს, მან განაცხადა, რომ იქ ყველაფერი კარგად კეთდება.***

— მე ასეთი განცხადება არ მომისმენია. არა მგონია, რომელიმე მეტნაკლებად ადეკვატურმა პიროვნებამ ნორმალურად ჩათვალოს თერგის დაშრობა. თუ თერგი აღარ იქნება, აღარ ირბენს და აღარ იღრიალებს, საქართველო აღარ იქნება ის საქართველო და ჩვენც აღარ ვიქნებით.

***— მგონი განაცხადა, რომ იქ პრობლემები გვარდება.***

— არ ვიცი, რას გულისხმობდა პრობლემის მოგვარებაში, არ მომისმენია, მაგრამ ფაქტი ერთია, თერგზე კაშხლის მშენებლობა იმ სახით, როგორადაც იყო დაგეგმილი, შეუძლებელია. გამოსავალია წყლის მოხმარების, ხარჯვის მინიმუმამდე დაყვანა.

***— თქვენ ხელმძღვანელობდით გარემოს დაცვის კუთხით „ქართული ოცნების“ პროგრამის შემუშავებას. დღეს როგორ ხდება მისი განხორციელება?***

— პროგრამა უნდა შესრულდეს. არის გარკვეული ხარვეზებიც, წინააღმდეგობებიც. ჩვენ გვქონდა შეხვედრა გარემოს დაცვის მინისტრთან, ჩვენი შენიშვნებიც გამოვთქვით. მთლიანობაში ჩანდა, რომ გარემოს დაცვის სამინისტროს მხრიდან არის მზაობა შენიშვნები გათვალისწინებული იყოს. ვნახოთ, დრო გვიჩვენებს. იმედია, მინისტრი თავს გაართმევს თავის გუნდთან ერთად.

***— რა შეუშლის ხელს, რომ არ გაითვალისწინოს?***

— პროგრამა არის პოლიტიკური ვალდებულება და პოლიტიკურ ვალდებულებას შესრულება უნდა. იმედი მინდა დავიტოვო, რომ შესრულდება.

# მიშა გეფერიძე: „მითხრეს, თუ დანაშაულს არ აღიარებ, შვილს საკანში მოგისვამთ და მის წამებას გაყურებინებთო“

**ყოფილი პატიმარი სერგი თეთრაძის წამების დეტალებს იხსენებს**

მიშა გეფერიძე ერთ-ერთია იმ ყოფილ პატიმართა შორის, რომელმაც მასზე დაკისრებული სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა სრულად მოიხადა და დღეს, პოლიტპატიმრის სტატუსის მოსაპოვებლად იბრძვის. ნინო ბურჯანაძის ოჯახის ყოფილი მძღოლი, 2010 წლის პირველ ივნისს, სამართალდამცველებისთვის ფიზიკური შეურაცყოფის მიყენების ბრალდებით დააკავეს და ერთწლიანი პატიმრობა მიუსაჯეს. გეფერიძემ სასჯელი სრულად მოიხადა.



რა პირობებში აღიარა ბრალი პატიმარმა და რა სახის ზეწოლას განიცდიდა ის საპყრობილეში, ამის შესახებ გეფერიძე „ნიუსპრესს“ თავად უყვება:

***— ბატონო მიშა რა ვითარებაში მოხდა თქვენი დაკავება ?***

— სანამ დაკავების დეტალებზე გადავიდოდე, მინდა ვთქვა, რომ მე 26 მაისს, მიტინგზე საერთოდ არ ვყოფილვარ, ვიყავი ბურჯანაძის ოჯახში. ჩემი დაკავება კი პირველ ივნისს მოხდა. დილით, მეუღლესთან ერთად სახლიდან გამოვედი, ორი ადამიანი დავინახე და მაშინვე მივხვდი, რომ ეს ადამიანები მე მითვალთვალებდნენ. აფთიაქში შევედი, იქვე გავიარ-გამოვიარე, რადგან ვიცი, რომ იქ ვიდეოკამერებია და იქედან გამომდინარე, რომ ჩემს მეგობრებს წინა დღეებში უმიზეზოდ აკავებდნენ, მეც თუ დამაკავებდნენ მინდოდა, რომ ამ პროცესის ამსახველი ვიდეომასალა ყოფილიყო. მოკლედ, ვიარე აქეთ-იქით სპეციალურად ვიდეო კამერებთან, მაგრამ იქ არ დამაკავეს.

შემდეგ, მე და ჩემმა მეუღლემ გავაჩერეთ ტაქსი, ჩავჯექით და საბურთალოს მიმართულებით წავედით. ვხედავდით როგორ მოგვყვებოდა უკან მათი მანქანა. გაგარინის მოედანზე ტაქსი გაგვაჩერებინეს, თავიანთ მანქანაში გადამსვეს და წამიყვანეს. განყოფილებაში მისვლამდე, „ვისოლის“ ბენზინგასამართ სადგურთან გააჩერეს მანქანა და იქვე დამიწყეს დაკითხვა, თუ სად ვიმყოფებოდი 26 მაისს, რას ვაკეთებდი იმ პერიოდში და ასე შემდეგ. როცა დარწმუნდნენ, რომ მე არ ვყოფილვარ მიტინგზე, დაიწყეს გადარეკვები, — სად წავიყვანოთ, რა ვუყოთო — ეკითხებოდნენ ვიღაცეებს. საათნახევრის შემდეგ მიიღეს რაღაც დავალება და დიღმის განყოფილებაში მიმიყვანეს.

***— თუ განგიმარტეს რა იყო დაკავების ოფიციალური მიზეზი?***

— ამაზე არაფერს მეუბნებოდნენ. განყოფილებაში რომ მივედით, იქ ადგილობრივმა თანამშრომლებმა წინასწარ შედგენილი ფურცლების დასტა მომიტანეს სადაც ეწერა, რომ თითქოს მე ვიდექი ქუჩაში, უმისამართოდ ვიგინებოდი და ვიყავი აგრესიული. მერე თითქოს მოვიდნენ პოლიციელები ჩემს დასამშვიდებლად და მე მათ ტანსაცმელი შემოვახიე. რა თქმა უნდა ეს იყო აბსურდული ბრალდება. ამ დროს მოვიდა ვიღაც პოლიციელი და იქ მყოფებს სერიოზული ჩხუბი დაუწყო, იმის შესახებ, რატომ აქამდე არ ვიცოდი, თუ ჩემს უბანში ნინო ბურჯანაძის მძღოლი ცხოვრობდაო. ამის გამო, დანარჩენ პოლიციელებს უგინებელი არავინ და არაფერი არ დაუტოვა. მერე გამიყვანეს უკანა ოთახში და მივხვდი, რომ პოლიციის შენობები არც ისე გამჭვირვალეა როგორც ეს გარედან ჩანს. დამიწყეს ვითომ დაკითხვა. მეუბნებოდნენ ჯობია აღიარო, ხომ იცი მოწმეებსაც ვიშოვით და ბრალის დამტკიცების პრობლემა არ იქნებაო, გავაფორმოთ წინასწარი ორთვიანი და დროებით ჩამოგაშორებთ სიტუაციასო. ვეუბნებოდი მე არაფერს არ დავწერ რადგან არავინ მიცემია მეთქი.

***— მოიყვანეს თუ არა მართლა მოწმეები რომლებმაც რომ თქვენი მხრიდან ფიზიკური ძალის გამოყენება დაადასტურეს და თუ გახსოვთ მათი ვინაობა?***

— დიახ მოიყვანეს. ესენი იყვნენ პოლიციელები — ზურაბ ნარიმანიძე და გულადი კვირიკაძე. ამის შემდეგ „კაპეზეში“, გადამიყვანეს, მესამე დღეს კი ორთვიანი წინასწარი პატიმრობა მომისაჯეს და გლდანში წამიყვანეს. ხოლო იქ როგორ დახვედრებს უწყობდნენ პატიმრებს, ეს ყველამ იცის. პერმანენტულ ფიზიკურ და მორა-

გაგრძელება მე-3 გვერდზე

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# მამუკა არეშიძე: „ხალხი ნაციონალებს მხარს აღარ დაუჭერს“

## „ქართულ ოცნებაში“ აგენტები მრავლად არიან

ნონა ცაბაძე

### ინტერვიუ ექსპერტ მამუკა არეშიძესთან

***— ბატონო მამუკა, დაპირისპირება და ურთიერთბრალდებები ქართულ ოცნებაში თანდათან უფრო ღრმავდება, როგორ ფიქრობთ, რამდენად არის ახლა ამის დრო?***

— ამის დრო ნამდვილად არ არის, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს არის დამახასიათებელი ყველა ცოცხალი ორგანიზმისთვის, მათ შორის პოლიტიკური პარტიისთვის. მაგის დრო არ არის-მეთქი რომ ვამბობ, არ მინდა, რომ ასე იყოს, მაგრამ, სამწუხაროდ, ასეა და შუბი ხალთაში არ იმალება. ძალიან ხშირად, განსაკუთრებით რეგიონების დონეზე, ჩვენ ვხედავთ ძალიან მძაფრ დაპირისპირებას. ეს ხდება რამდენიმე რეგიონში, ზოგან არის შიდა დაპირისპირება, ზოგან არის დაპირისპირება ძველსა და ახალ ხელისუფლებას შორის. მიუხედავად იმისა, რომ ქართული ოცნების მთავარი შტაბი ცდილობს, თავისი მომხრეები როგორღაც მოთოკოს, ზოგ შემთხვევაში კონტროლიდან გამოდის სიტუაცია ისე, როგორც მარტვილში იყო, მაგალითად და ზოგიერთ სხვა ადგილას. ზოგან ხალხი შიმშილობს, როგორც რუსთავში დაიწყეს შიმშილობა და რა ვიცი, უამრავი ასეთი რამ ხდება. ზოგ შემთხვევაში ეს არის მართული პროცესები, როგორიც იყო აბაშის შემთხვევაში.

***— რამდენად არის მართლა ჩანერგილი აგენტები, როგორც ამას ოცნების ხელმძღვანელობა აცხადებს?***

— კი არის, როგორ არ არის. როცა მე ამას ვლაპარაკობდი, მაგალითად გარდაბანთან მიმართებაში, მაშინ ჩვენს პარტნიორებს ეს არ სჯეროდათ, რომ იქ უამრავი აგენტი იყო და რამდენიმე ადამიანი, რომლებსაც ისინი ნორმალურად ღებულობდნენ, სინამდვილეში იყვნენ შემოგზავნილი ადამიანები. ზოგ შემთხვევაში მე თვითონ არ მჯეროდა, რომ ესა თუ ის ადამიანი აგენტი ყოფილიყო. სამწუხაროდ, ასეთი შემთხვევები ხშირი იყო და ასეა დღემდე. აი, ეს არეულობა მოითხოვს ძალიან მკაცრ კონტროლს და სერიოზული გადაწყვეტილებების მთელ წყებას. ახლა მაგალითად იმის გამო, რაც ხდება გარდაბანში, ცენტრალურმა შტაბმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ ჩემი კანდიდატურაც დაეყენებინა გარდაბნის რაიონის პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელად და გაიმართება კონფერენცია ზუსტად ამ თემაზე იმისთვის, რომ ასეთი ვნებათაღელვა ჩაცხრეს. მე ობიექტურად უნდა გითხრათ, რომ იმ ადამიანების ერთი ნაწილი, რომლებიც დღეს თავს იკლავენ, რომ არიქა, მე უნდა ვიყო ქართული ოცნების აქტივისტიო, საერთოდ არ მინახავს არჩევნების დროს. რომ ჰკითხო, სად იყავითო, ჩუმად ვმუშაობდითო. ამ ჩუმად მუშაობამ გადამრია, რამდენ ხანს შეიძლება ილაპარაკო ერთი და იგივე სისულელე. იცით, მართლა ვიცი ადამიანები, რომლებიც ჩუმად მუშაობდნენ და სხვათა შორის, ძალიან ნაყოფიერად, მაგრამ ეს ადამიანები ძირითადად იყვნენ დასაქმებულები სახელმწიფო სტრუქტურებში, განსაკუთრებით ძალოვან სტუქტურებში და გასაგები იყო, რატომ მუშაობდნენ ჩუმად. იყო მეორე კატეგორიაც, რომელსაც ახლობლები ჰყავდა დაპატიმრებული და ამის გამო იძულებული იყო, ჩუმად ემუშავა. ბიზნესს წამართმევდნენ და ამის გამო ჩუმად ვმუშაობდიო, ეს არის ნონსენსი. ამის გამო ამ ადამიანების არ მჯერა და რა ვქნა. ამიტომ არ ვიღებ მე ასეთ არგუმენტებს.

***— რამდენად არის იმის საშიშროება, რომ სიტუაცია კრიზისამდე მივიდეს?***

— არა, კრიზისამდე ალბათ არ მივა სიტუაცია. კრიზისული სიტუაციის შემთხვევაში, როდესაც პარტიის წევრები ერთმანეთს უპირისპირდებიან, ასეთი რამე ყველგან ხდება. ადამიანებს, რომლებიც ამას აკეთებენ, აუცილებლად თავში აქვთ ის, რომ ისინი მაინც ერთი პარტიის წარმომადგენლები არიან. აქედან გამომდინარე, რაღაც მომენტში ჩნდება ბუნებრივი ბარიერი, რომლის გადალახვას არც ერთი მხარე არ აპირებს. ეს უფრო მეტად არის დემონსტრირება იმისი, რომ ჩვენც ვიყავით და ჩვენც შეგვიძლია, ვიდრე იმისი, რომ არ მინდა და წავედი. არც ერთი ადამიანი, რომლებიც შიდა დაპირისპირების ფორმატში არიან მოქცეული, არ ამბობს იმას, რომ მე ვწერ განცხადებას და გავდივარ ქართული ოცნებიდან. ყველა იძახის, რომ მეც ქართული ოცნების წევრი ვარ. რუსთავის შემთხვევაში მართლა ვიცი ის პიროვნება, რომელიც გარიცხეს პარტიიდან, ნამდვილად იყო სათავეში ქართული ოცნებისა და ვაჟკაცურად მუშაობდა, რაც შეეძლო. დღეს უკვე ირკვევა, რომ ეს ადამიანი არ სჭირდება მავანს და ამის გაკეთება არ შეიძლება.

***— ამაში თუ ხედავთ საფრთხეებს?***

— საფრთხეები, რასაკვირველია არის ნიჰილიზმისა და იმედგაცრუების. მე პარტიის ხელმძღვანელობას მოვუწოდებ, უჩემოდაც ძალიან კარგად იციან, მაგრამ მაინც ვამბობ, რომ უფრო დაკვირვებით მიუდგნენ ასეთ საკითხებს და უფრო ფაქიზად მოვეკიდოთ იმ ადამიანებს, რომლებიც თავიდანვე იდგნენ სათავეებთან ქართული ოცნების. შეიძლება ზოგ რეგიონში ხელმძღვანელი არ ვარგოდა, მაგრამ არ იყო სხვა არავინ, სხვას არავის სჭირდებოდა და ვერავინ ბედავდა თავის თავზე აეღო ეს მძიმე ტვირთი. ახლა, როდესაც ჩაიარა ყველაფერმა, სხვა ადამიანები გამოჩნდნენ და ისინი ვაჟკაცებად გრძნობენ თავს. ხოლო ის ადამიანები, რომლებიც სუსტები იყვნენ, როგორც ლიდერები, არ ნიშნავს იმას, რომ ისინი უნდა მოისროლო. ამ შემთხვევაში ჩვენი პარტნიორი პოლიტიკური პარტიებიდან ავიღოთ მაგალითი, იგივე რესპუბლიკელებისაგან. არაერთხელ მსმენია მათი ხელმძღვანელობისაგან, რომ ამა და ამ რაიონში სუსტი ლიდერები გვყავს ადგილობრივი ორგანიზაციების, მაგრამ ისინი იყვნენ ჩვენთან, როდესაც უჭირდა რესპუბლიკურ პარტიას და აქედან გამომდინარე, მათი შრომა უნდა დაფასდეს. ამიტომაც არავინ არ ეხება მათ და ისევ ისე არიან, როგორც იყვნენ თავიდანვე ამ რაიონულ ორგანიზაციაში.



***— რამდენად უმტკივნეულოდ და მარტივად მოსაგვარებელი პრობლემებია?***

— შეიძლება, რომ დაპირისპირებული ადამიანები დაიბარო, განუმარტო სიტუაცია და აუხსნა, რომ ამ ეტაპზე ესე სჯობს და აქედან გამომდინარე შენ არავინ გწევს გვერდზე, შენ შენი ფუნქცია გექნება. არსებობს სხვადასხვა მექანიზმი ამისა, რომ ეს ადამიანები უკმაყოფილონი არ დარჩნენ და ხელოვნური დაძაბულობა არ შეიქმნას ამ თუ იმ რაიონში მტრის გასახარად. ამას აკვირდებიან სხვებიც და აგერ ზოგიერთი დეპუტატი ნაციონალური მოძრაობიდან თავის თავს უფლებას აძლევს, რომ ამ თემაზე ფეისბუქის გვერდზე იმასხარაოს და იმხიარულოს. თითქოს მაგათი აქტივისტები და მაგათი რაიონული ორგანიზაციის წევრები ჯგუფ-ჯგუფად არ გადმოდიოდნენ ქართულ ოცნებაში და ვითომ მაგათი ორგანიზაციის წევრები არ იყვნენ ისინი, ვინც თავისი პარტია, ნაციონალური მოძრაობა გაყიდა. მაგრამ ახლა სალაპარაკო მიეცათ და რატომ უნდა მისცე სალაპარაკო?!

***— რაც შეეხება ნაციონალურ მოძრაობას, რას ფიქრობთ ვანო მერაბიშვილის განცხადებებთან დაკავშირებით? როგორ გაიგეთ თქვენ მისი ნათქვამი, ჩვენ ამ ხელისუფლებას ოთხი წელი ვერ დაველოდებითო... რა უნდათ, რას აპირებენ?***

— მე პოლიტიკურ ნათქვამად მივიჩნიე ეს. პოლიტიცოსმა ამდაგვარი რაღაცა უნდა თქვას, რომ აი, ჩვენ ისე მაგრები ვართ, ისე გავძლიერდით, მოხდა პარტიის რებრენდიგი, შეიცვალა პარტიის სახე, ჩვენ ახლა შეგვიძლია ვაწარმოოთ ნორმალური პოლიტიკური პროცესი, დამნაშავეებისგან გავიწმინდეთ და ახლა გაჩვენებთ სეირს... ბუნებრივია, შეუძლია ამის თქმა, მაგრამ გააჩნია, შენ როგორ მიიღებ ამას და როგორ მზად დახვდები. ისეთი ნათქვამია — მოვდივარ და თუ ბიჭი ხარ, დამხვდიო. რაც შეეხება იმას, თუ რეალურად რა ძალები აქვს, მე ყოველთვის ვამბობდი, რომ ამათ არა აქვთ ამომრჩევლის რესურსი, ხალხის რესურსი. ყოველთვის ვამბობდი, თუ არ შეასრულა ქართულმა ოცნებამ თავისი დაპირებები, ბუნებრივია, ხალხი განუდგება ქართულ ოცნებას, მაგრამ ნაციონალების მხარეს არ დაიჭერს არასდროს. ქართული ოცნების მიერ დაშვებული ყველა შეცდომა, ხალხის იმედგაცრუებაზე იქნება ორიენტირებული და ეს იმას არ ნიშნავს, რომ ისინი ნაციონალურ მოძრაობას დაუჭერენ მხარს. რაც უნდა გააკეთოს ნაციონალურმა მოძრაობამ, დღეს ხალხის განწყობას ვერ შემოაბრუნებს. აი, ასეა და რომ გითხრათ მერაბიშვილის ამ განცხადებას განსაკუთრებული ყურადღება მივაქციე და არიქა, რაღაცა უბედურება გვჭირს-მეთქი, არა. მე სხვა რამის შიში მაქვს უბრალოდ.

***— რას გულისხმობთ?***

— მე ამას ყოველთვის ვამბობდი და დღეს მეუბნებიან ჩემი თანაპარტიელები, რომ მართალი ყოფილხარო. მე ვამბობდი, რომ თავიდანვე ნაციონალურმა მოძრაობამ ხელოვნურად ჩანერგა არა მარტო ქართული ოცნების შემადგენლობაში, არამედ სხვადასხვა რიგ სამინისტროებში დატოვა თავისი თანამშრომლები, შეიძლება დაბალ თანამდებობებზე, მაგრამ დატოვა ადამიანები, რომლებიც მათ ბრძანებას ასრულებენ და ყველგან არის საბოტაჟის სხვადასხვა სახის ფორმა. ზოგან ნაკლებად ბედავენ, ზოგან მეტად ბედავენ.

***— არ შეიძლება ამ უწყებების გაწმენდა?***

— შეიძლება, როგორ არ შეიძლება, მაგრამ ვიღაცას საკითხი ასე აქვს დაყენებული ქართულ ოცნებაში ხელმძღვანელებიდან, რომ არ შეიძლება ამდენი ადამიანის უკმაყოფილო ელექტორატად ქცევა. მე ამას ვერ ვიტყოდი, იმიტომ, რომ შენ როცა ამ ადამიანებს უფრთხილდები, მაშინ შენი მომხრეები და მხარდამჭერები ფორმირდებიან უკმაყოფილოთა ჯგუფში. რატომ აკეთებენ ამას, ჩემთვის აბსოლუტურად გაუგებარია. მე ხომ არ ვამბობ, ყველა უნდა დასაჯომეთქი, მე ხომ არ ვამბობ, ყველანი უნდა გაყარო-მეთქი. მე ვსაუბრობ ზოგიერთ ისეთ ფაქტზე, რომელიც არის ჩემთვის აბსოლუტურად მიუღებელი, მაგალითად, ერთ-ერთ ჩვენს ახლად დანიშნულ მინისტრს ჰყავს უმაღლესი თანამდებობის პირი სამინისტროში, რომელიც იყო მისი საარჩევნო კამპანიის დროს, მოწინააღმდეგე შტაბის უფროსის მოადგილე. ის ჩვენი მინისტრი მაჟორიტარულ არჩევნებში იღებდა მონაწილეობას. არ არის ეს მორალურად გამართლებული, ამ ადამიანმა და მისმა კოლეგებმა არჩევნების დასრულებამდე უზარმაზარი პრემიები გამოიწერეს თავისთვის და ეს ადამიანი ისევ არის სამინისტროში. არ შეიძლება ამის გაკეთება. მიუხედავად იმისა, რომ ის კარგი ადამიანია, არანაირი პროფესიონალი არ არის, სხვათა შორის, ვერავინ ვერ იტყვის, რომ ის პროფესიონალია და ამიტომ დატოვეს. არიან პროფესიონალები, განა არ არიან, შინაგან საქმეთა სამინისტროშიც არიან და სხვა სტრუქტურებშიც არიან, მაგრამ ეს პროფესიონალებიც არიან იმ დავალებების შემსრულებლები, რომლებსაც აძლევენ და ზოგ შემთხვევაში — არა. მე ვთქვი კიდევაც ერთხელ, რომ სახელმწიფო ჩინოვნიკებისთვის შევქმნიდი გაერთიანებულ, გენერალური ინსპექციის მაგვარ ორგანოს, სადაც ყველა გაივლიდა ლუსტრაციას, ვინ რას აკეთებს. ნელ-ნელა ირკვევა, რომ იმას ეს სისხლის სამართლის დანაშაული აქვს ჩადენილი, იმას კიდევ — სხვა ტიპის დანაშაული... სირცხვილი არ არის, რომ შუაგზაში ირკვევა, კაცი, რომელიც მუშაობდა სამმართველოს ან დეპარტამენტის უფროსად, იმას ბიუჯეტიდან ფული აქვს მოპარული. ჯერ გაარკვიე და მერე ისე დატოვე სამსახურში, არ ჯობია?!

***— ამ პრეცედენტზე რას იტყვით, პროკურორი აქეთ მეახლოს კაბინეტშიო? ეს რამდენად სწორი ტენდენციაა?***

— რომელ სისწორეზე მელაპარაკებით, რა სისულელეა. თუ ამათთან დათმობაზე წახვალ, მერე ასე იქნება მუდამ. პროკურორს აქვს თავისი ფუნქცია და ამოცანა. უბრალოდ, უბედურება ის არის, რომ პროკურატურაშიც არ არის ჯანსაღი სიტუაცია. ძალიან ბევრი ადამიანია, რომლებსაც კონკრეტული დანაშაული მიუძღვის ხალხის წინაშე. ერთი ეპიზოდი იყო კიდევ ასეთი, კიდევ კარგი, ის პროკურორი, როგორც იქნა, მოაშორეს. ადამიანი, რომელიც ციხიდან გაათავისუფლეს, მივიდა საბუთების შესამოწმებლად, მოსაწესრიგებლად პროკურატურაში და დახვდა ის პიროვნება, ვინც ციხეში გაუშვა არაფრის გამო, ამან ხელი გაარტყა. იმან ვერაფერი ვერ უპასუხა იმიტომ, რომ დამნაშავე იყო და თავის სკამს ებღაუჭებოდა. მეორე კვირასაც მივიდა, ისევ ის დახვდა და ისევ გაარტყა. ნორმალურია ახლა ეს, პროკურორს თავის კაბინეტში რომ სცემო? აი, ამიტომ არის, რომ პროკურორების ნაწილს დანაშაული აქვს ჩადენილი და ეს ძალიან კარგად იციან ნაციონალური მოძრაობის ლიდერებმა და ამ პროკურორებს როგორც უნდათ, ისე იყენებენ.

# მიშა გეფერიძე: „მითხრეს, თუ დანაშაულს არ აღიარებ, შვილს საკანში მოგისვამთ და მის წამებას გაყურებინებთო“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

ლურ ზეწოლებს ჰქონდა იქ ადგილი. გინება და ცემა ნებისმიერი პატიმრის მიმართ ტრადიციულ ხასიათს ატარებდა. ეს ყველასთვის სტანდარტი იყო. ამ მეთოდით ისინი ცდილობდნენ ერთის მხრივ, რომ როგორმე სასურველი ჩვენება მიეღოთ და ამავდროულად პატიმარი ფიზიკურად და სულიერად გაენადგურებინათ.

***— როდის მოხდა თქვენი გასამართლება და რა სამხილები ქონდა მოსამართლეს***

— 9 თვე ისე გავიდა სულ დაკითხვას ვითხოვდი, რადგან ოფიციალურად ჩემი დაკითხვა არ მომხდარა. დიდი წვალების მიუხედავად თავი ვერ დავაკითხინე. მერე სასამართლოზე მითხრეს, დუმილის უფლება გაქვს გამოყენებული და იმიტომ არ დაგკითხესო. ვეუბნებოდი დუმილი კი არა მე არ ვეთანხმებოდი თქვენ შეთითხნილ საქმეს მეთქი. ამის შემდეგ მოსამართლე კოპალიანმა თქვა, რომ მე ეხლა დაგაჯარიმებთ იმის გამო, რომ თავის დროზე ჩვენება არ მოგვეციო. ვეუბნებოდი ვიღაცა ხო უნდა მოსულიყო, რომ ჩვენება მიმეცა მეთქი. მერე დავთანხმდი ჯარიმას, ოღონდ დამკითხეთ და თავის დაცვის საშუალება მომეცით და ჯანდაბას ეგ ასი ლარი, გადავიხდითქო.

***— როგორ აპირებდით თავის დაცვას თუ მოწმეები ამბობდნენ, რომ თქვენ მათ ფიზიკურად გაუსწორდით?***

— საქმე იმაშია, რომ იმ ადგილებში, სადაც მე თითქოს პოლიციელები ვცემე, არის ტოტალიზატორი, ბანკი, ასევე აფთიაქი და ყველა მათგანს აქვს სათვალთვალო ვიდეოკამერა, რომელიც მთელ გარე პერიმეტრს იღებს. მე პროკურორ ნანა ხუჯუას ვთხოვდი, რომ მოეტანათ ვიდეო კადრები, მაგრამ მათ სხვადასხვა მიზეზები დამისახელეს და კადრები არ მოიტანეს. მერე მომიყვანეს ორი პოლიციელი, გულადი კვირიკაძე და ზურაბ ნარიმანიძე, რომლებიც ადასტურებდნენ, რომ თითქოს მე ისინი ვცემე. პროკურორმა მითხრა და მოსამართლეც დაეთანხმა, რომ ის ვალდებული არა არის, ჩემი გამამართლებელი დოკუმენტები მოიძიოს. ამას მოწმეებიც ისმენდნენ. მოიყვანეს ექსპერტიც, რომელმაც ვერაფერი კონკრეტული ვერ დაადასტურა.

ექსპერტს კითხვას დაახლოებით ასეთი ფორმულირებით უსვამდნენ: — „არის თუ არა გახეული ეს პიჯაკი“— ექსპერტი ამბობდა კი, მაგრამ ვისი გახეული იყო ეს პიჯაკი ამას არ კითხულობდნენ და არც ექსპერტი ადასტურებდა რომ პიჯაკი მე გავხიე. ასეთი აბსურდი იყო ყველა სასამართლო პროცესი.

***— ადვოკატს თუ ჰქონდა თქვენი სათანადოდ დაცვის საშუალება?***

— ჩემს ადვოკატებს არ აძლევდნენ იმის საშუალებას, რომ ხმა ამოეღოთ. მარტო ჩემს ადვოკატებს კი არა, პრინციპი იყო ასეთი ყველა პოლიტპატიმრის ადვოკატის მიმართ. მართალია დარბოდნენ ადვოკატები, „ავერსში“ მივიდნენ, ბანკში მივიდნენ და ყველამ უთხრა, რომ თითქოს შემთხვევით, სწორედ იმ დროს კამერა მწყობრიდან გამოვიდა. ეს ხომ აბსურდია. როგორ შეილება ყველა ობიექტს ერთდროულად გაფუჭებოდა კამერა.

***— რაც შეეხება ფიზიკურ ზეწოლას თუ ქონდა მას ადგილი თქვენს მიმართ?***

— როცა მე დაჟინებით დავიწყე ვიდეომასალების მოთხოვნა, სასამართლოს ქვედა სართულზე ჩამიყვანეს და იქ აცემინეს ჩემი თავი სასტიკად. ახლაც მაქვს ჯანმრთელობის პრობლემები. თავში და შუბლში ამდენი დარტყმის გამო სმენა და მხედველობა დამიზიანდა. ყოველდღე მიმდინარეობდა ჩემ მიმართ სასტიკი მოპყრობა. ორთაჭალაში, „რეზბალნიცაზე“ მომიწყვეს სასტიკი დახვედრა, იქაც მცემეს. ამის მოწმეებიც ბევრია. აბსოლუტურად არ ერიდებოდნენ ცემის დროს იმ გარემოებას, რომ მათ ვინმე სხვა პატიმარი ან თანამშრომელი, ან მოწმე უყურებდა. იმდენად სჯეროდათ, რომ მათ პასუხს არავინ არ მოსთხოვდა, რომ ჩვეულებრივ, ყველას თვალწინ ასახიჩრებდნენ ხალხს.

***— აღიარეთ თუ არა საბოლოოდ წაყენებული ბრალდება?***

— სხვა გზა არ დამიტოვეს. ვიღაცა დამიდგა უკან და მეუბნება: — ახლა ან ამას მოაწერ ხელს, თუ არადა 5 წლიან სასჯელს მიიღებო. ორი თვის მერე კი, შენივე კამერის ხალხი დაგიდგება მოწმედ რომ შენ თითქოს ბადრაგს ხელით შეეხეო, შემდეგ შენ შვილსაც მოგისვავთ გვერდით კამერაში, ჯიბეში ნარკოტიკებით და გაყურებინებთ იმის წამებასო. ამის შემდეგ რა მექნა, მოვაწერე ხელი. ასობით ადამიანი აწერდა ასე ხელს იმ დანაშაულზე, რაც არ ჩაუდენია.

რამდენი მკვლელობები და უბედურება მოხდა ჩვენს თვალწინ ციხეში. თუნდაც თეთრაძის მკვლელობა ავიღოთ, რომელიც საათნახევარი ყვიროდა ხალხო ნუ მკლავთო და ეს ყველა პატიმარს ესმოდა. კაცი წამებაში მოკლეს და ყველა ვხედავდით ფაცაცია და კილერა როგორ კვდებოდნენ სიცილით. რამდენი სხვა ასეთი ფაქტი ვნახე საკუთარი თვალით...

***— როგორც ჩვენთვის ცნობილია ახლა თქვენ პოლიტპატიმრის სტატუსის მისაღებად იბრძვით?***

— დიახ მე სრულად მოვიხადე ერთი წელი დანაშაულისთვის, რაც არ ჩამიდენია და ახლა ვაგროვებ ჩემ საქმეებს და ხელახალ გამოძიებას ვითხოვ, რათა პოლიტპატიმრის სტატუსი მოგვანიჭონ. ეს თუნდაც იმიტომაა აუცილებელი, რომ არ შეიძლება საზოგადოებაში დაუსჯელობის სინდრომმა კიდევ იარსებოს. ყველა უნდა იყოს დარწმუნებული, რომ დღეს თუ ხვალ, ჩადენილი უკანონობისთვის პასუხს აგებს.

**ნატო მიმინოშვილი**
**სააგენტო „ნიუსპრესი“**

# ისრაელში სირიის ტერიტორიაზე ბუფერული ზონის შექმნაზე დაფიქრდნენ

ისრაელში, სირიის ტერიტორიაზე, ქვეყნის საზღვრებში, ბუფერული ზონის შექმნის შესაძლებლობა განიხილება იმ შემთხვევაში, თუ ბაშარ ასადის ხელისუფლება დაემხობა. ამის შესახებ სააგენტო „ფრანსპრესი“ ისრაელის უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენელზე დაყრდნობით იუწყება. სააგენტოს წყაროს განცხადებით, ეს გეგმა, რომელიც სამხედრო ხელმძღვანელობის მიერ არის შემუშავებული, შესაძლოა, სირიის პრეზიდენტის გადაყენების მეორე დღესვე ამუშავდეს. სამხედროების აზრით, ბუფერული ზონა „ტერორისტულ ელემენტებს“ სირიის ტერიტორიაზე მოხვედრის შესაძლებლობას მოუსპობს.

წყარო დაბეჯითებით ამტკიცებს, რომ ბუფერული ზონა სირიის საზღვრებში დარჩება და ისრაელი მის ანექსიას და იქ საკუთარი სამხედრო კონტიგენტის განთავსებას არ აპირებს. თუმცა, ვინაიდან ეს ზონა სირიის სირღმეში იქნება, ისრაელის სამხედროები როგორ გააკონტროლებენ მას, სააგენტოს წყარომ არ დააზუსტა.

**გ.მ.**

# დავით ბაქრაძე: „სააკაშვილი მთავრობის დათხოვნას არ აპირებს“

## რას ითხოვენ ნაციონალები საკონსტიტუციო ცვლილებების მხარდაჭერის სანაცვლოდ

შორენა მარსაგიშვილი

საპარლამენტო უმრავლესობა საკონსტიტუციო ცვლილებების განხილვას იწყებს. ამ ცვლილებებს უმცირესობად ქცეული ნაცმოძი კატეგორიულად ეწინააღმდეგება. გავრცელებული ინფორმაციით, მეოცნებეებს საკონსტიტუციო ცვლილებებისთვის საჭირო ხალხი არ ჰყავთ. ოცნება საპირისპიროს ამტკიცებს. ვრცელდება ინფორმაციები, რომ ოცნების მხარეს კიდევ რამდენიმე ნაციონალი აპირებს გადაბარგებას.

ეს ამბავი ნაციონალებმაც იციან. დაუზუსტებელი ინფორმაციით მათ გააფრთხილეს დეპუტატები, რომ ღალატს არ აპატიებენ და რაღაც საშინელებებს გამოუქვეყნებენ. კომპრომატები ამ ნაციონალებს ყველაზე მოეძებნება განსაკუთრებით კი თავისიანებზე..

საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით უმრავლესობამ გუშინ საგანგებო განცხადება გაავრცელა. „ახალი თაობა“ ამ განცხადებას სრულად გთავაზობთ.

— ისტორიის ჩარხს უკან ვერავინ დააბრუნებს — თუნდაც უპრეცედენტო კონსტიტუციური უფლებებით აღჭურვილი მიხეილ სააკაშვილი. თუმცა, ქვეყნის წინსვლის ხანმოკლე შეფერხება ბევრ მოვლენას შეუძლია — მათ შორის, პოლიტიკური პერსპექტივის გარეშე დარჩენილი მიხეილ სააკაშვილის შესაძლო მორიგ უპასუხისმგებლო ნაბიჯს.

კოალიციის ლიდერმა ბიძინა ივანიშვილმა სწორედ ამგვარი შეფერხების საფრთხე ააცილა ქვეყანას, როდესაც ყველასთვის ნათელი გახადა, თუ რა ცდუნებას იყო აყოლილი მიხეილ სააკაშვილი და როგორ ამზადებდა ნიადაგს (განსაკუთრებით ქვეყნის გარეთ) მორიგი ავანტიურისათვის — მე, ისეთი სუპერდემოკრატი პრეზიდენტი ვარ, რომ არჩევნებში დამარცხებაც კი ვაღიარე, მაგრამ დიქტატორ ივანიშვილს კატასტროფისკენ მიჰყავს ქვეყანა და ამიტომ იძულებული ვარ, შევასრულო კონსტიტუციით დაკისრებული ვალდებულება და ხელისუფლებას ჩამოვაცილო მისი მთავრობაო.

ამგვარი ნაბიჯის ცდუნებას მას უქმნიდა 2004 წლის კონსტიტუციური ცვლილებებით შექმნილი მექანიზმი, რომლის გამოყენებითაც შესაძლებელი გახდა ხალხისა და პარლამენტის ნდობის მქონე მთავრობის გარეკვა და მხოლოდ მისი ნება-სურვილის შემსრულებელი მთავრობის დანიშვნა.

ამ საკითხზე ვენეციის კომისიის დასკვნა იმთავითვე ცალსახად უარყოფითი იყო. დასკვნაში ნათქვამია: „ამ შემოთავაზების გაზიარება რთულია. ამგვარ მთავრობას [პარლამენტის თანხმობის გარეშე დანიშნულს] არ ექნება ლეგიტიმურობა. როდესაც პარლამენტი სამჯერ უარყოფს პრეზიდენტის მიერ შეთავაზებულ მთავრობას, პრეზიდენტს არ უნდა შეეძლოს ისეთი პრემიერის დანიშვნა, რომელიც პარლამენტს არ აურჩევია. მას უნდა შეეძლოს პარლამენტის დათხოვნა და მოქმედი პრემიერ-მინისტრისთვის მოვალეობების შესრულების დაკისრება არჩევნების დასრულებამდე“ (ვენეციის კომისიის დასკვნა№281/2004. მარტი, 2004).

მიუხედავად ამისა, კონსტიტუციის ეს ჩანაწერი 9 წლის განმავლობაში შეუმჩნეველი დარჩა დემოკრატიულ სამყაროს, ვინაიდან სააკაშვილი ახერხებდა ყველასთვის თვალში ნაცრის შეყრას. მხოლოდ პარლამენტში ინიცირებულმა კონსტიტუციურმა ცვლილებებმა გახადა ყველასთვის ნათელი, თუ რასთან და ვისთან გვაქვს საქმე. ყველასთვის ცხადი გახდა ისიც, თუ როგორ ფარისევლობდა სააკაშვილი დამარცხებასთან შეგუების თემაზე და რას ემსახურებოდა მისი პიარკამპანია უცხოეთში.

საერთაშორისო თანამეგობრობის წარმომადგენლები გაოცებით კითხულობენ, ნუთუ მართლა წერია საქართველოს კონსტიტუციაში, რომ პრეზიდენტს ხალხის და პარლამენტის უკითხავად შეუძლია შექმნას მთავრობა და მას ამართინოს ქვეყანაო... ამგვარი ჩანაწერი, ასე კონსტიტუციურად გამყარებული დიქტატურა ხომ დემოკრატიულობის პრეტენზიის მქონე მსოფლიოს არც ერთ სახელმწიფოში არ არსებობს!

სწორედ ეს მიუთითა ვენეციის კომისიის პრეზიდენტმა ჯანი ბუკიკიომ 2013 წლის 31 იანვარს თბილისში ყოფნისას: „არის რიგი მნიშვნელოვანი და გადაუდებელი ცვლილებები, რომლებიც სასწრაფოდ უნდა იქნეს მიღებული და მესმის, რომ ეს უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ პარლამენტმა და მთავრობამ სტაბილურად იმუშაოს. აუცილებელია, შეიცვალოს კონსტიტუცია, რათა სახელმწიფოს მეთაურის ძალაუფლების ლიმიტირება მოხდეს, რომელიც



მას უფლებას აძლევს, რომ მთავრობა დაითხოვოს და პარლამენტის თანხმობის გარეშე ახალი მთავრობა აირჩიოს“

ამდენად, თავად კონსტიტუციური ცვლილებების ინიცირების ფაქტიც კი საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ სააკაშვილის გეგმა ჩაშლილიყო — ახლა არც მისი „კოჰაბიტაციური“ სურვილების ჭეშმარიტების სჯერა ვინმეს და აღარც მისი კონსტიტუციური მექანიზმების. შესაბამისად, იგი დღესვე, სანამ კონსტიტუციაში ჯერ კიდევ არსებობს ეს ჩანაწერი, უკვე უძლურია გამოიყენოს ეს იარაღი. ამ იარაღით მას მხოლოდ საკუთარი პოლიტიკური თვითმკვლელობა შეუძლია.

ნაციონალური მოძრაობა, ცხადია, თავისუფალია არჩევანში. მათ შეუძლიათ მხარი დაუჭირონ ამ ცვლილებებს და ამით არა მარტო წარსულის სიმახინჯეზე თქვან უარი, არამედ პოლიტიკური მომავლისთვისაც გადადგან სწორი ნაბიჯი; ან, მათ შეუძლიათ უარი თქვან ცვლილებების მხარდაჭერაზე და ამით მთელი მსოფლიოს გასაგონად გააცხადონ თავიანთი ჭეშმარიტი პოლიტიკური ზრახვები და მომავლის ხედვა.

ცვლილებების განხილვის პროცესში უმცირესობის ცალკეული წარმომადგენლების მხრიდან დაისვა საკითხი პარლამენტის დათხოვნის 6-თვიანი შეზღუდვების მოხსნის მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით. ჩვენი წინადადება მიზნად ისახავდა ჩვენს პოლიტიკურ მზაობას, ნებისმიერ დროს მიგვეცა ხალხისთვის არჩევანის საშუალება. მაგრამ, თუ ნაციონალური მოძრაობის თვალთახედვიდან ეს ნოვაცია რაიმე საფრთხეს შეიცავს, თანახმა ვართ, ვიმსჯელოთ და გავიზიაროთ მათი წინადადება, თუ იგი მკაფიოდ და საჯაროდ იქნება გამოთქმული.

კონსტიტუციურ ცვლილებებთან დაკავშირებით პოზიციები უნდა გამოკვეთონ არა მარტო პოლიტიკურმა გუნდებმა, არამედ თითოეულმა პარლამენტარმა და პოლიტიკოსმა. არ გამოვრიცხავთ, რომ ნაციონალური მოძრაობის ცალკეულმა წევრებმა ჩათვალონ, რომ ეს ის თემა და საკითხია, რომელზეც ისინი ინდივიდუალურად არიან პასუხისმგებელი ხალხის წინაშე და მხარი დაუჭირონ ხალხისთვის ძალაუფლების დაბრუნებას მიუხედავად იმისა, თუ რა იქნება მიხეილ სააკაშვილის პოზიცია. არჩევანი მათზეა!

იმ შემთხვევაშიც კი, თუ სააკაშვილმა სწორი ნაბიჯის გადადგმის საშუალება არ მისცა არც მის გუნდს და არც მის ცალკეულ წარმომადგენლებს და კონსტიტუციურმა ცვლილებებმა ხმათა საჭირო რაოდენობა ვერ მიიღო, კოალიცია „ქართული ოცნების“ პოლიტიკური მიზანი მაინც მიღწეული იქნება. ამ შემთხვევაში დემოკრატიული სამყარო საბოლოოდ დარწმუნდება, რომ მიხეილ სააკაშვილის სახით ჩვენ საქმე გვაქვს ძალაუფლებაზე შეყვარებულ თავგზააბნეულ დიქტატორთან, ხოლო ნაციონალური მოძრაობის სახით — საკუთარი პოლიტიკური თვითგანადგურების გზაზე მდგარ, ერთი კაცის ახირებებს აყოლილ, თავისუფლებაწართმეულ ადამიანებთან, რომელთა სიტყვას ჩალის ფასი უნდა დაედოს ქვეყნის შიგნითაც და ქვეყნის გარეთაც.

რა უნდა უთხრან ამ ცვლილებებისთვის ხმის არმიმცემებმა ქართველ ხალხს? — მართალია, კონსტიტუციის ეს ჩანაწერი ჯერ კიდევ 2004 წელს დაგმო ვენეციის კომისიამ, მართალია 2010 წლის ჩვენს მიერვე შეტანილი ცვლილებებით იგი 10 თვის შემდეგ გაუქმდება, მართალია ამ 10 თვის განმავლობაში პრეზიდენტი მაინც არ აპირებს ამ უფლებამოსილებით სარგებლობას, მართალია ცოტა ხნის წინ ჩვენვე დავუჭირეთ მხარი ამ ცვლილებების განხილვას, მაგრამ მიშას ეწყინება კონსტიტუციური დიქტატორის რეგალიის ჩამორთმევა და ამიტომ ხმას ვერ მივცემთ ამ ცვლილებასო...სიმბოლურია, რომ აქ საუბარია სწორედ პრეზიდენტობის ვადის იმ 10 თვეზე, რომელიც მიხეილ სააკაშვილს ისედაც მითვისებული აქვს კონსტიტუციური მანიპულაციებისა (2006 წლის ცვლილებები) და თვალთმაქცობის (2007 წელს პრეზიდენტობიდან გადადგომის განცხადების დაგვიანებით გაფორმება) გზით. ამრიგად, სრულიად ნათელია — ვინც თავს აარიდებს შემოთავაზებული ცვლილებისთვის ხმის მიცემას, იგი აკეთებს არჩევანს ერთი კაცის ახირების სასარგებლოდ და ქართული სახელმწიფოს საწინააღმდეგოდ, ანუ აცხადებს, რომ „სახელმწიფო, ეს სააკაშვილია“. ჩვენ კი ვაცხადებთ, რომ „სახელმწიფო, ეს ქართველი ხალხია“.

ამიტომ, დღეიდან საჯარო საპარლამენტო და სატელევიზიო დებატებში ვიწვევთ პარლამენტში ნაციონალური მოძრაობის თითოეულ წარმომადგენელს თემაზე — „სააკაშვილი თუ საქართველო, დიქტატურა თუ ხალხის მმართველობა“. წლების



განმავლობაში სააკაშვილის ზურგს უკან მიმალულ ადამიანებს, რომლებიც პერსონალურად არასოდეს არაფერზე აგებდნენ პასუხს, მოუწევთ საკუთარი აზრის მკაფიოდ დაფიქსირება კონკრეტულ საკითხზე — უნდა ჩამოერთვას თუ არა პრეზიდენტს ხალხის და პარლამენტის თანხმობის გარეშე მთავრობის შეცვლის უფლება. ამ საკითხზე არჩევანის გაკეთებისას ვერავინ ვერავის ზურგს ვერ ამოეფარება და ვერც დემაგოგიური ხრიკებით შეძლებს სხვა თემებით მის გადაფარვას. პარლამენტის წევრებმა, რომლებიც თავს იწონებენ ხალხის რჩეულის სტატუსით, თვალი უნდა გაუსწორონ საზოგადოებას და საკუთარ შვილებს (და არა ჩვენ ან ბიძინა ივანიშვილს) და განაცხადონ — „კი“ თუ „არა“. ეს არ არის მორიგი პოლიტიკური საკითხი, რომელზეც მსოფმხედველობიდან გამომდინარე შეიძლება ორი მეტ-ნაკლებად სწორი პასუხი არსებობდეს, ეს არის ფუნდამენტური საკითხი იმის გასარკვევად, თუ სინამდვილეში რას ემსახურება თითოეული ჩვენგანი — ხალხს თუ დიქტატორს. შესაბამისად, ამ პასუხზე იქნება დამოკიდებული ჩვენი დამოკიდებულება თითოეული მათგანისადმი — ვინც იტყვის „კი“, მასთან ჩვენ ვხედავთ თანამშრომლობის თუ ოპონირების აზრს და შესაძლებლობას სხვა საკითხებზეც; ვინც იტყვის „არა“, მის მოსმენაზე და მასთან დებატებზე ჩვენ დროს ვერ დავკარგავთ ვერც ნებისმიერ სხვა საკითხზე, — ნათქვამია საპარლამენტო უმრავლესობის მიერ გავრცელებულ მიმართვაში.

უმრავლესობის მიმართვას სასწრაფოდ გამოეხმაურა საპარლამენტო უმცირესობა. განცხადება უმცირესობის ლიდერმა დავით ბაქრაძემ გააკეთა. ის სინანულს გამოთქვამს იმის გამო, რომ უმრავლესობამ ვერ შეძლო ნაციონალური მოძრაობის მიმართ მუქარისგან თავი შეეკავებინათ.

— პირველი ტენდენცია, რომელიც ნათლად გამოჩნდა გახლავთ ის, რომ მიუხედავად პოლიტიკური ზეწოლისა, მიუხედავად პოლიტიკური შანტაჟისა პარლამენტის წევრებზე, მიუხედავად ყველა იმ ბერკეტისა, რომელზეც გულწრფელად საუბრობდა უმრავლესობის ლიდერი და რომელიც მათ უკვე გამოიყენეს წინა კვირების განმავლობაში, საპარლამენტო უმრავლესობამ ვერ შეძლო კონსტიტუციური უსაფრთხოების ქულების შეგროვება და ამიტომ მათ მიერ წარმოდგენილი საკონსტიტუციო ცვლილებები, მხოლოდ უმრავლესობის მხარდაჭერით, აუცილებელ ხმებს ვერ მოაგროვებს. მეორე კი, რაც ნათლად გამოიკვეთა მათ გამოსვლაში გახლავთ ის, რომ ჩვენმა კოლეგებმა სამწუხაროდ ვერ შეძლეს თავი შეეკავებინათ პირდაპირი მუქარისგან, შანტაჟისგან, ზეწოლისგან და ის ფორმა, რომლითაც ისინი მიმართავდნენ საპარლამენტო ოპოზიციის წევრებს, იყო ფაქტიურად ჩვენი მისამართით დაყენებული ულტიმატუმი. ასეთი ფორმით და ულტიმატუმებით საუბარი არის აბსოლუტურად მიუღებელი და რა თქმა უნდა ის, რომ ისინი კენჭისყრაზე ვერ მიიღებენ მხარდაჭერას, დიდწილად განპირობებული იქნება სწორედ ურთიერთობის იმ ფორმით და ზეწოლით რომლითაც ისინი ცდილობენ ჩვენი მხარდაჭერის მოპოვებას. იკვეთება ტენდენცია, რომ მთავრობა ცდილობს ისეთი სურათი დაუხატოს მოსახლეობას, თითქოს მათ ხელი ეშლებათ მუშაობაში და საკუთარ დაპირებებს იმის გამო ვერ ასრულებენ, რომ არსებობს დათხოვნის საფრთხე, არსებობს მზაკვრული მსოფლიო გეგმა და თურმე ამის გამო შეშფოთებული და შეშინებული მთავრობა ვერ ახერხებს დაპირებების შესრულებას. მინდა დავამშვიდო მთავრობაც და მოსახლეობაც, რომ არანაირი მზაკვრული გეგმა არ არსებობს. თუ გაქვთ იმის შიში, რომ მთავრობას აპრილში დათხოვნის საფრთხე ემუქრება, ჩვენ მზად ვართ დავსხდეთ და ამ საკითხზე ვისაუბროთ, რათა მათ ჰქონდეთ გარანტიები, რომ არ ეშინოდეთ საკუთარი თანამდებობების და სკამების დაკარგვის. ჩვენ მზად ვართ მივცეთ მთავრობას საკონსტიტუციო ცვლილებების უფლება და მოვუხსნათ სკამების დაკარგვის შიში და ამასთან ერთად მოვხსნათ ის შიშიც რომელიც ჩვენი მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს აქვს რომ საქართველოს ევროპული კურსი შეიძლება იყოს შეცვლილი და ეს ორივე პოლიტიკურმა ძალამ ერთად გავაკეთოთ, — განაცხადა დავით ბაქრაძემ.

საკონსტიტუციო ცვლილებების განხილვა უახლოეს დღეებში იწყება. ამბობენ, რომ წინ საინტერესო მოვლენები გველოდება. დაველოდოთ და ვნახოთ რა იქნება ხვალე.

# თამაზ ვაშაკიძე პოლიტდევნილის სტატუსს ითხოვს

## ვინ აუნაზღაურებს მას მორალურ ზარალს

შორენა მარსაგიშვილი

თებერვლის შუა რიცხვებიდან საქართველოს პარლამენტი პოლიტპატიმრების და პოლიტდევნილების ახალ სიაზე დაიწყებს მუშაობას. ყვავილოვანი ხელისუფლების წყალობით ასეთი ადამიანები საკმაოდ მრავლად გვყავს. პოლიტიკური ოპონენტების და ბიზნესმენების დევნა ნაციონალებმა ლამის ჩვეულებრივ ამბად აქციეს, მაგრამ ალბათ ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ამ სიაში ბალეტმეისტერი თამაზ ვაშაკიძეც მოხვდებოდა.

მის დევნასაც პოლიტიკური მიზეზები ჰქონდა. არადა, ის არასდროს ჩარეულა პოლიტიკაში. ალბათ ყველას გახსოვთ, რა ამბები დატრიალდა მის თავს. ის ნაციონალებისთვის მხოლოდ იმიტომ აღმოჩნდა მიუღებელი, რომ მან ქორეოგრაფიული სასწავლებლის დირექტორის პოსტი არ დაუთმო ნინო ანანიაშვილს.

პრეზიდენტის ნათელმირონი იმ პერიოდში დიდი თეატრიდან გამოუშვეს. ასე უბრალოდ საქართველოში ნინო ანანიაშვილი ვერ დაბრუნდებოდა. მისთვის რაიმე უნდა გამოენახათ. ეს რაიმე კი ქორეოგრაფიული სასწავლებელი აღმოჩნდა, რომელსაც თამაზ ვაშაკიძე ედგა სათავეში.

საგაზეთო ინტერვიუებში თამაზ ვაშაკიძემ არაერთხელ გაიხსენა, როგორ დაიბარა ის კულტურის მაშინდელმა მინისტრმა გოკა გაბაშვილმა. გაბაშვილმა ბალეტმეისტერს მოსთხოვა თანამდებობის დატოვება და აუხსნა, თუ ვისთვის უნდოდათ ეს პოსტი.

ამაზე ვაშაკიძემ უარი განაცხადა და დაიწყო კიდევაც მისი დევნა. კიდევ კარგი, მაშინ ნაციონალები კარგად ფეხმოკიდებული არ იყვნენ ხელისუფლებაში, თორემ ვაშაკიძისთვის შესაძლოა გადატრიალება დაებრალებინათ. გადამტრიალებლისა და ჯაშუშის იარლიყს კი გადაურჩა, მაგრამ თავისი სიმართლე ვერ დაამტკიცა. თავს საქართველოდან გაქცევით უშველა. აქ მეუღლე და 3 მცირეწლოვანი ბავშვი დარჩა. რომლებიც გამუდმებით ტერორში იყვნენ.



ახლა ვითარება შეიცვალა და ვაშაკიძეს, სხვების მსგავსად, სიმართლის დადგენა შეუძლია. მისი ადვოკატი დიმიტრი გაბუნია საგანგებო განცხადებას ავრცელებს. „ახალი თაობა“ ამ განცხადებას სრულად გთავაზობთ.

— გაცნობებთ, რომ წარმოვადგენთ თამაზ ვაშაკიძის ინტერესებს. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიის 2008 წლის 24 სექტემბრის განაჩენით, თამაზ რემის ძე ვაშაკიძე, გასამართლებულ იქნა სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის (მითვისება) მეორე ნაწილის ა) ბ) დ) ქვეპუნქტებით, ასევე მესამე ნაწილის ბ) ქვეპუნქტი და 362-ე მუხლის (ყალბი ოფიციალური დოკუმენტის გამოყენება) მეორე ნაწილის ა) ბ) ქვეპუნქტების მუხლებით და მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 9 წლის ვადით.

1. ამჟამად თამაზ ვაშაკიძე იმყოფება ძებნაში.

2. თამაზ ვაშაკიძეს შეეხო ამნისტია „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 27 დეკემბრის კანონის შესაბამისად, კერძოდ გაუნახევრდა 182-ე მუხლით მისჯილი 8 წელი 4 წლამდე, ხოლო 362-ე მუხლით მისჯილი 1 წელი 3 თვემდე. დარჩა 4 წელი და 9 თვე.

3. დღეის მდგომარეობით თამაზ ვაშაკიძის ჩამოსვლა საქართველოში გამოიწვევს მის დაკავებას და საპყრობილეში მოთავსებას.

4. არ არის გამორიცხული, რომ პარლამენტმა თებერვალში დამატებით განიხილოს პოლიტიკური დევნილების საკითხი, რა შემთხვევაშიც ჩვენ მიერ დაუყოვნებლივ იქნება დასმული თამაზ ვაშაკიძის საკითხიც.

აქვე გაცნობებთ, რომ 2013 წლის თებერვლის შუა რიცხვებში პარლამენტი გეგმავს მიიღოს კანონი უკანონო განაჩენების გაუქმებისა და პირთა რეაბილიტაციის შესახებ. რის საფუძველზეც განისაზღვრება სასამართლოში განცხადების შეტანის ფორმა და წესი. ამ კანონის ამოქმედებისთანავე ჩვენ მიერ დაუყოვნებლივ იქნება განცხადება შეტანილი სასამართლოში 2008 წლის 24 სექტემბრის განაჩენის გაუქმების მოთხოვნით, რის შემდეგაც თამაზ ვაშაკიძეს დაუბრკოლებლად შეეძლება დაბრუნება საქართველოში და მოითხოვის კომპენსაცია უკანონო დევნისთვის, — ვკითხულობთ განცხადებაში.

რამდენად მისცემენ კომპენსაციას, ვერ გეტყვით, მაგრამ ცნობილი ბალეტმეისტერი პოლიტდევნილის სტატუსს ნამდვილად მიიღებს. საქართველოშიც ალბათ მალე დაბრუნდება, თუმცა იმ დაკარგულ წლებს ვერავინ აუნაზღაურებს. საინტერესოა, ვინ უნდა აგოს პასუხი ვაშაკიძის ან სხვა ადამიანების დევნის გამო? უცნაურია ისიც, როცა ამის გამკეთებელი ნაციონალური ხელისუფლება სხვას სდებს ბრალს დევნაში.

# ფიქრია ჩიხრაძე: „გია ხუხაშვილმა ზურაბ ადეიშვილი ჩაანაცვლა“

შორენა კოწოწაშვილი

იკვეთება თუ არა პროკურატურის ქმედებებში პოლიტიკური ინტერესები; არის თუ არა ექსპერტი გია ხუხაშვილი ივანიშვილის ხელისუფლების რუხი კარდინალი და მართლაც ხდება თუ არა მისი მხრიდან ბიზნესმენების დაბარება და გარკვეული კონსულტაციების წარმოება? — ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს „ახალი მემარჯვენეების“ თავმჯდომარე ფიქრია ჩიხრაძესთან.

***— ქალბატონო ფიქრია, ივანიშვილის მთავრობის კრიტიკას, ბევრი ცნობილი 100 დღის პირობებში თავს არიდება. ექსპერტების ნაწილი კრიტიკას არ ერიდებოდა და ეს ჩასაფრებულის პოზიციიდან გაკეთებულად შეფასდა. თქვენი, „ახალი მემარჯვენეების“ პირველი კრიტიკული შენიშვნებიც ჩასაფრებული პოზიციებიდან უნდა განვიხილოთ?***

— არავითარ შემთხვევაში. დამეთანხმებით, ჩასაფრებულობა ჩვენ არასოდეს გვახასიათებდა და არც ახლა გვახასიათებს. ჩემი პირველი განცხადება და საერთოდ, ჩვენი პოლიტიკური დოკუმენტი, რომლითაც ჩვენი ტაიმ-აუტი დავასრულეთ, ამას ლაიტმოტივად გასდევდა სწორედ ეს, რომ ერთი მხრივ ის, რომ დათო გამყრელიძე წავიდა პარტიის თავმჯდომარეობიდან და საჭირო იყო ორგანიზაციის ძალების გადახედვა. ამავე დროს ჩვენ ვამბობდით, რომ ხელისუფლებას გარკვეულ დროს ვაძლევდით იმისთვის, რომ მათი ქმედებები და მიმართულებები რაღაცნაირად უფრო ჩამოყალიბებული და გამოკვეთილი ყოფილიყო. ჩვენ ვიქნებით კვალიფიციური ოპონენტები მთელი რიგი მიმართულებებით. რაც ჩვენთვის ყოველთვის პრინციპული იყო. ვთვლით, რომ ქვეყნის ცხოვრებაშიც და თითოეული ჩვენგანის ცხოვრებაშიც, ეს ძალიან მნიშვნელოვანია. კრიტიკასთან ერთად ყოველთვის გვექნება შეთავაზება. ეს ყოველთვის ჩვენი პარტიის მახასიათებელი იყო და არც ამჯერად ვაპირებთ რაიმე შევცვალოთ ამ თვალსაზრისით.

***— ახალი ხელისუფლების ნაბიჯებზე რას იტყვით? მმართველი პარტიის და მთავრობის სისუსტე სახეზეა?***

— ერთი მხრივ, გარკვეული გამოსაცდელი პერიოდი სჭირდება ახალ ხელისუფლებას. ხელისუფლებაში მოსული გუნდი არ არის ერთი პოლიტიკური ძალა და ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ერთიანი სტრატეგიის ჩამოყალიბება სჭირდებათ ყველა მიმართულებით, რაც ამ ეტაპამდე ჯერჯერობით არ იგრძნობა, თუმცა უკვე გასულია სამი თვე. ალბათ მეტი მოცდაც აღარ შეიძლება იმიტომ, რომ ხელისუფლებასაც ისევე სჭირდება კრიტიკა, საზოგადოებრივი პროცესი ითხოვს ამას. მხოლოდ კრიტიკული მოსაზრებებით იოლად გასვლაც არ გამოვა. არც ის გამოვა, რომ მხოლოდ ნაციონალური მოძრაობის ცუდი საქმეების გახსენება იყოს წამალი და რეცეპტი, ყველა იმ გასაჭირის და პრობლემების მოგვარებისა. ასე რომ, დადგა დრო, რომ ხელისუფლების ნაბიჯები ჩვენ უფრო რეალურად დავინახოთ, უფრო მკაფიოდ დავინახოთ, საით მიდის ქვეყნის კურსი, ქვეყნის ეკონომიკური ცხოვრება. სოციალურ სფეროში რეალურად არის პრობლემები და საინტერესოა, ამ პრობლემების მოგვარებას როგორ აპირებს ახალი ხელისუფლება. რა არის საბოლოოდ მართლაც ჩვენი საგარეო ორიენტაცია, რომ ეს ამდენი მითქმამოთქმა ამ მიმართულებით, შეგნებული თუ შეუგნებელი, დასრულდეს. ანუ ბევრია ჯერჯერობით ბუნდოვანება და ეს ბუნდოვანება ჯერჯერობით რაც მალე დასრულდება, მით უკეთესი იქნება.

***— ექსპერტები ნაციონალების ქმედებაში საბოტაჟს ხედავენ. ამის ნიშნები აშკარაა?***

— ამ წუთში არა მგონია, ნაციონალურ მოძრაობას დღეს იმდენი შესაძლებლობა ჰქონდეს, რომ გარკვეული პროცესების საბოტაჟირება შეძლოს. ნაციონალური მოძრაობა, სახელისუფლო საზოგადება სააკაშვილის უმრავლესობის ძალიან ძლიერი იყო მაშინ, როცა მის ხელში იყო მნიშვნელოვანი უწყებები — ძალოვანი უწყებები, აღმასრულებელი ხელისუფლება, ციხე იყო. ეს განაპირობებდა მათ გამოკვეთილ ძლიერებას. არა მგონია, რომ დღეს ნაციონალურ მოძრაობას ასეთი შესაძლებლობები ჰქონდეს. მაგრამ ნაციონალური მოძრაობა რაღაცა დოზით არის ხელისუფლებაში, არის პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, რომელსაც გარდა იმისა, რომ მისი ლეგიტიმურობა ძალიან დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ დგას 20 იანვრის შემდგომ, იმიტომ რომ 5 წლიანი ვადა, მისი საპრეზიდენტო პოლიტიკური ვადა ამოწურულია და ბუნებრივია, მისი ქმედება ბევრად უფრო რთული ხდება ასეთ სიტუაციაში. ნაციონალური მოძრაობა დღეს არის გუბერნატორების სახით და ადგილობრივ ხელისუფლებაში, თუმცა იქ ნაკლებად. იმიტომ, რომ რა ინფორმაციებიც გვაქვს რაიონებიდან ნაციონალების უმრავლესობები ნელ-ნელა იცვლება ახალი სახელისუფლო ძალის უმრავლესობით და ეს ძალიან ცუდი მახასიათებელია სამწუხაროდ, ჩვენი პოლიტიკური ცხოვრებისა. იმიტომ, რომ არის გარკვეული კატეგორია ადამიანებისა, რომლებიც ცდილობენ, რომ ხელისუფლებიც ქოლგის ქვეშ იყვნენ. ეს პროცესი ძალიან აქტიურად მიმდინარეობს ადგილობრივ საკრებულოებში. ვფიქრობ, ცოტა ზედმეტად არიან გართულნი ეს ორი სახელისუფლო შტო ერთმანეთთან ოპონირებაში. მეჩვენება, რომ სახელისუფლო პასუხისმგებლობის აღება არავის არ უნდა. ძველი ხელისუფლება, ბუნებრივია, ახალი ხელისუფლების ოპოზიციაშია და სააკაშვილსაც და ხშირ შემთხვევაში ნაციონალურ მოძრაობასაც ავიწყდება, რომ პრეზიდენტის პოსტი უმაგრებს და ხელისუფლების პასუხისგებლობა ამსაკ ეკისრება. ახალ ხელისუფლებას ჰგონია, რომ მხოლოდ ნაციონალურ მოძრაობასთან ოპონირების რეჟიმში უნდა გააგრძელოს ცხოვრება და არა თვითონ აიღოს პასუხისმგებლობა ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე.

***— პოლიტიკური დევნა კვლავ სახეზეა?***

— ჯერჯერობით ასე სახელის დარქმევა ალბათ გაჭირდება, რომ ეს არის ახალი ხელისუფლების იარაღი, მაგრამ სამწუხაროდ, იყო რამდენიმე შემთხვევა, რომელთა მიმართაც შეცდომა აღიარა ახალმა ხელისუფლებამ და კარგია, რომ რომ აღიარა. საერთოდ, იმდენად მძიმე იყო ის, რაც ხდებოდა პოლიტიკური ნიშნით დევნის თვალსაზრისით წინა ხელისუფლების პირობებში, რომ ძალიან დიდი სიფხიზლე მართებს ახალ ხელისუფლებას, მით უმეტეს, პოლიტიკური თანამდებობის პირებთან მიმართებაში, ან პოლიტიკასთან რაიმე შეხებაში მყოფ პირებთან ძველი ხელისუფლებიდან, რომ აბსოლუტურად ყველა სამართლებრივი ნორმის დაცვით, ყოველგვარი კითხვის ნიშნის გარეშე უნდა მოხდეს თითოეული საქმის გამოძიება, ალმკვეთი პერიოდის შემდგომი პერიოდიც, რომ არ რჩებოდეს არც ერთი კითხვის ნიშანი.



***— საპარლამენტო უმცირესობის წევრები და ლიდერი ნაციონალები, როგორც ჩანს, მმართველ პარტიას სათანადო ძალის მქონედ არ აღიარებენ და აფიქსირებენ, თუ პროკურატურას კითხვები აქვს, აქეთ გვეახლოსო, გამოკვეთა თბილისის მერმა უგულავამ. იგივე დეპუტატმა გიორგი ღვინიაშვილმა გააკეთა მსგავსი აქცენტი.***

—ჩვეულებრივი პოლიტიკური რიტორიკა მგონია ეს. სწორედ ამიტომ ვამბობ, რომ თუ რაიმე პრეტენზიები არსებობს იგივე გიგი უგულავასთან მიმართებაში და ალბათ არსებობს, მე ვერ გამოვდგები ამ შემთხვევაში ექსპერტად, მაგრამ მაინც ჯობია, რომ საქმე იყოს ობიექტურად გამოძიებული, რომ პოლიტიკური ანგარიშსწორების ნაცვლად ჩვენ რეალურ სამართლებრივ პროცედურებთან გვქონდეს საქმე. ნებისმიერ ადამიანთან მიმართებაში. როდესაც წინასწარ ტყდება აჟიოტაჟი და წინასწრ ხდება პროკურატურის მხრიდან პოლიტიკური განცხადებების კეთება, და შემდგომ ამას არ მოჰყვება არაფერი, რა თქმა უნდა, ნაციონალური მოძრაობა ამას გამოიყენებს და სხვაც გამოიყენებდა.

***— დაბოლოს, თქვენ განცხადება გააკეთეთ ექსპერტ გია ხუხაშვილზე, რომელსაც რუხ კარდინალად ასახელებენ. ითქვა, რომ ახლა ადეიშვილის ნაცვლად, ხუხაშვილთან ხდება ბიზნესმენების დაბარება.***

— სამწუხაროდ, ამაზე ძალიან დიდი საუბარია. როგორც ჩანს, ეს საუბარი ტყუილ-უბრალოდ, არ არის. ამის თაობაზე მეც რამდენიმე განცხადება გავაკეთე. იმედი მაქვს, ახალი ხელისუფლება ამ კრიტიკულ დამოკიდებულებას მედიის მხრიდან, ოპოზიციის მხრიდან სათანადოდ შეაფასებს და ეს მავნე პრაქტიკა აღარ გაგრძელდება. ჩვენ, „ახალი მემარჯვენეები“ ვართ ბიზნესის გულშემატკივრები. დავაკვირდებით, როგორ შეიცვლება ბიზნესის სიტუაცია. ბიზნესს სჭირდება პოლიტიკური წნეხისგან გათავისუფლება და კარგი ბიზნესგარემო. მხოლოდ ეს შექმნის ეკონომიკურად მდგრად სიტუციას; ეს მოიტანს სამუშაო ადგილებს და არა ვინმეს კაბინეტებში დაბარება და ა.შ,. რაც წინა ხელისუფლების დროს არანორმალური პრაქტიკა იყო. ძალიან დიდი იმედი მაქვს, რომ ეს მომავალში აღარ გაგრძელდება და ის, რაც აქამდე გამოიკვეთა, ისიც დასრულდება. რაც შეეხება იმას, მართლაც არის თუ არა ხუხაშვილი ახალი ხელისუფლების რუხი კარდინალი, ამაზე ძალიან ბევრი ლაპარაკობს. მე თვითონ ამ ადამიანებთან საუბარი არ მქონია, მაგრამ კვამლი უცეცხლოდ არ ჩნდება. როგორც ჩანს, რაღაც ამდაგვარ ინიციატივებთან გვქონდა საქმე. იმედი მაქვს, ეს აღარ გაგრძელდება.

# ირაკლი ლობჟანიძე: „მაგთიკომი“ იყო და რჩება უპირობო ლიდერად კავშირგაბმულობის სფეროში

კომპანია მაგთიკომის სახელმწიფო ტენდერში გამარჯვებას ქართულ საკომუნიკაციო ბაზარზე სერიოზული ცვლილებები მოჰყვა. ამასთანავე ფაქტია, საბოლოო შედეგებამდე ჯერ კიდევ ბევრი რამ შეიცვლება. მაგთიკომში ვარაუდობენ, რომ მათი საბაზრო წილი რამოდენიმე პროცენტით გაიზრდება. უკვე სახეზეა პირველადი შედეგები, რომლებიც მომენტალურად აისახა პორტირების მონაცემებზე — ამ დღეებში მაგთიკომში 50 ათასზე მეტი აბონენტი დაპორტირდა და კარდინალურად შეიცვალა პორტირების ზოგადი სურათი.

მიმდინარე პროცესების შესახებ გვესაუბრება მაგთიკომის მარკეტინგის დირექტორი ირაკლი ლობჟანიძე:

— კონსოლიდირებული სამთავრობო ელექტრონული ტენდერი გასული წლის მიწურულს გაიმართა. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ ეს იყო სრულიად გამჭირვალე პროცესი. გარდა სატენდერო პირობების დაკმაყოფილებისა, მობილურ ოპერატორს მოეთხოვებოდა დაბალი ფასი ქსელის გარეთ განხორციელებულ ზარებზე. სწორედ ეს ფასი გახლდათ საბოლოო ელექტრონული ვაჭრობის საგანი.

***— რა ასახვას ჰპოვებს ეს ფაქტი საკომუნიკაციო ბაზარზე?***

— ამ ფაქტმა რეალურად შეცვალა სურათი ბაზარზე. პორტირებით მაგთიკომში გადმოსულ აბონენტთა რაოდენობა მკვეთრად გაიზარდა. ჯეოსელიდან და ბილაინიდან 47 ათასი აბონენტით მეტი მოვიდა ვიდრე მაგთიკომიდან წავიდა. ამ ეტაპზე პორტირების მაჩვენებელი ერთადერთი ინდიკატორია და საგულისხმოა, რომ 2 კვირის განმავლობაში სურათი ძირეულად შეიცვალა და ის დღითი დღე უფრო იცვლება მაგთიკომის სასარგებლოდ. პორტირების შედეგად კომპანიაში შემოსული აბონენეტების რაოდენობა ყოველდღიურად იზრდება — სამთავრობო სტრუქტურები ეტაპობრივად გადმოდიან ჩვენს ქსელზე. როდესაც ეს პროცესი დასრულდება სხვაობა კიდევ უფრო საგრძნობი იქნება.

***— თქვენმა კონკურენტმა კომპანიებმა პორტირების ამ შედეგებს უკვე დაარქვეს ხელოვნური...***

— ჩვენ გავიმარჯვეთ სრულიად გამჭირვალე, სამართლიან ელექტრონულ ტენდერში, დავდეთ მინიმალური ფასი და ვამბობთ, რომ ვუზრუნველყოფთ ხარისხს. სწორედ ეს ვერ შეძლო კონკურენტმა კომპანიამ – როგორც ჩანს მათ ვერ გარისკეს ნულოვან ტარიფზე წასვლა. 0-თეთრიანი ტარიფი რომ დააწესო, დარწმუნებული უნდა იყო, რომ შენი ქსელი ყოველმხრივ გამართულია და ჩვენს შემთხვევაში 150 ათასი (შესაძლოა მეტისაც) აბონენტის დამატებას გაუძლებს. სულ ცოტა ხნის წინ, მაგთიკომმა გაავრცელა ინფორმაცია საახალწლო ღამეს ჩვენი ქსელით განხორციელებული ზარებისა და სმს-ების რეკორდული რაოდენობის შესახებ. ჩვენმა ქსელმა უპრობლემოდ გადაიტანა საახალწლო დატვირთვა, არ ყოფილა მნიშვნელოვანი გადატვირთვები... ჩვენთვის ყოველთვის პრიორიტეტული იყო და არის ტექნიკური პარამეტრების მაღალ სტანდარტებზე ზრუნვა და მიმაჩნია, რომ სრულიად დამსახურებულ ბუნებრივ შედეგს ვიმკით.




***— რა დამატებითი ზომები გატარდა მომსახურების ხარისხის უზრუნველსაყოფად?***

— როგორც აღვნიშნე, ტექნიკურ პარამეტრებზე ყოველთვის ვზრუნავდით. აბონენტთა ამ ნაწილის მომსახურებისთვის კი შეიქმნა სპეციალური ჯგუფი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში მათ დაეხმარება. ეს ჯგუფი უშუალოდ მათთვის იმუშავებს.

***— როგორ აისახება ეს შედეგები ქართულ საკომუნიკაციო ბაზარზე?***

— ბაზრის წილები თებერვალშივე დაითვლება. ამის შესახებ ინფორმაციას ცალკე გავავრცელებთ.

***— რამდენად გამძაფრდება კონკურენცია და ხომ არ დარჩება უყურადღებოდ ჩვეულებრივი მომხმარებელი?***

— ქართულ საკომუნიკაციო ბაზარზე კონკურენცია ყოველთვის მძაფრი და უკომპრომისო იყო. მაგთიკომი ყოველთვის იზრუნებს თავის მომხმარებლებზე და კვლავაც შესთავაზებს მათ საინტერესო პროდუქტებს.

***— მაგთიკომი რამდენიმე ბრენდის მფლობელია. რომელი ბრენდით მოემსახურება იგი სამთავრობო ეშელონებს?***

— ტენდერში გამარჯვებული ბრენდია „მაგთი“. სამთავრობო სტრუქტურები „მაგთიზე“ გადმოდიან და ეს შეცვლის პორტირების შიდა სურათსაც. სხვათაშორის, თუ ბრენდების მიხედვით ვიმსჯელებდით, აქამდე ყველაზე წარმატებული (საერთო ბაზარზე არსებულთაგან) „ბანი“ იყო. ჩვეულებრივ არაკორპორატიულ მომხმარებლებში „ბანი“ ლიდერობს, რაც, ცხადია, მისი სატარიფო გეგმებითაა განპირობებული.

***— მიიღებენ თუ არა სამთავრობო სტრუქტურების თანამშრომლები და ოჯახის წევრები უკეთეს პირობებს, ვიდრე ჰქონდათ?***

— ცხადია. ერთმანეთს შორის უფასო საუბარი სიახლეა. ეს მნიშვნელოვანი დანაზოგი იქნება სახელმწიფოსთვისაც და სახელმწიფო სტრუქტურების თანამშრომლების ოჯახებისთვისაც.

***— ტენდერი ერთწლიან პერიოდს მოიცავს?***

— არა. ტენდერი გამოცხადდა 3 თვით. შემდეგ სავარაუდოდ მეორე ტენდერი ჩატარდება. ასეთი ტენდერი პირველად ჩატარდა. პირველად ხდება მსგავსი მომსახურების მიწოდება ასეთ მსხვილ კორპორატიულ დამკვეთზე. პირველადვე განხორციელდა ასეთი სატარიფო პოლიტიკა. ამიტომ აუცილებლად საჭიროა დაკვირვება. ზუსტად, ფაქტებით და არა თეორიულად უნდა განისაზღვროს როგორ აისახება ეს ბაზარზე, რას გამოიწვევს ქსელის დატვირთვის კუთხით. შესაბამისად, ვთვლით, რომ სამთვიანი პერიოდი კომპანიისთვისაც ხელსაყრელია. ამ დროში რეალურად შევაფასებთ ფინანსურად რამდენად მომგებიანი იქნება ეს ყველაფერი კომპანიისთვის. ბიზნესში ყველა ოპერაცია მომგებიანი უნდა იყოს.

***— რა ცვლილებებს ელოდებით მომავალი ტენდერისთვის?***

—შეიძლება სამი თვის შემდეგ დამკვეთის პრიორიტეტები შეიცვალოს. სამ თვეში ჩვენ მივიღებთ საჭირო გამოცდილებას, ხოლო სამთავრობო სტრუქტურები ჩამოყალიბდებიან რა არის მათთვის პრიორიტეტი. შეიძლება ამ სამი თვის შემდეგ ელექტრონული ვაჭრობა არა ქსელისგარეთა ზარების ფასზე, არამედ ინტერნეტის გარშემო გაიმართოს... რაიმეს განსაზღვრა ჯერ ნაადრევია. საკომუნიკაციო სფეროში საკმაოდ სწრაფად ხდება ცვლილებები.

***— შემდეგი ტენდერისას, სხვა პრიორიტეტების წამოწევის შემთხვევაში, რა პერსპექტივებს ხედავთ? გაუწევს თუ არა მაგთიკომი, ვთქვათ, ინტერნეტის ფასით კონკურენციას სხვა კომპანიებს?***

— მობილური ინტერნეტის კუთხით მაგთიკომის ქსელი მთელს საქართველოში განვითარებული. დიდ ქალაქებში გვაქვს HSPA+ ტექნოლოგია, რომელიც იდეალურ შემთხვევაში სიჩქარეს 21 მგბ-მდე უზრუნველყოფს. საშუალო სიჩქარე ქვეყანის მთელ ტერიტორიაზე 3.6 მეგაბიტამდე წამშია და საქართველოში ინტერნეტსერვისის მიღებისთვის ეს სრულიად საკმარისია. რაც შეეხება საფასო პოლიტიკას, რა თქმა უნდა ფასები არის კონკურენტული. ნებისმიერ მომხმარებელს შეუძლია შეიძინოს პაკეტები, რაც უფრო დიდი მოცულობის პაკეტს ყიდულობს მით უფრო დაბალია მეგაბაიტის ფასი. მაგალითად სამთავრობო სტრუქტურებისათვის, 25 ლარად 5 გიგაბაიტის ყიდვაა შესაძლებელი, რაც პრაქტიკულად ულიმიტო ინტერნეტს ნიშნავს., აგრეთვე შესაძლებელია 45 ლარად 15 გიგაბაიტის შეძენა, მაგრამ 15 გიგაბაიტის მობილური ტელეფონით გამოყენება, ალბათ, შეუძლებელია, თუ ადამიანი ტელეფონს არ იყენებს, როგორც მოდემს და კომპიუტერს არ უერთებს მხატვრული ფილმების ჩამოსატვირთად. 15 გიგაბაიტი ეს ისეთი მოცულობაა, რომელიც ჩვეულებრივი მოხმარებით შეუძლებელია გამოიყენო. საშუალოდ მომხმარებელი 1-3 გიგაბაიტამდე მოიხმარს თვეში და ფაქტობრივად 5 გიგაბაიტიც შეიძლება ულიმიტოდ განვიხილოთ. მაგთიკომის მობილური ინტერნეტის ფასების საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე იაფია,

***— კონსოლიდირებული ტენდერი მაგთიკომისთვის პირველი მასშტაბური პროექტია?***

— 2008 წელს მაგთიკომმა განახორციელა საქართველოს ერთიანი სამთავრობო ქსელის პროექტი, რაც ელექტრონულ მართველობაზე გადასვლის წინაპირობა იყო. ამ ქსელში ჩართულ ყველა სამთავრობო სტრუქტურას, 674-ზე მეტ ობიექტს, საშუალება მიეცათ დაენერგათ ისეთი პროდუქტები, რომლებიც ქვეყნის მოსახლეობას სახელმწიფო სტრუქტურებისგან მომსახურების მიღებას გაუადვილებდა და ამ უწყებების მუშაობის ეფექტურობას კი მკვეთრად გააუმჯობესებდა. მათ შორის მდგრად კავშირს მაგთიკომი უზრუნველყოფდა. 2011 წელს მსგავსი ქსელი შეიქმნა საჯარო სკოლებისა და რესურსცენტრებისთვის და შედეგად შესაძლებელი გახდა ელექტრონული საატესტატო გამოცდების ჩატარება.

***— ამ დროისთვის რა რაოდენობის აბონენტს ემსახურება „მაგთიკომი“?***

— მაგთიკომის მობილური ქსელით დაახლოებით 2,1 მილიონი აბონენტი სარგებლობს და ამას ემატება მაგთიფიქსის 600 ათასი აბონენტი, დაახლოებით 2,7 მილიონ აბონენტზე მეტს ვემსახურებით.

# მამუკა გიორგაძე: „უგულავასა და მერაბიშვილის დაპატიმრება პრობლემა არ არის“

შორენა კოწოწაშვილი

ეროვნული მოძრაობის წევრი და ყოფილი დეპუტატი მამუკა გიორგაძე ფიქრობს, რომ ხელისუფლება მდარე პოლიტიკურ კულტურას ნერგავს და თავს არიდებს საგარეო ორიენტირების გამოკვეთას.

უნდა მოუსმინოს თუ არა საპარლამენტო უმრავლესობამ მიხეილ სააკაშვილს? რა კითხვებს ბადებს ხელისუფლების დამოკიდებულება სააკაშვილის მაღალჩინოსნებთან და რა უნდა გააკეთოს „ქართულმა ოცნებამ“, ხალხში ნდობა რომ არ დაკარგოს? — ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს „სახალხო პარტიის“ ლიდერ მამუკა გიორგაძესთან.



***— ბატონო მამუკა, ხელისუფლების საგარეო კურსმა პოლიტიკურ წრეებში ხმაური გამოიწვია. ითქვა გამოკვეთილ რუსულ ინტერესზეც. ეს აშკარაა?***

— სამწუხაროდ, მაგისტრალური მიმართულება „ქართული ოცნების“ საგარეო პოლიტიკისა ჯერ არ ჩანს. სხვადასხვა განცხადებები ისმის, რომელიც ცალკე აღებული მიმზიდველი და საინტერესოა, მაგრამ ხელისუფლებას მთლიანობაში ეს როგორ აქვს წარმოდგენილი, ამის დაკონკრეტება არ ხდება. რატომ? არ ვიცი, ან ბოლომდე არ აქვთ გააზრებული, ან შეგნებულად არ აცხადებენ. ძალიან მინდა საქართველო გაწევრიანდეს ნატოში და რუსეთს მტრად არ განიხილავდეს. მაგრამ როგორ შეიძლება ფორმულირდეს, ჩვენ ნატოს წევრი გავხდებით და ამავდროულად რუსეთის მეგობრები ვიქნებით, ეს ჩემთვის ცოტა გაუგებარია. ხელისუფლების ნაბიჯები დაკონკრეტებას საჭიროებს. ამას უყურებენ როგორც მტრები, ისე მეგობრები. ყველა დაბნეულია იმის გამო, რომ ეს მაგისტრალური ხაზი არ იკვეთება. როცა საუბარია რუსეთთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებაზე, რკინიგზის გახსნაზე და ა.შ., ეს მისაღებია, მაგრამ დგება საკითხი: ეს ეკონომიკური განვითარების შემადგენელი რამდენად ღირებულია პოლიტიკური საკითხის გადაწყვეტის დროს. ხომ შეიძლება ეს დავთვალოთ? არა მგონია, გაგვიჭირდეს იმის დათვლა, რას ველოდებით რუსეთის ბაზრის გახსნის შემთხვევაში; რამდენი უნდა იყოს მოგება; რა რაოდენობის ღვინო შეიძლება გავიტანოთ; რა რაოდენობის ბორჯომმა შეიძლება აითვისოს რუსეთის ბაზარი და ა.შ. იგივე რკინიგზის გახსნის შემთხვევაში, როგორ გაიზრდება ტვირთბრუნვა და რა მოგება ექნება საქართველოს. დღეს ეს დაკონკრეტებული არ არის. ამიტომ, ჩვენ უნდა ვიფიქროთ: ან იმდენად მცირეა ეკონომიკური ბრუნვიდან შემოსული შემოსავალი ქვეყნისთვის, რომ ოდნავადაც არ ღირს ეჭვქვეშ დადგეს ტერიტორიული მთლიანობა ან ჩვენი რომელიმე მეზობელთან ურთიერთობა. აქედან გამომდინარე ჩვენ უნდა დავთვალოთ ეს ყველაფერი. თუ მოგება დიდია, უნდა ვიფიქროთ, ღირს, რომ ეს ნაბიჯები გადავდგათ?

***— რაზე მიანიშნებთ, ხელისუფლებამ სიღრმისეულად არ შეისწავლა რუსეთის ბაზართან დაკავშირებული ყველა საკითხი?***

— სიღრმისეული ანალიზი აკლია მთელ რიგ ნაბიჯებს. დღეს არსებული ვითარებით ძნელია შეაფასო ხელისუფლების მოქმედებები. კარგი იქნება, თუ დროულად ჩამოყალიბდება იმ ორიენტირების ირგვლივ, რომელიც სტრატეგიულად უმნიშვნელოვანესია ქვეყნისთვის. და კიდევ: საზოგადოებაში ხშირად ისმის, ყველაფერი არ უნდა ითქვასო. შეიძლება, მაგრამ სტრატეგიული ინტერესის დამალვას აზრი არ აქვს. რაც არ უნდა მალოს, ეს მაინც გამოიკვეთება. ამიტომ ჩვენ ეს ღიად უნდა ვთქვათ. ვერავინ ვერავის მოატყუებს.

***— მმართველმა პარტიამ რომ ვერ გამოკვეთა საგარეო ორიენტირები, ეს საგარეო საქმეთა მინისტრის სისუსტის შედეგიცაა?***

— ყოველ შემთხვევაში, იმ დოზით არ მიდის მუშაობა, რა დოზითაც საჭიროა. არ მიმდინარეობს იმ სტრუქტურების ჩამოყალიბება და იმ სამუშაოების წარმართვა, რომელიც სასურველია. გადაწყვეტილებები ისევ დახურულად მიიღება, არადა, საქართველოში არიან საკმაოდ მაღალი დონის ექსპერტები, დიდი გამოცდილების ადამიანები და, სამწუხაროდ, ღია დისკუსია არ მიმდინარეობს მნიშვნელოვან საკითხებზე. მხოლოდ დახურული დისკუსიებია წინასწარ შერჩეული ადამიანებით. ჩვენ არა გვაქვს შესაძლებლობა ამ დისკუსიებში მონაწილეობის. თუნდაც საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებული პროცესი ავიღოთ. როგორ, საქართველოში მხოლოდ ორი პარტიაა? ორ პარტიას შორის რატომ ხდება საკონსტიტუციო ცვლილებების განხილვა? რატომ ტოვებს „ქართული ოცნება“ პოლიტიკურ მოედანზე ოპოზიციურ ძალად მხოლოდ ნაცმოძრაობას, ჩემთვის გაუგებარია. აქ ორი ვარიანტია: ან იმიტომ, რომ არ ძალუძს ნაცმოძრაობას თავისი ადგილი მიუჩინოს, ის ადგილი, რომელსაც არჩევნებამდე პირდებოდა და რომელსაც იმსახურებენ, გლდანის შესაბამის დაწესებულებაში; ხელისუფლებას ან არ ძალუძს ეს გააკეთოს, ან და მეორე მომენტია: აწყობს, რომ ასეთი სახელგატეხილი, მოსახლეობისგან მხარდაუჭერელი ოპონენტი ჰყავდეს მას, რომელსაც ნებისმიერ პრობლემაზე შეუძლია თავში ისე წამოარტყას, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილის მხარდაჭერა გარანტირებული ექნება. სხვა აზრის გამოტანა, ცოტა რთულდება. მესამე აზრიც არის, რისი დაჯერება არც მე და არც ბევრს არ უნდა: ნაცმოძრაობა ეს იყო ნორმალური ძალა, რომელიც ცოტა რაღაცაში ცდებოდა, მაგრამ ძირითად საკითხებში მართალი იყო. აგერ დემოკრატია ააშენა, რეფორმების გამო ხალხმა არ მიიღო, დამარცხდა არჩევნებში და ახლა ოპოზიციაში სრული სინდისით შეუძლია არსებობდეს და, შესაბამისად, ამ ადამიანებმა — უგულავამ, მერაბიშვილმა და სხვებმა, ხანდახან ჭკუაც კი შეიძლება დაგვარიგონ. ამ მესამე ვარიანტის დაჯერება არავის უნდა. ამიტომ რჩება ის წინა ორი ვარიანტი. ამიტომ მოვუწოდებ ხელისუფლებას, უფრო მკაფიოდ გამოხატოს თავის დამოკიდებულება. სამი თვე შეიძლება დიდი მნიშვნელობის პროცესების წარმართვისთვის იყოს მცირე დრო და არც უნდა მოსთხოვო, კონკრეტული დიდი პროექტები რატომ ვერ დაამთავრეო, მაგრამ დაწყება ამ პროექტებისა, ნამდვილად შესაძლებელია ამ პერიოდის განმავლობაში. ჩვენ ვხედავთ, ნაცმოძრაობა როგორ ყალიბდება ძალად, რომელიც თავისუფლდება ძველი ცოდვებისაგან და განსაწმენდელის პერიოდს განიცდის. ეს, ჩვენი აზრით, ძალიან შემაშფოთებელა.

***— რას მიაწერდით უგულავას და მერაბიშვილის ბოლო განცხადებებს? უგულავამ მერიაში მოითხოვა დაკითხვა, მერაბიშვილი კი — თუ მაგრები ხართ, დამიჭირეთო.***

— აშკარაა, რომ სააკაშვილის გუნდის წევრები, რომლებიც არჩევნებიდან გარკვეული შოკით გამოვიდნენ, 3 თვის შემდეგ უფრო გულმოცემულები არიან. მათ ან გარანტიები მიიღეს, ივანიშვილი ხელს ვერ მოგკიდებთ და ამის გამო წამოყვეს თავი, ანდა ხელისუფლებას მართლაც სისუსტე შეატყვეს. ამ ადამიანებს პასუხი უნდა მოვთხოვოთ. ქართველი ხალხი მხარს უჭერს ივანიშვილს სამართლიანობის აღდგენის პროცესში, როგორიც არის პასუხისმგებლობის დაკისრება ნაცმოძრაობის წარმომადგენლებზე, რომლებმაც 9 წლის განმავლობაში ქვეყანა დაანგრიეს. თუ ეს არ იქნება რეალიზებული, ხალხში ოცნება ნდობას დაკარგავს. დატოვო ნაცმოძრაობა კვლავ პოლიტიკურ სპექტრში, ეს არის არა მარტო სისუსტის გამოვლინება ან შეცდომა, არამედ შეგნებული დანაშაულიც. ეს არის ნაღმი ჩადებული ქართული სახელმწიფოს მშენებლობაში. თუ ამ ნაღმს სწრაფად არ გავაუვნებელყოფთ, კაცმა არ იცის, როდის აფეთქდება და რა მნიშვნელოვანი ზარალის მოტანა შეუძლია მას სამოქალაქო დაპირისპირების ორგანიზების ჩათვლითაც. ყველაზე უარესი, რაც შეიძლება გააკეთოს, ესეც არ არის გამორიცხული. ამიტომ, რაც შეიძლება მალე არის მისახედი ნაცმოძრაობა. ნახევარზომებზე მაქვს ლაპარაკი. როდესაც 200 პოლიტპატიმარია აღიარებული და გამოშვებული ციხიდან, მაინტერესებს, იმ პოლიტპატიმრებს ხომ ჰყავდათ მინიმუმ, 200 პროკურორი, მოსამართლე, მოწმე, რომელმაც ცრუ ჩვენება მისცა; ხომ ჰყავდა მრავალი სხვა, მომსახურე ადამიანი, რომელიც ხელს უწყობდა ამ 200 ადამიანის წვალებას, წამებას, დაჭერას და ა.შ. სამწუხაროდ, ჯერ არ გაგვიგია, რომ თუნდაც ერთ მათგანზე იყოს რაიმე სერიოზული დევნა განხორციელებული. როგორ გამოგვდის: პოლიტპატიმრები გვყავს და დამნაშავე არავინ არ არის?!

***— ზოგადად ის სისტემა იყო დამნაშავე..***

— თუ სისტემაა დამნაშავე, სისტემის დემონტაჟი დავიწყოთ. ამ სისტემას კონკრეტული პიროვნებები ქმნიდნენ და მათ უნდა მოეთხოვოთ პასუხი, მაგრამ, საბოლოო ჯამში, სტიმულირება უკეთდება დანაშაულობას. იმდენად, რომ თუ ნაცმოძრაობას შერჩა დანაშაული, შერჩება სხვასაც. მაშინ მე რატომ უნდა ვთქვა უარი დანაშაულის არჩადენაზე, თუკი შემრჩება ეს ყოველივე? აქედან გამომდინარე ხელისუფლებას უფრო მეტი პასუხისმგებლობა მართებს. შეიძლება რეფორმები ვერ განახორციელო მალე და რაღაც საკითხები ვერ გადაჭრა, მაგრამ ის, რომ დამნაშავე არ დაიჭირო, სცილდება ყოველგვარ საზღვარს. ამავე დროს ძალიან კარგად ვიცით, მათ შორის ტელევიზიებიდან იმ დანაშაულობების შესახებ, რომელსაც ნაცმოძრაობა სჩადიოდა. თუ მასალები არ აქვთ, ჩვენ მივცემთ. მერაბიშვილის და უგულავას დაჭერა დიდ სირთულეებთან არ არის დაკავშირებული, მაგრამ ერთსაც და მეორესაც რომ მისცემ ტიპობის საშუალებას, ეს უკვე შეურაცხმყოფელია. პასუხი მერაბიშვილს და უგულავას კი არა, ხელისუფლებას უნდა მოეთხოვოს იმაზე, როცა ატიპებ ადამიანებს, რომლებიც არიან მთელი თავისი არსით, ცხოვრების წესით, ცარიელი ადგილები. თუ მათ პასუხს არ მოსთხოვენ, ეს ხალხის შეურაცხყოფა იქნება. შეიძლება ამას მოყვეს სტიქიური ანგარიშსწორებები, რაზეც პასუხისმგებლობა ხელისუფლებას დაეკისრება.

## ყოფილი პოლიტპატიმრები საქმეების გასაჯაროებას ითხოვენ

ყოფილი პოლიტპატიმრები საკუთარი საქმეების გასაჯაროებას ითხოვენ. გუშინ მათ კინოს სახლიდან პარლამენტს და არასამთავრობო ორგანიზაციებს, ერთობლივი მიმართვით მიმართეს.



არასამთავრობო ორგანიზაცია „ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისათვის“ ხელმძღვანელის ნანა კაკაბაძის განცხადებით, ისინი მათი საქმეებისათვის გრიფით საიდუმლოს მოხსნას ითხოვენ და სურთ, რომ ამ საქმეების განხილვა საჯარო იყოს.

„მოითხოვენ იმ საქმეებზე გრიფით საიდუმლოს ახსნას, რომელსაც დღემდე გრიფით საიდუმლო ადევს. უნდა მოხდეს ამ პროცესების საჯაროდ განხილვა. იმისათვის, რომ საზოგადოებამ იცოდეს ზუსტი ინფორმაცია, რადგან წინა ხელისუფლება დღესაც სპეკულირებს პოლიტპატიმების თემით და დღესაც უნდა წარმოაჩინოს, რომ ეს ადამიანები არ იყვნენ პოლიტპატიმრები. ამიტომ ისინი თხოვნით მიმართავენ პარლამენტს, რომ ხელი შეუწყოს მათ საზოგადოებაში წარმოჩინებას“-აცხადებს ნანა კაკაბაძე.

მედიანიუსი

## ჟერარ დეპარდიე რუსეთის მოქალაქეობაზე უარის თქმას აპირებს

ცნობილი ფრანგი მსახიობი ჟერარ დეპარდიე რუსეთის მოქალაქეობაზე უარის თქმას აპირებს.

რუსული მედიის ცნობით, 64 წლის დეპარდიემ გადაწყვიტა, არ თქვას უარი საფრანგეთის მოქალაქეობაზე, თუმცა ამასთანავე, სურს მიიღოს ბელგიის მოქალაქეობაც.



კანონის მიხედვით, ამ შემთხვევაში მსახიობმა უარი უნდა თქვას რუსეთის მოქალაქეობაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის ბელგიის მოქალაქე ვერ გახდება, სადაც კანონმდებლობით მხოლოდ ორი ქვეყნის მოქალაქეობაა დაშვებული.

მიუხედავად იმისა, რომ ამ ეტაპზე დეპარდიეს ბელგიის მოქალაქეობის მისაღებად დოკუმენტები არ გადაუგზავნია, ამის გაკეთებას ის ამ თვეში აპირებს, მას შემდეგ რაც რუსეთის მოქალაქეობაზე ოფიციალურად უარს იტყვის. გარდა ამისა, იმისათვის, რომ ფრანგი მსახიობი ბელგიის მოქალაქე გახდეს, მას ამ ქვეყანაში ცხოვრებაც მოუწევს.

შეგახსენებთ, რომ ჟერარ დეპარდიემ საფრანგეთის მოქალაქეობაზე უარი გასული წლის დეკემბერში განაცხადა. ამის მიზეზი მეტისმეტად მაღალი გადასახადები გახდა. იგი თავდაპირველად ბელგიაში გადასახლდა, რასაც საფრანგეთის ხელისუფლების მწვავე რეაქცია მოჰყვა. ვლადიმირ პუტინმა მას რუსეთის მოქალაქეობა იანვრის დასაწყისში მიანიჭა.

გ.მ.

## აშშ-ის ახალი სახელმწიფო მდივანი სრული დატვირთვით მუშაობას შეუდგა

აშშ-ის ახალი სახელმწიფო მდივანი ჯონ კერი სრული დატვირთვით მუშაობას უკვე შეუდგა.

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის პრეს-სამსახურის ინფორმაციით, კერიმ უცხოელ ლიდერებთან პირველი სატელეფონო საუბრები გამართა, კერძოდ, ისრაელის პრეზიდენტ შიმონ პერესს, პრემიერ-მინისტრ ბენიამინ ნეთანიაჰუს და პალესტინის ავტონომიის ლიდერ მაჰმუდ აბასს, მოგვიანებით კი იაპონიისა და სამხრეთ კორეის საგარეო საქმეთა მინისტრებსაც ესაუბრა.



ნეთანიაჰუმ კერის ახალი მთავრობის ფორმირების სამუშაოები გააცნო. კერიმ კი, თავის მხრივ, კვლავ დაადასტურა აშშ-ის მხრიდან ისრაელის სახელმწიფოს უსაფრთხოების მხარდაჭერა და ისრაელსა და პალესტინას შორის მშვიდობიანი თანაცხოვრების მიღწევის სურვილი. მხარეებმა ირანისა და სირიის საკითხებიც განიხილეს.

მაჰმუდ აბასთან საუბრისას კერიმ ყურადღება პალესტინასა და ისრაელს შორის მშვიდობის მიღწევის აუცილებლობაზე გაამახვილა. არსებული ინფორმაციით, კერის პირველი უცხოური ვიზიტი სწორედ ახლო აღმოსავლეთში განხორციელდება. ის სავარაუდოდ, ისრაელსა და ეგვიპტეს ეწვევა.

სახელმწიფო დეპარტამენტის ინფორმაციით, კერი ასევე კანადელ, თურქ და მექსიკელ კოლეგებს ესაუბრა.

შეგახსენებთ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის ფიცის დადების ცერემონიალი დახურული იყო. ჯონ კერიმ ფიცი კონგრესის შენობაში დადო. როგორც ცნობილია, მან ამ პოსტზე ჰილარი კლინტონი შეცვალა, რომელიც სახელმწიფო დეპარტამენტს 2009 წლიდან ხელმძღვანელობდა.

ცერემონიას აშშ-ის უმაღლესი სასამართლოს წევრი, ელენა კეიგანი უძღვებოდა, ხოლო ბიბლია, რომელზეც კერიმ ფიცი წარმოთქვა, მის მეუღლეს, ტერეზას ეკავა. ცერემონიას, ასევე, ესწრებოდნენ პოლიტიკოსის ქალიშვილი, ვანესა და მისი ძმა, კემერონი.

„ჩემთვის დიდი პატივია ფიცის მიღება და ერთი სული მაქვს, როდის დავიწყებ მუშაობას“, — განუცხადა კერიმ ჟურნალისტებს.

გ.მ.

## ფიდელ კასტრომ საპარლამენტო არჩევნებში საკუთარი პოზიცია დააფიქსირა



კუბის ექს-ლიდერმა, ფიდელ კასტრომ ქვეყნის საპარლამენტო არჩევნებში საკუთარი პოზიცია დააფიქსირა. ამის შესახებ „ბიბისი“ იუწყება.

კუბის ადგილობრივი ტელევიზიის ინფორმაციით, 86 წლის კასტრომ საათზე მეტი დაჰყო ჰავანაში, ვიდადოს საარჩევნო უბანზე და მედიასა და ამომრჩევლებსაც გაესაუბრა.

როგორც „ბი-ბი-სის“ ჰავანის კორესპოდენტი იტყობინება, ფიდელი წელში მოხრილი იყო და საუბრობდა სუსტი, მაგრამ გასაგები ხმით. მისი თქმით, კასტროს მანქანას ხალხის ჯგუფი გარს შემოერტყა და ლიდერს სიხარულით მიესალმა.

კუბის ნაციონალური ასამბლეის არჩევნები ბევრი ფორმალობებით ხასიათდება: ოპოზიციურ პარტიებს არჩევნებამდე არ უშვებენ, ყველა კანდიდატი მმართველი კომუნისტური პარტიიდანაა, პარლამენტში კი 600-ზე მეტი დეპუტატია. ფიდელ კასტრომ, ავადმყოფობის შემდეგ, ხელისუფლება თავის ძმას, 81 წლის რაულ კასტროს გადააბარა. კუბის რევოლუციის ლიდერი საზოგადოებაში 2012 წლის ოქტომბრის შემდეგ პირველად გამოჩნდა.

გ.მ.

## ევროკავშირი ირანისგან მოლაპარაკებებისადმი მზაობის ოფიციალურ დადასტურებას ითხოვს

ევროკავშირი ირანისგან ოფიციალურ დადასტურებას ითხოვს, „ექვსეულთან“ მოლაპარაკებების ახალი რაუნდის განახლების შესახებ, რომელიც ყაზახეთში, 25 თებერვალს გაიმართება. ამის შესახებ ინფორმაციას სააგენტო „როიტერი“ ქეთრინ ეშტონზე დაყრდნობით ავრცელებს.



ცოტა ხნით ადრე, ირანის საგარეო საქმეთა მინისტრმა, ალი აკბარ სალეჰიმ, მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენციაზე გამოსვლისას განაცხადა, რომ თეირანი მზადაა მოლაპარაკებათა შემდეგი ეტაპი ყაზახეთში, „ექვსეულთან“ გამართოს. „ექვსეულში“ შედიან: აშშ, რუსეთი, ჩინეთი, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი და გერმანია.

2012 წელს მსგავსი მოლაპარაკებები სამ რაუნდად გაიმართა: 14 აპრილს სტამბოლში, 23-24 მაისს – ბაღდადში და 18-19 ივნისს – მოსკოვში. ყველა ეს შეხვედრა კონკრეტული გადაწყვეტილებების მიღების გარეშე დასრულდა.

შეგახსენებთ, რომ ევროკავშირისა და აშშ-ის დიპლომატები მუშაობენ იმაზე, რომ ირანიდან ნავთობის იმპორტი საუდის არაბეთიდან იმპორტით ჩაანაცვლონ. აღსანიშნავია ისიც, რომ შარშან ირანის ნავთობის ექსპორტის 20 პროცენტი ევროკავშირზე მოდიოდა.

გ.მ.

# რა განსხვავებაა სააკაშვილის საგარეო პოლიტიკასა და ივანიშვილის პოლიტიკას შორის

თანარ ნინიძე

პოლიტიკური ექსპერტი გელა კვაჭანტირაძე პოზიტიურად აფასებს პატრიარქის ვიზიტს მოსკოვში, ხოლო ნაცმოძრაობის მიერ ამ ვიზიტის შესახებ გამოხმაურებას უკავშირებს მის პიარკამპანიას და პროპაგანდისტულ ინტერესებს. „ახალი თაობა“ გელა კვაჭანტირაძეს ესაუბრა.

*— საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ვიზიტზე მოსკოვში ნაცმოძრაობის მკვახე შეფასებები მოვისმინეთ. ნაცებმა გაბედეს და პატრიარქი გააკრიტიკეს, მათი აზრით, პატრიარქმა თავი უნდა შეიკავოს ისეთი ნაბიჯებისგან, რომლებიც საქართველოს სუვერენიტეტს საფრთხეს შეუქმნის. როგორ აფასებთ პატრიარქის ვიზიტს მოსკოვში?*

— ეს ვიზიტი ცალსახად დადებითად უნდა შეფასდეს. ჩვენი ერის სულიერი მამა ქადაგებს მშვიდობას, მეგობრობას, მათ შორის ჩვენს მეზობლებთან და ეს ვიზიტიც ამ ნიშნით იყო ხაზგასმული. პატრიარქმა პირველ რიგში პრინციპულად განაცხადა, მათ შორის პუტინთან შეხვედრის დროსაც, რომ უნდა აღდგეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და უნდა აღდგეს მეგობრული კავშირები ჩვენს მეზობლებთან და მათ შორის რუსეთთან. წარმოუდგენელია ამ ვიზიტში რაიმე ნეგატიური დაინახო, მიმაჩნია, რომ ნაცმოძრაობის პოზიცია მინიმუმ უტაქტო იყო.

*— რამდენად მაღალია ამ ვიზიტის მნიშვნელობა?*

— ეს იყო ძალიან მნიშვნელოვანი ვიზიტი, მაღალი დონის, ვინაიდან პატრიარქი შეხვდა როგორც საერო ხელისუფლების უმაღლეს პირებს, ასევე სასულიერო უმაღლეს პირებსაც. ვიზიტი იყო ძალიან კონსტრუქციული და მიმაჩნია, რომ ეს ვიზიტი არ ნიშნავს საქართველოს საგარეო კურსის გადახედვას. პირიქით, საუბარია საქართველოს დასავლური კურსის ნორმალიზაციაზე.

*— ჩვენი დასავლელი მეგობრები ჯერ კიდევ სააკაშვილს სთავაზობდნენ, დამსხდარიყვნენ რუსეთის უმაღლეს ხელისუფლებასთან და ეს ურთიერთობები გაერკვიათ. ეს იყო მათი მოთხოვნაც კი, ამას ლამის იმაზე მაღლა აყენებდნენ, ვიდრე საქართველოს ნატოში გაწევრიანებაა. ახლა ხომ არ დაიწყო ამ ამოცანის განხორციელება საქართველოს ხელისუფლების მხრიდან?*

— აქ მთელი არსი პრობლემისა ის არის, რომ რუსეთის პოლიტიკა პრობლემაა არა მარტო საქართველოსთვის, არამედ მთელი დასავლური სამყაროსთვის, ევროკავშირისთვის და ნატოსთვის. თანამშრომლობის რეჟიმი არის მათ შორის, მაგრამ ამავე დროს დაძაბული ურთიერთობაც შეინიშნება. ამდენად, საქართველოს საგარეო პოლიტიკა რუსეთთან მიმართებაში ამ კონტექსტში უნდა განვიხილოთ. ახლა იმაზე ვისაუბროთ, რა პრინციპული განსხვავებაა სააკაშვილის საგარეო პოლიტიკასა და ახალი ხელისუფლების საგარეო პოლიტიკას შორის, სააკაშვილის პოლიტიკა იყო მკვეთრად გამოხატული დასავლური, მაგრამ კონფრონტაციული რუსეთისადმი და ამ რეჟიმში არსებობა საქართველოსნაირი პატარა ქვეყნისთვის რთულია. ამიტომ ვერ მოუტანა სასურველი შედეგები საქართველოს ამ კონფტრონტაციულმა კურსმა. ამიტომ დასავლეთი გვირჩევს, შევინარჩუნოთ დასავლური კურსი, მაგრამ კონსტრუქციული ურთიერთობა დავამყაროთ ჩვენს უშუალო მეზობლებთან და პირველ რიგში რუსეთთან. ამის მცდელობაა ჩვენი ახალი ხელისუფულების ქმედებები და მცდელობა, როგორმე რუსეთთან აღდგეს დიალოგი დასავლეთსა და რუსეთს შორის. ეს არის არსი ჩვენი საგარეო პოლიტიკის კორექტირების და რეალისტურ რელსებზე გადაყვანისა. საქართველოს საგარეო კურსი, მე ამის დიდი იმედი მაქვს, კვლავ რჩება დასავლური, მაგრამ მისი განხორციელების მექანიზმები უფრო კონსტრუქციული და რეალისტური იქნება.



*— იყო გამოთქმული მოსაზრება, რომ პატრიარქის ვიზიტი იყო წინაპირობა ივანიშვილის და პუტინის შეხვედრის მოსამზადებლად. ეთანხმებით ამ ვარაუდს?*

— არ ვეთანხმები იმიტომ, რომ ეს არის ნაცმოძრაობის პიარკამპანიის რიტორიკა, ცუდი ის არის ამ რიტორიკაში, რომ ნაცმოძრაობისთვის ისეთი მაღალი ღირებულებები, როგორიც არის ქვეყნის საგარეო კურსი, პატრიარქის ავტორიტეტი და მისი გავლენა ქვეყნის შიგნით და გარეთ, მათ აქციეს პიარკამპანიის ნაწილად და პროპაგანდისტულ ხერხად და არყევენ იმ საფუძვლებს, რასაც ჰქვია ქვეყნის ავტორიტეტი.

*— სააკაშვილის მხრიდან დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია რკინიგზის აფხაზური მონაკვეთის გახსნის შესაძლებლობამ, მისი მხრიდან ეს შეფასდა, როგორც საქართველოს უსაფრთხოებაზე დარტყმის მიყენება. საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვაშაკიძე თანამდებობიდან წავიდა, ივანიშვილმა მას დაავალა, სომხეთში ვიზიტამდე ერთი კვირით ადრე რკინიგზის საკითხზე ანალიტიკური ინფორმაცია მოემზადებინა, რაც ვაშაკიძემ არ გააკეთა. ეჭვი გაჩნდა იმაზე, რომ ვაშაკიძის მხრიდან იყო საბოტაჟის ნიშნები. არის რეალურად საქართველოს უსაფრთხოება დარტყმის ქვეშ თუ ეს ნაცმოძრაობის პროპაგანდისტული გეგმის ნაწილია?*

— ვაშაკიძის გადადგომა ჩვეულებრივი გადადგომა არ ყოფილა, ამას მოჰყვა პოლიტიკური განცხადება, მიზეზად მან დაასახელა ქვეყნის საგარეო კურსის მიუღებლობა, რისი საფუძველიც არ არის. ეს იყო გამიზნული პოლიტკური დატყმა ახალ ხელისუფლებაზე. ეს არის ახალი მთავრობის საკადრო პოლიტიკის ერთ-ერთი მარცხი. ყველას უნდა გვესმოდეს, რომ თუ დავრჩებით აფხაზეთთან, ცხინვალის რეგიონთან და რუსეთთან იზოლაციურ რეჟიმში, არ დავეკონტაქტებით ეკონომიკურად, კულტურულად, სოციალურად, დრო ჩვენს სასარგებლოდ არ იმუშავებს. ეს არ იქნება ნაბიჯი ჩვენი ტერიტორიების დაბრუნებისკენ და იქნება თავის მოტყუება. დიალოგის დაწყება აფხაზებთან, ოსებთან და რუსებთან არ იძლევა იმის გარანტიას, რომ უმოკლეს დროში აღდგება ჩვენი იურისდიქცია მთელ ტერიტორიაზე, მაგრამ ეს იქნება აუცილებელი პირობა იმისათვის, რომ დაიწყო კონტაქტი. ამ კონტაქტის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი გახლავთ რკინიგზა.

*— სომხეთში პრემიერ-მინისტრის ვიზიტს თან ახლდა უცნაური განცხადება მისი მხრიდან, რომ საქართველოს თეთრი შურით უნდა შურდეს სომხეთის, იგულისხმა, როგორც ჩანს, სომხეთის დაბალანსებული საგარეო პოლიტკა.*

— დიახ, ამ განცხადებას დიდი გამოხმაურება მოჰყვა საქართველოში. ეს იყო ალბათ თავაზიანობის მომენტი და კომპლიმენტი სომხური მხარის მიმართ, რომ შევაქეთ მათი საგარეო პოლიტიკა, დიპლომატიური კომპლიმენტი იყო, მაგრამ ჩვენს ხელისუფლებას კარგად ესმის, რომ სოხმეთის გეოპოლიტიკა სრულიად სხვაგვარია, მას პირდაპირი საზღვარი არა აქვს რუსეთთან, ის არის იზოლაციაში მოქცეული და ყარაბაღის კონფლიქტი, მოგეხსენებათ, რა მწვავე ფაზაშია. მისი საგარეო პოლიტკა ორიენტირებულია უფრო მეტად რუსეთზე, ვიდრე დასავლეთზე, ამიტომ მისი საგარეო პოლიტიკა საქართველოსთვის მაგალითად ვერ გამოდგება. ესეც ნაცმოძრაობამ თავისი პიარისთვის გამოიყენა. საბედნიეროდ, საქართველო ყველა განცხადებაში აფიქსირებს პროდასავლურ კურსს.

*— დაბოლოს, მინდა გკითხოთ ბზეჟინსკის განცხადებაზე, მან თქვა, რუსეთთან ურთიერთობების დალაგებისკენ სწრაფვა საქართველოს ამერიკასთან ურთიერთობას გაუფუჭებსო. რა საფუძველი აქვს ბზეჟინსკის ამ მოსაზრებას?*

— არა მგონია, ეს განცხადება იმას გულისხმობდეს, რომ საქართველოს სურვილი, მოაგვაროს ურთიერთობები მეზობლებთან, მიმართულია სხვა სახელმწიფოების წინააღმდეგ. გააჩნია, ამ განცხადებას ვინ რა პირადი მიზნით გამოიყენებს. ამერიკასა და რუსეთს ჰქონდათ კონსტრუქციული ურთიერთობა, ობამას ე.წ. გადატვირთვის პოლიტიკა ამას ემსახურებოდა. ამ პოლიტიკას გარკვეული პოზიტიური შედეგები ჰქონდა. რუსეთმა მეტი სიხისტე და აგრესიულობა გამოამჟღავნა და ახლა მიდის ამ პოლიტიკის გადახედვა ევროპისა და ამერიკის მხრიდან. ის, რომ საქართველომ უნდა მოაგვაროს ურთიერთობა რუსეთთან, ჯდება გლობალური პოლიტიკის კონტექსტში რუსეთთან მიმართებაში, კონფრონტაციულად საქართველოს გამოყენება რუსეთის წინააღმდეგ არ უწყობს ხელს რეგიონალ სტაბილურობას. ბზეჟინსკის ეს განცხადება არის უბრალოდ გაფრთხილება, რუსეთი ცდილობს, შეგვიყვანიოს ან დსთ-ში, ან ევრაზიულ კავშირში, ჩვენ რომ გამოვთქვათ ამ გაერთიანებებში შესვლის სურვილი, ეს იქნებოდა დასავლური კურსის ღალატი. იმედი მაქვს, რომ ამ გაერთიანებებში არ შევალთ, მაგრამ ვეცდებით ეროვნული ინტრესებიდან გამომდინარე დავალაგოთ ურთიერთობები რუსეთთან.

# ზაზა წერეთელი: „ქართველებს პასუხისმგებლობის აღება არ გვიყვარს“

როლანდ ხოჯანაშვილი

*„ახალი თაობის“ იმერეთის ბიურო*

„ახალი თაობა“ ესაუბრა საქართველოში მიმდინარე პროცესების შესახებ ესტონეთში მცხოვრებ ემიგრანტსა და ექიმს ზაზა წერეთელს.

— ბატონო ზაზა, თქვენ, როგორც უცხოეთში მცხოვრები ქართველი, საქართველოში მიმდინარე მოვლენებს უყურებთ გარედან. საინტერესოა თქვენი შეფასება აქ მიმდინარე პროცესებზე; ვიცი, რომ საქართველოში მიმდინარე პროცესებს დიდი გულისყურით ადევნებთ თვალს.

— დიახ, მართლაც დიდი გულისყურით ვადევნებ თვალს საქართველოში მიმდინარე მოვლენებს. ვითარება რთულია და ვფიქრობ, ის გამოწვეულია იმით, რომ ხელისუფლების ერთმა შტომ (სააკაშვილი და მისი მომხრეები) ღია ბრძოლა გამოუცხადა ქვეყანას და მის მოსახლეობას. ხაზს გავუსვამ, ქვეყანას და მოსახლეობას და არა უბრალოდ მთავრობას. მათ ნამდვილად სულ არ ადარდებთ რა მოხდება ქვეყანაში, როგორ განვითარდება ეკონომიკა, მაშინ, როდესაც ევროპაში კრიზისი მძვინვარებს, როგორ გადაწყდება კონფლიქტური რეგიონების სიტუაცია, ან როგორ წარიმართება ჩვენი დასავლეთისკენ სვლა. ერთადერთი, რაც მათ აინტერესებთ, ეს არის ძალაუფლების დაბრუნება.

შექმნილ სიტუაციას ისიც ამძიმებს, რომ სააკაშვილს ჯერ კიდევ ჰყავს ე.წ. მხარდამჭერები დასავლეთში, მისი ლობისტები, რომლებსაც წლების განმავლობაში კარგად ეხმარებოდნენ და ჯერ კიდევ ეხმარებიან (ყოველთვის მეცინება, როდესაც მისი მომხრეები ცდილობენ დაგვაჯერონ, რომ ამას მათი მეგობრები მხოლოდ ქვეყნისა და დემოკრატიისადმი სიყვარულის გამო აკეთებენ) და მის პოზიციებს იცავენ დასავლეთში. ამას ემატება ისიც, რომ ბევრს, ვინც მის უკან იდგა, არ უნდა აღიაროს, რომ შეცდომა დაუშვა და ვერ დაინახა, რა პიროვნება ჩამოყალიბდა ერთ დროს ,,დემოკრატი‘‘ სააკაშვილისგან. სამწუხაროდ, ამ შეცდომის არაღიარება ისევ ჩვენ ქვეყანას უქმნის პრობლემებს.

სააკშვილმა თავისი ქმედებებით და პიარით დასავლეთში შეიქმნა იმიჯი, რომ ის ერთადერთია, ვინც რუსეთთან ხმალამოღებული იბრძვის და რომ მისი შეცვლით ეს ბრძოლა შეწყდება. ის ახლაც ცდილობს ამ „კარტის“ გათამაშებას. ამ მხრივ დასავლეთში მართლაც დიდი სამუშაოა ჩასატარებელი ახალ ხელისუფლების მიერ, რომ ჩვენი დასავლელი მეგობრები ამაში გადაარწმუნონ. თითქმის ყოველდღე მესმის ჩემი ბალტიისპირელი კოლეგებისგან შეკითხვა, მართალია, რომ პრორუსული მთავრობა მოვიდა? ამიტომ აუცილებელი იყო ელჩების სასწრაფო შეცვლა, განსაკუთრებით საკვანძო ქვეყნებში, რომ ახლად დანიშნულებს მეტად მკაფიოდ განემარტათ ეს სიტუაცია.

სხვათაშორის სააკაშვილის ეს ქმედება, თუ თქვენ ჩემს წინააღმდეგ ხართ, ესე იგი რუსეთის მომხრე ხართ, ყოველთვის მაგონებდა ბოლშევიკების და განსაკუთრებით სტალინის სტილს, რომლისთვისაც მის ოპონენტი მაშინვე ქვეყინს მოღალატის და იმპერიალიზმის დამქაშის იარლიყს იმსახურებდა. ამიტომაც მას და მის მომხრეებს ყოველთის ბოლშევიკებს ვუწოდებდი.

არის კიდევ ერთი მეტად თვალშისაცემი პრობლემა–პროფესიონალი კადრების სიმწირე. სხვას რას უნდა დავაბრალოთ ის ფაქტი, რომ სააკშვილის ბევრი მომხრე ჯერ კიდევ აგრძელებს მაღალ თანამდებობებზე ყოფნას სხვადასხვა სამინისტროებსა და უწყებებში. სხვას რას უნდა დავაბრალოთ ის ფაქტი, რომ მერია პირდაპირ დასცინის პროკურატურას, ხოლო ის ვერაფერს უპირისპირებს ამას? ისეთი ხალხი, რომელთაც უნივერიტეტიც კი ძლივს დაამთავრეს, უეცრად ექსპერტები გახდნენ და თითქმის ყოველ მეორე დღეს ჭკუას არიგებენ მოსახლეობას?

იმედი მაქვს, რომ სიტუაცია უკეთესობისაკენ შეიცვლება იმიტომ, რომ ნაცმოძრაობას უარი უთხრა ქვეყნის მოსახლეობის უდიდესამ ნაწილმა და ვერანაირი დასავლეთელი ლობისტი თუ დემოკრატი ვერ დაუდგება წინ ხალხის ნებას, რამეთუ დემოკრატია ხალხის ნების გამოხატვაა. ეს პროცესი ცოტა დროში იწელება და ამ პერიოდში კი ნაცმოძრაობა ცდილობს, მაქსიმალურად დაანგრიოს ყველაფერი, რაზეც კი ხელი მიუწვდებათ.

*— ,,ქართული ოცნების“, როგორც პოლიტიკური ძალის, მომავლის პროგნოზირება ამ ეტაპზე თუა შესაძლებელი?*

— პროგნოზირება შესაძლებელია. როგორც ნორმალურ, დემოკარტიულ ქვეყანაში ხდება, კოალიციები იშლება და შემდეგ ახლები იქმნება. დავაზუსტებ, აქ მე ვსაუბრობ „ქართულ ოცნებაზე“, როგორც კოალიციაზე, რომელშიც სხვადასხვა პარტიები შედის და არა როგორც ცალკე აღებულ პარტიაზე, რომელიც ახლა იქმნება და ამ ეტაპზე ჩემთვის ძნელია განჭვრიტო მისი მომავალი.

კოალიციები ძირითადად იქმნება მაშინ, როდესაც ცალკეულ პარტიებს არ აქვთ საშუალება ამა თუ იმ პრობლემის გადაჭრის და ამიტომაც ისინი შედიან კავშირში სხვა პარტიებთან. საქართველოში ამას ისიც დაემატა, რომ საჭირო იყო დიდი ძალისხმევა, სააკაშვილის ავტორიტარული რეჟიმის შესაცვლელად. საქართველოს მოსახლეობა მუდმივად მოითხოვდა ამისათვის ოპოზიციური ძალების გაერთიანებას. „ქართული ოცნების“ კოალიციის ჩამოყალიბება აუცილებელი და დროული მოვლენა იყო. გარკვეული დროის შემდგ წამოიჭრება საკითხები, რომლებზეც ყველა პარტიას ერთი აზრი არ ექნება. ეს სავსებით ნორმალური მოვლენაა. მთავარია, რომ გვქონდეს მრავალპარტიულობა და არჩევანის გაკეთების საშუალება.

აქვე მინდა ხაზი გავუსვა იმას, რომ ამ ეტაპზე, როდესაც სააკშვილმა ბრძოლა გამოუცხადა ქვეყანას, ვფიქრობ კოალიციის არსებობა აუცილებელია, რადგანაც საქმე ბოლომდე არ არის მიყვანილი და ,,ნაციონალური მოძრაობა“ აგრძელებს ქვეყნისთვის მაქსიმალური ზიანის მიყენებას. მოსახლეობისათვის აუცილებელია დარწმუნდეს, რომ ახალი ძალები მოვიდნენ ქვეყნის ამ სიტუაციიდან გამოსაყვანად და არა იმისთვის, რომ ძალაუფლების გადანაწილებაზე იფიქრონ. სააკაშვილს არ უნდა მიეცეს საშუალება თქვას, ხომ ხედავთ ამათ მხოლოდ ძალაუფლება აინტერესებდათ, როდესაც მე დღე და ღამე თქვენთვის ვზრუნავდიო.

*— ,,ნაციონალური მოძრაობა“ აპირებს რებრენდინგს. შეაფასეთ ეს მცდელობა.*

— რებრენდინგის მთავარი მიზანია მიიტანოს ახალი მესიჯი მოსახლეობასთან, ამის გაკეთება შეიძლება ახალი სახელის დარქმევით, ან ახალი სიმბოლიკის შექმნით, რასაც უნდა დაემატოს ახალი სტარტეგია. ძნელი იქნება იმ პოლიტიკური ძალის რებრენდინგი, რომელიც 9 წელი მხოლოდ ცრუობდა და ხალხის დატერორებაზე იყო გადასული. რას აკეთებს სააკაშვილი ყველა გამოსვლის დროს? ის სულ ცრუობს. რას აკეთებს უგულავა ან მერაბიშვილი თავის გამოსვლისას? მუდმივად იმუქრებიან. ეს არის აქ რებრენდინგი? ნაცმოძრაობის გარკვეული ნაწილი ,,მოქალაქეთა კავშირს“ გამოეყო და ახალი სახელი დაირქვა, ეს იყო მოქკავშირის რებრენდინგი. გავიდა დრო და შევარდნაძის მართვის სტილს დაამატეს ხალხის დატერორება და შიშის დათესვა.

ვფიქრობ, ეს 9 წელი საკმარისი იყო, დაგვენახა თუ რა ხალხთან გვაქვს საქმე და რებრენდიგიც ალბათ შეუძლებელია.

სააკაშვილის მოხრე „ცნობილი ექსპერტები“ გამოვლენ, ევროპისა და ამერიკის მაგალითებზე დაყრდნობით გვეტყვიან, რომ სომბოლიკის შეცვლა, ან მესიჯის მიტანის საშუალებები, ან თუნდაც ,,რინეიმმი“ ეს უკვე რებრენდინგიაო. ეს მხოლოდ ფურცელზე გატარებული ცვლილებები იქნება, რამდენადაც „თეორიულ სიმართლეს“ არ უნდა ღალადებდნენ ,,კარის“ ექსპერტები.

*— ბალტიისპირეთის ქვეყნებმა დროულად აიღეს გეზი ევროპული ღირებულებებისკენ. ჩვენი სახელმწიფოც სსრკ-ს ნაწილი იყო და ბალტიისპირაც. რატომ ჩამორჩა საქართველო ამდენად ესტონეთს, ლატვიასა და ლიტვას?*

— თავიდან ლიტვაში ვცხოვრობდით და შემდეგ გადმოვედით ესტონეთში. სწორედ აქ განსაკუთრებით დავფიქრდი ამ საკითხზე. ქვეყანა ჩრდილოეთში, ოქტომბრის შუა რიცხვებიდან თებერვლამდე ზამთარია. მზე ჩადის 4 საათზე. ზაფხულში ტემპერატურა არ თბება 27-28 გრადუსზე მეტად. მიუხედავად ამისა, ქვეყნა ძალზედ წარმატებულია. ამავე დროს, თუ გავიხსენებთ სსრკ-ს დაშლის პერიოდს, საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე კარგი სასტარტო ბაზა ჰქონდა, რომ წარმატებული ქვეყანა ყოფილიყო. რატომ ჩამოვრჩით მათ ასე?



შემიძლია გამოვყო 2 მთავარი მიზეზი. ბალტიისპირა ქვეყნების გვერდით არის 3 წარმატებული ევროპული ქვეყანა, რომელთაც ახლაც კი ყველაზე ნაკლებად შეეხო კრიზისი. მათმა გვერდით დგომამ და დახმარებამ უდიდესი წვლილი შეიტანა ამ ქვეყნების წინსვლაში. სამწუხაროდ, ჩვენ ასეთი მეზობლები არ გვყავს და პირიქით, ერთ-ერთი მათგანი, მუდმივად ჩვენს დასუსტებასა ფიქრობს. იგივე მეზობელი ბევრჯერ ცდილობდა წყალი აემღვრია ბალტიისპირეთშიც და რამოდენიმე წლის წინ ესტონეთის მოვლენები ამისი ნათელი მაგალითია, მაგრამ ,,ალიანსის“ წევრი ქვეყნები შემაფერხებელი ფაქტორი იყო რუსეთისათვის. მეორე მნიშვნელოვანი მიზეზი არის ამ ქვეყნების მოსახლეობის სრულიად სხვანაირი დამოკიდებულება კანონებისა და ქვეყნის ინეტრესებისადმი. აქ

გაგრძელება მე-10 გვერდზე

# ბესიკ ხარანაულმა ახალი წიგნი წარადგინა

ეკა ირემაშვილი

**ქართველმა მწერალმა და პოეტმა ბესიკ ხარანაულმა თბილისი გალერეაში შეკრებილ საზოგადოებას ახალი წიგნი წარუდგინა. „მთავარი გამთამაშებელი" – ასე ჰქვია რომანს, რომელიც სამი წლის განმავლობაში იწერებოდა. „მთავარი გამთამაშებელი" გამომცემლობა „ინტელექტმა" გამოსცა. წიგნის პრეზენტაციასთან ერთად „თბილისი გალერეაში" საზოგადოებრივი მაუწყებლის დოკუმენტური ფილმების სტუდიის მიერ მომზადებული ქეთევან სადობელაშვილის დოკუმენტური ფილმის ჩვენებაც გაიმართა, რომელიც ბესიკ ხარანაულის შესახებ მოგვითხრობს.**

– ეს წიგნი ბესიკ ხარანაულის 50 წლიანი შემოქმედებითი მემკვიდრეობის განუყოფელი ნაწილიცაა და რაღაც ახალიც. ვისთვისაა ეს წიგნი? – სხვა არაერთ კითხვასთან ერთად, ერთი ასეთი კითხვაც ისმის ბესიკ ხარანაულის ახალ კრებულში და საეგებიო პასუხიც იქვეა: „ეს წიგნია დაეჭვებულთათვის, ვინც მიწას ფეხისგულებით გრძნობს და ჰაერს ყურის ქალამნებით! სამედაშენოა ეს წიგნი, მკითხველო!, – ასეთია ამონარიდი ბესიკ ხარანაულის ახალი წიგნის წინასიტყვაობიდან.

თბილისი გალერეა წიგნის მოყვარულებს არაერთ საინტერესო გამოცემას სთავაზობს. ამ სივრცეში უკვე გაიმართა პოეტ დიანა ანფიმიადის ახალი პოეტური კრებულის „ახლო ხედის ტრაექტორია" წარდგინება, სადაც ავტორმა თავად წაიკითხა ფრაგმენტები საკუთარი კრებულიდან. დიანა ანფიმიადმა კაფეში „ნახვამდის" წარმოადგინა ახალი წიგნი, რომელიც „ბაკურ სულაკაურის გამომცელობამ" გამოსცა.

– ამ პატარა ჩანაწერებში კულინარიულ რეცეპტებს ვერ იპოვით, მაპატიეთ. დღეს ადამიან-რეცეპტებზე მინდა მოგიყვეთ, – წერს დიანა ანფიმიადი თავის ახალ წიგნში „პირადი კულინარია", სადაც მოგონებებს გემოებსა და კერძებზე პირადად ავტორის, ავტორის თაობის და გუშინდელი საქართველოს ისტორია ახლავს. პერიოდულად იკვეთებიან სახეებიც – ახლობლების, ლიტერატურული პერსონაჟებისა იმ ადამიანების, რომლებმაც ავტორის ცხოვრებაში მხოლოდ გაიელვეს, მაგრამ დიდი ხნით დატოვეს კვალი თუ არა უცნაური გემო მაინც. ამ ადამიანებთან დაკავშირებით ავტორი იგონებს ისტორიებს, რომლებიც თავისთავად კავშირშია, როგორც მის ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან, ასევე, იმ წარსულ განცდებთან, რომლებიც მას გემოების მიხედვით დაამახსოვრდა. ეს წიგნი უფრო ცხოვრებისეულ რეცეპტებზე, ადამიანებისა და სიცოცხლის სიყვარულზეა. საქართველოს – ახლობელი სამშობლოსა – და საბერძნეთის – შორეული სამშობლოს სიყვარულზე. მათ შესახებ გაცნობიერებულ და გაუცნობიერებელ წარმოდგენებზე. „პირადი კულინარია" დიანა ანფიმიადისთვის პირველი პროზაული წიგნია. ახალი წიგნის პრეზენტაციაზე დიანა ანფიმიადმა სხვა მწერლებთან ერთად სტუმრებს მოუმზადა კერძები წიგნში არსებული რამდენიმე რეცეპტის მიხედვით. პარალელურად ავტორმა ისაუბრა ახალი წიგნის პერსონაჟებსა და მათ ისტორიებზე, რომლებიც ამ ადამიან-რეცეპტებს უკავშირდება.

საჯარო ბიბლიოთეკის საკონფერენციო დარბაზში შედგა ქართული ინტერაქტიული წიგნის „ანბანი" პრეზენტაცია და ღია ლექცია თემაზე „ელექტრონული წიგნები". ლექციას უძღვებოდა ელექტრონული წიგნის სახლის „საბა" ტექნიკური დირექტორი სანდრო ასათიანი. ლექცია შეეხებოდა ახალ მიმდინარეობებს ლიტერატურაში, რომლებიც ელექტრონულმა წიგნებმა გააჩინეს, ასევე ელექტრონული წიგნების საკითხავ მოწყობილობებს, ინტერაქტიულ წიგნებს, ელექტრონულ მხატვრულ ლიტერატურას, ელექტრონულ ლექსიკონებსა და ელექტრონულ სახელმძღვანელოებს.

– „ქართული ანბანი" ერთ-ერთი პირველი ქართული ინტერაქტიული წიგნია, რომელიც ელექტრონული წიგნების სახლმა „საბა" შექმნა. ის უკვე განთავსდა გუგლზე და ანდროიდის მომხმარებელებს შეუძლიათ მისი უფასო ჩამოტვირთვა. „ქართული ანბანი" განკუთვნილია სკოლამდელი ასაკის ბავშვებისთვის, რომლებსაც უყვართ პლანშეტებით და სმარტფონებით თამაში. მათ ამ ინტერაქციული წიგნის მეშვეობით შეეძლებათ თამაშის გზით შეისწავლონ წერა-კითხვა. ინტერაქტიული წიგნები მსოფლიოსთვის და, შესაბამისად, საქართველოსთვის სრული სიახლეა. ეს არის ელექტრონული წიგნისა და კომპიუტერული თამაშის კომბინაცია, რომელიც მოიცავს ტექსტებს და მოძრავ ილუსტრაციებს. მომხმარებელი, ანუ ინტერაქტიული წიგ-



ნის მკითხველი, წიგნთან შედის ინტერაქციაში, როგორც ეს ონლაინ თამაშებში ხდება. ეს კი ინტერაქტიული წიგნის „კითხვის" პროცესს უფრო სახალისოს და შთამბეჭდავს ხდის, – აცხადებს ელექტრონული წიგნის სახლის „საბა" ტექნიკური დირექტორი სანდრო ასათიანი.

თბილისი გარელეაში გაიმართა მუსიკალური საღამო, რომელშიც მუსიკოსებმა ელისო ბოლქვაძემ, დავით (დათუნა) ალადაშვილმა და დინი ვირსალაძემ მიიღეს მონაწილეობა. დაუკრეს კლასიკური მუსიკის ახალგაზრდა შემსრულებლებმა. ასევე გაიმართა პრემიერა პირველი საოპერო თოჯინური სპექტაკლისა საქართველოში ჯოაკინო როსინის „სევილიელი დალაქის" მიხედვით. სპექტაკლის რეჟისორია ბესო კუპრეიშვილი და გაფორმებულია ოპერის ორიგინალი ჩანაწერებით და ადაპტირებულია ბავშვებისათვის 4 წლიდან. ეს არის პირველი საოპერო თოჯინური სპექტაკლი, რომელსაც თავისი ფორმატითა და შესრულებით საქართველოში ანალოგი არ მოეძებნება. სპექტაკლის წინ გათვალისწინებულ იქნა პროლოგი – ნოდარ ანდღულაძის შესავალი, რომელმაც ბავშვებისათვის გასაგებ ენაზე ახსნა ოპერის შინაარსი. სპექტაკლი სტილიზებულად მიმსგავსებულია დიდი საოპერო თეატრის ატმოსფეროსთან. თბილისი გალერეაში გაიხსნა 70-იანელთა ერთ-ერთი საინტერესო წარმომადგენლის, მხატვარ ვალერი მარგიანის ნამუშევრების გამოფენაც.

თბილისი ბანკმა 20 წლის იუბილე სადღესასწაულო ღონისძიებებით აღნიშნა, წარმოდგენილი იყო საიუბილეო კინოპროექტის ფარგლებში შექმნილი ქართული მხატვრული ფილმის „20/12" პრემიერა კინოთეატრებში „რუსთაველი" და „ამირანი", ასევე ჩატარდა საზეიმო კონცერტი ღია ცის ქვეშ მუსიკალური პრემიერებითა და საშობაო ჰიტებით, დღესასწაულის დასასრულს წარმოდგენილი იქნა თბილისი ბანკის საჩუქარი ქალაქს – ახალი ქანდაკების საზეიმო გახსნის შოუ. მთლიანობაში საიუბილეო პროექტის განმავლობაში გადაღებულ იქნა 12 ფილმი, რომლებიც წელიწადის 12 თვეს მიეძღვნა. ყველაზე ბოლოს ამ პროექტის ფარგლებში იმუშავეს რეჟისორებმა გიორგი აბაშიშვილმა და გიორგი ჯანდიერმა. რეჟისორ გიორგი აბაშიშვილთან ერთად იმუშავეს სცენარისტმა აკაკი სურმავამ, ოპერატორმა ერეკლე მუმლაძემ და მხატვარმა შორენა ფსუტურმა. მასში მონაწილეობა მიიღეს მსახიობებმა თამარ სხირტლაძემ და დარეჯან ხარშილაძემ. ფილმის სამუშაო სათაურად შეირჩა „დღე პირველი". სცენარის მიხედვით, ფილმის მთავარი გმირი, 80 წლის ანა ბებია სკოლის ფორმით შეიმოსება და სახლიდან გაიპარება. სკოლისაკენ მიმავალ გზაზე ის საკუთარ ბავშვობას – 6 წლის ანას შეხვდება. ანა ბებიას შვილები კი მის ძებნას იწყებენ. რეჟისორ სანდრო ჯანდიერთან ერთად იმუშავეს ოპერატორმა კობა შველიძემ, მხატვარმა სიმონ მაჩაბელმა. ფილმში მონაწილეობა მიიღეს ზაზა ბერაძემ, ნია გრძელიძემ და თენგიზ პაპაიძემ. ფილმში მოთხრობილია 19 წლის ახალგაზრდა ბიჭზე – ზაზოზე, რომელიც მეგობრებთან ერთად ზღვაზე გატარებული რამდენიმე დღის შემდეგ თბილისში ბრუნდება. ღამის მატარებლის კუპეში ის გაიცნობს მასზე რამდენიმე წლით უფროს გოგოს, რომელიც მას ლულას სახელით გაეცნობა. საუბრისას ირკვევა, რომ ლულა მსოფლიოს გარშემო მოგზაურობის დაწყებას აპირებს. ზაზო აღტაცებულია ლულას ახალი მოგზაურობის იდეით. ლულაც, თავის მხრივ, ატყობს ზაზოს ენთუზიაზმს და თანამგზავრად გაყოლას შესთავაზებს. დილით კუპეში გაღვიძებულ ზაზოს ლულა აღარ ხვდება. ის იწყებს თავისი ახალი მეგობრის ძიებას და გადაწყვეტს, მოგზაურობის იდეა მარტომ მოიყვანოს სისრულეში. ფილმის ფინალში აღმოჩნდება, რომ ახალგაზრდული და სათავგადასავლო ფანტაზიის განხორციელება არც ისე ადვილია. პროექტის სამხატვრო ხელმძღვანელობა რეჟისორმა ნანა ჯანელიძემ ითავა. 12-ვე ფილმის გადაღებები თბილისი ბანკის პროექტის „20წელი/12თვე" ფარგლებში მიმდინარეობდა. პროექტში მონაწილე ახალგაზრდა კინემატოგრაფისტებმა მთლიანობაში გადაიღეს 12 მოკლემეტრაჟიანი ფილმი, რომლებიც ერთ სრულმეტრაჟიან ფილმად შეიკრა და ის მაყურებელმა თბილისი ბანკის დაბადების დღეზე იხილა.

როგორც თბილისი გალერეის წარმომადგენელი ქეთევან მაღალაშვილი აცხადებს, მთელი წლის განმავლობაში ქართულ საზოგადოებას კიდევ არაერთი საინტერესო კულტურული ღონისძიება ელოდება.


## წამალი სენსაცია – საგვარეულო მალამო

**წამალი, რომლის შესახებაც მესმოდა ქება-დიდება 28-წლიანი ფსორიაზით ტანჯვა-წამების შემდეგ იმედგადაწურული მივედი ჯულიეტა ფურცელაძესთან და დაიწყე მისი მალამოთი მკურნალობა. მალე დავრწმუნდი ამ მალამოს ზებუნებრივი თვისებების ძალაში.**

**დიდი მადლიერება მინდა გამოვხატო მის მიერ მონიჭებული დიდი წყალობისთვის. გაზვიადების გარეშე თამამად შემიძლია ვთქვა, რომ კაცი ახლიდან დავიბადე.**

**ქ-ნ ჯულიეტა ფურცელაძეს ვუსურვებთ კარგად ყოფნას, რათა დიდხანს იდგეს ავადმყოფების ჯანმრთელობის სადარაჯოზე. მასთან მკურნალობის დროს მე შევხვდი სოკოთი, ეგზემით, სებორეით განკურნებულ ადამიანებს.**

**თემქის დასახლება, ავად. 59 წლის ბ.ი.**

**ჯულიეტა ფურცელაძის ტელ: 223-87-18; 599-576-857; 790-334-71.**



## ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა მიმდინარე სამუშაოების განხორციელებაში, დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ნომერზე: 0-901-900-900.

ზარის ღირებულება - 1 ლარი.

**იცხოვრეთ მომავალისთვის.**

**უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.**




**საბანკო რეკვიზიტები:**

ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის" ხობის ფილიალი
ბ/კ: LBRTGE22
ანგ. N GE28LB 0122 1802 48686 000



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი ილუმენია ანა (მუსელიანი)



## განცხადებები

- ძლიერ დაქვეითებული სმენის, ნევრიტის, ოტიტის, ოსტეოქონდროზის, პროსტატიტის, ცისტიტის, ხშირი შარდვის, წითელი ქარის და სხვა დაავადებების განკურნება უმოკლეს დროში ბიოენერგოინფორმაციული მასაჟის უნიკალური მეთოდით, ასაკის მიუხედავად, არასკეპტიკოსებისთვის. მიღება შეზღუდულია წინასწარი ჩაწერით. ტრადიციული სამედიცინო საქმიანობის მართვის ცენტრთან არსებული საზოგადოების წევრი, სერთიფიცირებული დამსახურებული სახალხო მკურნალი ლევან სეხნიაშვილი. ტელ: 599-978-546; 551-254-535.
- იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.
- ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.
- მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.
- ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.
- კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94; 234-02-38 ექიმი ქ-ნი სალომე.
- ძვალსახსართა პრობლემის მკურნალობა – ოსტეოპოროზი, ართრიტები, კოქსართროზი, დაზიანებული ხრტილის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 234-02-38; 558-15-63-33 ექიმი ქ-ნი ნინო.

# ოქრუაშვილმა ნამუსი მოგვწმინდა

2-3 თებერვალს თბილისის სპორტის სასახლემ ძიუდოში ევროპის ღია პირველობას უმასპინძლა. საქართველოს ნაკრების გარდა ტურნირში იაპონიის, რუსეთის, საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთის, ბელარუსის, ბულგარეთის, კანადის, ირანის, სომხეთის, ავსტრალიის, ლიტვის, ჰოლანდიის, რუმინეთის, საბერძნეთის, უკრაინის, ლატვიის, აზერბაიჯანის, უნგრეთის, ყაზახეთის, თურქეთის, სლოვენიის, ახალი ზელანდიის, ისრაელის და სერბეთის პირველი გუნდები მონაწილეობდნენ. საქართველოს ეროვნული ნაკრები თითო წონით კატეგორიაში 4-4 სპორტსმენით გამოვიდა. ირაკლი უზნაძის რჩეულმა ძიუდოისტებმა წლის პირველი დიდი შეჯიბრება 1 ოქროს, 1 ვერცხლის და 6 ბრინჯაოს მედლით დაასრულეს. შედარებისთვის: შარშან ქართველმა ფალავნებმა თბილისის ტურნირზე 6 ოქროს მედალი მოიპოვეს.

ჩვენს გუნდს ერთადერთი ოქროს მედალი მძიმეწონოსანმა ადამ ოქრუაშვილმა მოუტანა, რომელმაც შარშან მოპოვებული ტიტული შეინარჩუნა. გადამწყვეტ შეხვედრაში ადამმა იაპონელი ტაკეში ოჯიტანი დაამარცხა. უნდა ითქვას, რომ ტურნირი არცთუ სახელოვანი სპორტსმენებით იყო დაკომპლექტებული, ამიტომ ჩვენების გამოსვლას სახარბიელოს ვერ დავარქმევთ. თუმცა, სხვაგვარად ფიქრობს ნაკრების ახალი თავკაცი.

**ირაკლი უზნაძე:**

– გუნდის ასპარეზობით კმაყოფილი ვარ, მაგრამ სიმართლე გითხრათ, მეტს ველოდი. ზოგიერთმა ჩემი მოლოდინი გაამართლა, სხვებმა – ვერა. მიუხედავად ამისა, ვფიქრობ, სწორი კურსი გვაქვს არჩეული. დარწმუნებული ვარ, ახლო მომავალში ბიჭები მეტი წარმატებით იასპარეზებენ. რაც შეეხება პარიზის ტურნირს, საფრანგეთში წამსვლელთა ვინაობას უახლოეს დღეებში დავასახელებ.

ტურნირის მსვლელობისას დიდი სპორტიდან გააცილეს პეკინის ოლიმპიური თამაშების გამარჯვებული, მსოფლიოს სამგზის (პირადი, გუნდური) და ევროპის ჩემპიონი ირაკლი ცირეკიძე. საქართველოს ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტმა დავით ქევხიშვილმა და ოლიმპიურმა ჩემპიონმა ზურაბ ზვიადაურმა ირაკლის მოოქროვილი ბიბლია გადასცეს.

**ირაკლი ცირეკიძე:**

– მივდივარ დიდი სპორტიდან. რაც გამოვიარე, ეს იყო ჩემი ცხოვრების საუკეთესო პერიოდი. თავს იმით ვინუგეშებ, რომ მწვრთნელის რანგში გავაგრძელებ ამ სახეობაში მუშაობას. იმ ყველაფერს, რაც მე დამაკლდა და რისი გაკეთებაც შემეძლო, ყველა ნიუანსს კარგად გავაანალიზებ და შევეცდები ახალ თაობას გადავცე. მადლობა მინდა ვუთხრა მწვრთნელებს, თანაგუნდელებს, ყველას ვისთან ერთადაც ვაღწევდი შედეგებს.

**საპრიზო ადგილები ასე განაწილდა:**

60კგ: 1.შინჯი კიდო (იაპონია), 2.იელდოს სმეტოვი (ყაზახეთი), 3.პაატა მერებაშვილი (საქართველო) და ამირან პაპინაშვილი (საქართველო);

66კგ: 1.დმიტრი შერშანი (ბელარუსი), 2.ვაძიმ შოკა (ბელარუსი), 3.ტრისტან ფეიქრიშვილი (საქართველო) და იუიტო იოშიდა (იაპონია);

73კგ: 1.საგი მუკი (ისრაელი), 2.იერტუგან ტორენოვი (ყაზახეთი), 3.ალექსეი ასტაფიევი (რუსეთი) და ჰუსეინ რაჰიმლი (აზერბაიჯანი);

81კგ: 1.ტურალ საფგულიევი (აზერბაიჯანი), 2.ტაკანორი ნაგასე (იაპონია), 3.მამადალი მაჰდიევი (აზერბაიჯანი) და ასაფ ჩენი (ისრაელი);

90კგ: 1.შეხმად მაგომედოვი (აზერბაიჯანი), 2.შაჰინ გაჰრამანოვი (აზერბაიჯანი), 3.ლაშა ტაველური (საქართველო) და სტანისლავ რეტინსკი (უკრაინა);

100კგ: 1.ორ სასონი (ისრაელი), 2.ლაშა გურული (საქართველო), 3.დავით ლორიაშვილი (საქართველო) და ჯავად მაჰჯოუბი (ირანი);

მძიმე: 1.ადამ ოქრუაშვილი (საქართველო), 2.ტაკეში ოჯიტანი (იაპონია), 3.გიორგი ზაქარიაძე (საქართველო) და რიუ შიჩინოე (იაპონია).

# ალექსანდრე ჩივაძე: უკმაყოფილო არ ვარ

როგორც ვწერდით, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელი ალექსანდრე ჩივაძე პრესკონფერენციის გამართვას აპირებდა და გუშინ, მიხეილ მესხის სახელობის სტადიონის მედიაცენტრში ჟურნალისტებს შეხვდა.



შეგახსენებთ, რომ შვეიცარიულ ნიონში 21-წლამდელთა 2015 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის წილისყრა გაიმართა. მე-3 ჯგუფში საქართველოს ნაკრებთან ერთად ჰოლანდიის, შოტლანდიის, სლოვაკეთისა და ლუქსემბურგის ახალგაზრდული გუნდები მოხვდნენ. ფინალური ეტაპი ჩეხეთში გაიმართება და მასში 8 გუნდი მიიღებს მონაწილეობას. სულ 10 შესარჩევი ჯგუფია, საიდანაც პირველადგილოსნები და 4 საუკეთესო მეორეადგილოსანი პლეი ოფში გავლენ. 7 გამარჯვებულს მასპინძელი ჩეხეთი დაემატება.

ჩვენი ჯგუფის აშკარა ფავორიტი, ცხადია, ჰოლანდიის გუნდია, თუმცა არც შოტლანდია და სლოვაკეთი არიან ხელწამოსაკრავნი. წილისყრას სფფ-ის ტექნიკური დირექტორი ნიკა ჩხეიძე და ალექსანდრე ჩივაძე ესწრებოდნენ.

ალექსანდრე ჩივაძე:

– თავიდანვე გეტყვით, რომ წილისყრით უკმაყოფილო არ ვარ. ჩვენი მიზანი საუკეთესო ორ გუნდს შორის მოხვედრაა, რაც პლეი ოფის საგზურს მოგვცემს. ამიტომ ნაკრების პირველივე შეკრებაზე ბიჭებს სწორედ ამ მიზანს დავუსახავთ. წილისყრის შემდეგ, საგანგებო ოთახში შევედით, სადაც კალენდარი უნდა დაგვემტკიცებინა. პრეროგატივა, ცხადია, ჰოლანდიას ეკუთვნოდა და ოთახში შესულებს უკვე თავისი გამზადებული ვარიანტი დაგვახვედრეს. თავიდანვე გადაწყვეტილება ვერ მივიღეთ, რადგან შოტლანდიის წარმომადგენლებმა დააგვიანეს. შემდეგ ცხარე კამათიც იყო. შევთანხმდით, რომ ზაფხულში არ ვითამაშებდით, რადგან ევროპის ქვეყნებში ჩემპიონატები 18 მაისს მთავრდება და ფეხბურთელები ფორმაში აღარ იქნებიან. შეგახსენებთ, რომ შარშან, როცა 21-წლამდელთა მწვრთნელად დავინიშნე, გუნდს ჯგუფიდან გასვლის შანსი აღარ ჰქონდა და აქცენტი მომავალ ციკლზე გავაკეთეთ. 1992, 93 და 94 წლებში დაბადებულები ვათამაშეთ. დაახლოებით 50 ფეხბურთელი გამოვცადეთ და ფაქტობრივად, წინა ციკლიც მოსამზადებლად გამოვიყენეთ.

– რა ინფორმაციას ფლობთ მეტოქეებზე.

– ჰოლანდია ორჯერ გახდა ევროპის ჩემპიონი, შარშან თავის ჯგუფში პირველ ადგილზე გავიდა. შოტლანდია ჰოლანდიასთან იყო ჯგუფში და მეორე ადგილზე გავიდა. ასევე მეორეზე გავიდა სლოვაკეთი, რომლის ჯგუფში საფრანგეთი ასპარეზობდა. საკმაოდ რთული მეტოქეები გვყავს, მაგრამ შედეგის მიღწევა შეიძლება.

– ჯგუფის ფავორიტად ალბათ ჰოლანდია მიიჩნევა?

– რა თქმა უნდა, მაგრამ ყველასთან შეიძლება თამაში.

– შესარჩევი ეტაპის მატჩებს შემოდგომაზე ვიწყებთ, მანამდე ხომ არ გეგმავთ გუნდის შეკრებას?

– ავსტრიაში შევიკრიბებით და ავსტრიისა და რუმინეთის ნაკრებებთან ვისპარინგებთ, სავარაუდოდ ალბანეთთანაც. 14 აგვისტოს ამხანაგური მატჩი გვექნება.

– რამდენი ფეხბურთელის გასინჯვას აპირებთ?

– 50 კაცის სია გვაქვს. დღეს ალბანეთში იკრიბება ეროვნული გუნდი, მოხარული ვარ, რომ ჩვენი ნაკრების სამი წევრი გამოძახებულია.

– თუ გაქვთ საერთო სამოქმედო გეგმა თქვენ და თემურ ქეცბაიას ამ ფეხბურთელებთან დაკავშირებით?

– ჩვენ გვექნება ნაკრების მწვრთნელთან შეხვედრა ამ საკითხზე. რა თქმა უნდა, ეროვნული ნაკრებია პრეროგატივა, მაგრამ თუ ახალგაზრდულ ნაკრებს ექნება გადამწყვეტი თამაში, ალბათ ანგარიშს გაგვიწევენ.

– რუსულ და უკრაინულ ჩემპიონატებში ქართული გვარებით მოასპარეზე ფეხბურთელების დამატებას ხომ არ გეგმავთ?

– აქუბარდია, მესხია, იაშვილი დსთ-ს ტურნირზე თამაშობდნენ, მათ შესახებ მქონდა საუბრები. ასევე ჭეჟიასა და ურიდიას ველაპარაკე, ისინი რუსეთში თამაშობენ, განაცხადეს, რომ რუსეთის მოქალაქეები არიან და საქართველოს ნაკრებში ვერ ითამაშებენ. ლეგიონერების შესახებ ინფორმაცია გაქვთ...

– ოდნავ თემას რომ გადავუხვიოთ, სფფ-ს რიგგარეშე ყრილობაზე საუბრობენ, რა პოზიცია გაქვთ ამ საკითხთან დაკავშირებით?

– ადრეც ვთქვი და ახლაც ვიმეორებ, რომ ვფიქრობდე, რომ ქართულ ფეხბურთში სავალალო მდგომარეობაა, პირველ რიგში მე ამოვიღებდი ხმას, არც მურთაზი გაჩერდებოდა და არც რევაზ არველაძე. ვფიქრობ, 2015 წლამდე არჩევნები არ უნდა გაიმართოს

# გიორგი ჭანტურია: „ბარსელონაში დარჩენა შემომთავაზეს, მაგრამ არ მოვინდომე“

არნემის „ვიტესიდან“ ვლადიკავკაზის „ალანიაში“ განათხოვრებული გიორგი ჭანტურია რუსულ გუნდთან ერთად შეკრებას გადის. მასთან ინტერვიუ „სპორტ-ექპრესში“ გამოქვეყნდა.

***– თბილისიდან ვლადიკავკაზამდე მგზავრობას სამი საათიც არ უნდა. როგორ მოხდა, რომ ჰოლანდიიდან ჩრდილოეთ ოსეთის დედაქალაქში მოხვდით?***

– ასევე, ესპანეთშიც ვიყავი. 15 წლის ვიყავი, როცა „ბარსელონაში“ წავედი. საქართველოს ჭაბუკთა ნაკრები მინსკში საერთაშორისო ტურნირზე გამოდიოდა, იქ 6 გოლი გავიტანე და აგენტის რეკომენდაციით, კატალონიელებმა წამიყვანეს.

***– „ბარსელონაში“ დიდხანს რატომ არ დარჩით?***

– სამ მატჩში 6 თუ 7 გოლი გავიტანე და 2-წლიანი კონტრაქტი გამიფორმეს. ხელშეკრულების დასრულების შემდეგ, ახალ 3-წლიან კონტრაქტს მთავაზობდნენ, მაგრამ არ მსურდა, რომ მეორე გუნდში, ფაქტობრივად, ისევ ახალგაზრდულში მეთამაშა. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ყოფილი პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია, რომელიც იმ ზაფხულს „ვიტესის“ პრეზიდენტი გახდა, „ჩელსისთან“ კონტრაქტს დამპირდა, ოღონდ იმ პირობით, თუ ერთ სეზონს „ვიტესში“ ვითამაშებდი. თუმცა, კონტრაქტის გაფორმების შემდეგ მითხრეს, რომ „ჩელსისთან“ შეთანხმება ვერ შედგა. 17 წლის ვიყავი და სანამ 18-ის არ გავხდებოდი, ჰოლანდიური კანონებით, პროფესიულ კლუბში თამაში აკრძალული მქონდა. თითქმის ერთი წლის განმავლობაში მხოლოდ ამხანაგურებში ვთამაშობდი. ერედივიზიონის მომდევნო სეზონში კი (2011-12), 34 მატჩიდან 31 ჩავატარე.

***– როგორ და რატომ დაშორდით „ვიტესს“?***

– გასული სეზონი რომ დასრულდა, მწვრთნელი შეიცვალა. ჯონ ვან დენ ბრომი „ანდერლეხტში“ წავიდა და მის ნაცვლად ფრედ რუტენი დაინიშნა. რუტენის ხელმძღვანელობით მხოლოდ 6 მატჩი ჩავატარე და როგორც კი სატრანსფერო ფანჯარა გაიხსნა, ვუთხარი, რომ სხვაგან გადასვლა მსურდა. იტალიური „ჯენოა“ 4 მილიონ ევროს იხდიდა ჩემს სანაცვლოდ, მაგრამ „ვიტესის“ პრეზიდენტმა უარით უპასუხა. შემდეგ გერმანული „ჰამბურგი“ და მოსკოვის „სპარტაკი“ დამეკონტაქტნენ, მაგრამ მათაც უარი უთხრეს. მერაბ ჟორდანიასთან ძალიან კარგი ურთიერთობა მქონდა, მაგრამ ბოლო ერთი წელია, არც კი მელაპარაკება.

***– „ალანიას“ ვარიანტი როგორ გამოჩნდა?***

– 19-წლამდელებში ჩვენი მწვრთნელი იყო ვლადიმერ გუცაევი, რომელიც „ალანიას“ სპორტული დირექტორი გახდა. გუცაევი ორჯერ თუ სამჯერ ჩამოვიდა ჰოლანდიაში მოსალაპარაკებლად და შეთანხმებაც შედგა. სამი დღე ვითხოვე მოსაფიქრებლად და მშობლებსაც ვკითხე, როგორ იქნებოდა ჩემთვის უკეთესი. დედა და მამა თანახმანი იყვნენ. ასე მოვხვდი „ალანიაში“.

***– როგორი განწყობით მოდიოდით ახალ გუნდში?***

– საუკეთესო განწყობით. ვიცოდი, რომ ვალერი გაზაევმა ბევრი ქართველი ფეხბურთელი „ხალხში გაიყვანა“. ბევრი მირჩევდა, ვალერი გეორგიევიჩთან წადი, კარგი ადამიანი და მწვრთნელიაო. ასე რომ, როცა კონტრაქტი შემომთავაზეს, მაშინვე მოვაწერე. ჯერჯერობით, ხელშეკრულება ივნისამდეა, მერე კი, ერთი წელი კიდევ „ვიტესთან“ მრჩება კონტრაქტი.

***– ამ მოკლე დროში რის მიღწევის იმედი გაქვთ?***

– მთავარი რაც არის, „ალანიას“ უნდა დავეხმარო პრემიერლიგაში დარჩენაში. რუსეთის ჩემპიონატი საკმაოდ ძლიერია. ჯერ გარანტირებულად ვერ ვიტყვი, როგორ წავა ჩემი საქმეები.

***– დავუშვათ, „ალანია“ პრემიერლიგაში დარჩა და თქვენ ამაში წვლილი შეიტანეთ. შემდეგ რა მოხდება?***

– თუ მწვრთნელსა და პრეზიდენტს მოეწონებათ ჩემი თამაში, დასარჩენად მზად ვარ. ეს მხოლოდ ჩემი გადასაწყვეტი არაა.

***– „ბარსელონაში“ დაბრუნებაზე ან რომელიმე სახელოვან კლუბში გადასვლაზე ოცნებობთ?***

– ახლა ამაზე არც კი ვფიქრობ. რეალობა ისაა, რომ „ალანიაში“ ვარ და ამ კლუბში რაც შეიძლება კარგად უნდა წარმოვაჩინო თავი.

***– ვლადიკავკაზში უცხოელად გრძნობთ თავს?***

– „ალანიაში“ ძალიან კარგი კოლექტივია, სადაც თავს ისე ვგრძნობ, როგორც სახლში. რუსეთი ჩვენი მეზობელია და იქაურ ფეხბურთელებთან მშვენიერი დამოკიდებულება გვაქვს.

# შედეგები

### ფეხბურთი

**აფრიკის ერთა თასი**

კოტ დივუარი-ნიგერია ................ 1:2
ბურკინა ფასო-ტოგო ........... 1:0(დდ)

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ვესტ ბრომვიჩი-ტოტენჰემი .......... 0:1
სიტი-ლივერპული ......................... 2:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მანჩესტერი | 25 | 20 | 2 | 3 | 60:31 | 62 |
| 2.სიტი | 25 | 15 | 8 | 2 | 47:21 | 53 |
| 3.ჩელსი | 25 | 13 | 7 | 5 | 51:27 | 46 |
| 4.ტოტენჰემი | 25 | 13 | 6 | 6 | 42:29 | 45 |
| 5.ევერტონი | 25 | 10 | 12 | 3 | 40:30 | 42 |
| 6.არსენალი | 25 | 11 | 8 | 6 | 49:29 | 41 |
| 7.ლივერპული | 25 | 9 | 9 | 7 | 44:32 | 36 |
| 8.სუონსი | 25 | 8 | 10 | 7 | 34:28 | 34 |
| 9.ვესტ ბრომვიჩი | 25 | 10 | 4 | 11 | 34:35 | 34 |
| 10.სტოკი | 25 | 6 | 12 | 7 | 24:30 | 30 |
| 11.ვესტ ჰემი | 25 | 8 | 6 | 11 | 28:36 | 30 |
| 12.სანდერლენდი | 25 | 7 | 8 | 10 | 28:33 | 29 |
| 13.ფულემი | 25 | 7 | 7 | 11 | 36:42 | 28 |
| 14.ნორვიჩი | 25 | 6 | 10 | 9 | 25:40 | 28 |
| 15.ნიუკასლი | 25 | 7 | 6 | 12 | 33:44 | 27 |
| 16.საუთჰემპტონი | 25 | 5 | 9 | 11 | 33:44 | 24 |
| 17.რედინგი | 25 | 5 | 8 | 12 | 32:46 | 23 |
| 18.ასტონ ვილა | 25 | 4 | 9 | 12 | 23:49 | 21 |
| 19.უიგანი | 25 | 5 | 6 | 14 | 29:47 | 21 |
| 20.ქპრ | 25 | 2 | 11 | 12 | 18:37 | 17 |

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

მალაგა-სარაგოსა ......................... 1:1
სევილია-რაიო ............................. 2:1
ვალენსია-ბარსელონა .................. 1:1
ატლეტიკო-ბეტისი ....................... 1:0
სოსიედადი-მალიორკა .................. 3:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 22 | 19 | 2 | 1 | 72:25 | 59 |
| 2.ატლეტიკო | 22 | 16 | 2 | 4 | 43:21 | 50 |
| 3.რეალი | 22 | 13 | 4 | 5 | 54:21 | 43 |
| 4.მალაგა | 22 | 10 | 6 | 6 | 34:20 | 36 |
| 5.ბეტისი | 22 | 11 | 2 | 9 | 31:34 | 35 |
| 6.ვალენსია | 22 | 10 | 4 | 8 | 31:35 | 34 |
| 7.რაიო | 22 | 11 | 1 | 10 | 31:38 | 34 |
| 8.სოსიედადი | 22 | 9 | 6 | 7 | 35:28 | 33 |
| 9.ლევანტე | 22 | 10 | 3 | 9 | 28:33 | 33 |
| 10.ვალიადოლიდი | 22 | 8 | 5 | 9 | 32:29 | 29 |
| 11.სევილია | 22 | 8 | 5 | 9 | 29:30 | 29 |
| 12.ხეტაფე | 22 | 8 | 5 | 9 | 30:34 | 29 |
| 13.ბილბაო | 22 | 7 | 5 | 10 | 29:41 | 26 |
| 14.ესპანიოლი | 22 | 6 | 7 | 9 | 26:34 | 25 |
| 15.სარაგოსა | 22 | 7 | 3 | 12 | 21:31 | 24 |
| 16.გრანადა | 22 | 6 | 5 | 11 | 19:32 | 23 |
| 17.ოსასუნა | 22 | 5 | 6 | 11 | 18:26 | 21 |
| 18.სელტა | 22 | 5 | 5 | 12 | 21:27 | 20 |
| 19.მალიორკა | 22 | 4 | 5 | 13 | 22:42 | 17 |
| 20.დეპორტივო | 22 | 3 | 7 | 12 | 27:48 | 16 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

პონფერადინა-ხირონა .................. 2:0
უელვა-ნუმანსია ............................ 2:0
კორდობა-ლუგო ........................... 1:0
მირანდესი-ხერესი ....................... 1:0
უესკა-მურსია .............................. 2:0

**იტალია. სერია ა**

კიევო-იუვენტუსი ......................... 1:2
პესკარა-ბოლონია ........................ 2:3
პალერმო-ატალანტა ..................... 1:2
ჯენოა-ლაციო ............................... 3:2
ფიორენტინა-პარმა ....................... 2:0
სიენა-ინტერი ............................... 3:1
მილანი-უდინეზე .......................... 2:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 23 | 16 | 4 | 3 | 48:16 | 52 |
| 2.ნაპოლი | 23 | 15 | 4 | 4 | 45:20 | 49 |
| 3.ლაციო | 23 | 13 | 4 | 6 | 34:25 | 43 |
| 4.მილანი | 23 | 12 | 4 | 7 | 41:29 | 40 |
| 5.ინტერი | 23 | 12 | 4 | 7 | 36:28 | 40 |
| 6.ფიორენტინა | 23 | 11 | 6 | 6 | 41:27 | 39 |
| 7.კატანია | 23 | 10 | 5 | 8 | 31:30 | 35 |
| 8.რომა | 23 | 10 | 4 | 9 | 49:42 | 34 |
| 9.უდინეზე | 23 | 8 | 9 | 6 | 34:33 | 33 |
| 10.პარმა | 23 | 8 | 7 | 8 | 30:31 | 31 |
| 11.ტორინო | 23 | 6 | 11 | 6 | 27:26 | 28 |
| 12.კიევო | 23 | 8 | 4 | 11 | 24:36 | 28 |
| 13.ატალანტა | 23 | 8 | 4 | 11 | 21:33 | 26 |
| 14.ბოლონია | 23 | 7 | 4 | 12 | 32:33 | 25 |
| 15.სამპდორია | 23 | 7 | 5 | 11 | 28:29 | 25 |
| 16.კალიარი | 23 | 6 | 6 | 11 | 25:40 | 24 |
| 17.ჯენოა | 23 | 5 | 6 | 12 | 25:37 | 21 |
| 18.პესკარა | 23 | 6 | 2 | 15 | 19:48 | 20 |
| 19.პალერმო | 23 | 3 | 8 | 12 | 20:37 | 16 |
| 20.სიენა | 23 | 6 | 5 | 12 | 23:33 | 17 |

**შენიშვნა:**

*სამპდორიას დაკლებული აქვს 1 ქულა*
*ტორინოს დაკლებული აქვს 1 ქულა*
*ატალანტას დაკლებული აქვს 2 ქულა*
*სიენას დაკლებული აქვს 6 ქულა*

**გერმანია. ბუნდესლიგა**

ნიურნბერგი-გლადბახი ................ 2:1
ლევერკუზენი-დორტმუნდი .......... 2:3

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 20 | 16 | 3 | 1 | 51:7 | 51 |
| 2.დორტმუნდი | 20 | 11 | 6 | 3 | 46:22 | 39 |
| 3.ლევერკუზენი | 20 | 11 | 4 | 5 | 38:26 | 37 |
| 4.აინტრახტი | 20 | 11 | 3 | 6 | 38:31 | 36 |
| 5.მაინცი | 20 | 9 | 3 | 8 | 27:24 | 30 |
| 6.შალკე | 20 | 8 | 5 | 7 | 33:31 | 29 |
| 7.გლადბახი | 20 | 7 | 8 | 5 | 28:29 | 29 |
| 8.ფრაიბურგი | 20 | 7 | 7 | 6 | 25:20 | 28 |
| 9.ჰამბურგი | 20 | 8 | 4 | 8 | 22:26 | 28 |
| 10.ჰანოვერი | 20 | 8 | 2 | 10 | 38:39 | 26 |
| 11.ვერდერი | 20 | 7 | 4 | 9 | 32:37 | 25 |
| 12.შტუტგარტი | 20 | 7 | 4 | 9 | 22:35 | 25 |
| 13.ფორტუნა | 20 | 6 | 6 | 8 | 26:28 | 24 |
| 14.ნიურნბერგი | 20 | 6 | 6 | 8 | 20:27 | 24 |
| 15.ვოლფსბურგი | 20 | 6 | 5 | 9 | 21:30 | 23 |
| 16.ჰოფენჰაიმი | 20 | 4 | 4 | 12 | 26:44 | 16 |
| 17.აუგსბურგი | 20 | 2 | 8 | 10 | 16:32 | 14 |
| 18.ფიურტი | 20 | 2 | 6 | 12 | 13:34 | 12 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

ზ.პაული-კოტბუსი ........................ 0:0
ფრანკფურტი-ინგოლშტადი ........ 0:2
რეგენსბურგი-ჰერტა .................... 1:5

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

აიაჩო-ლიონი ................................ 3:1
მონპელიე-რეიმსი ......................... 3:1
მარსელი-ნანსი ............................. 0:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 23 | 14 | 6 | 3 | 42:12 | 48 |
| 2.ლიონი | 23 | 13 | 6 | 4 | 38:21 | 45 |
| 3.მარსელი | 23 | 13 | 3 | 7 | 30:28 | 42 |
| 4.ბორდო | 23 | 9 | 11 | 3 | 26:15 | 38 |
| 5.ნიცა | 23 | 10 | 8 | 5 | 35:27 | 38 |
| 6.სენტ ეტიენი | 23 | 10 | 7 | 6 | 32:17 | 37 |
| 7.რენი | 23 | 11 | 4 | 8 | 35:30 | 37 |
| 8.მონპელიე | 23 | 10 | 5 | 8 | 38:28 | 35 |
| 9.ლორიანი | 23 | 9 | 8 | 6 | 38:37 | 35 |
| 10.ტულუზა | 23 | 8 | 7 | 8 | 30:28 | 31 |
| 11.ლილი | 23 | 7 | 10 | 6 | 26:24 | 31 |
| 12.ვალანსიენი | 23 | 8 | 6 | 9 | 32:34 | 30 |
| 13.ბასტია | 23 | 7 | 5 | 11 | 28:47 | 26 |
| 14.აიაჩო | 23 | 6 | 9 | 8 | 26:32 | 25 |
| 15.ბრესტი | 23 | 7 | 3 | 13 | 23:33 | 24 |
| 16.სოშო | 23 | 6 | 4 | 13 | 22:34 | 22 |
| 17.ევიანი | 23 | 5 | 7 | 11 | 21:35 | 22 |
| 18.რეიმსი | 23 | 4 | 8 | 11 | 19:27 | 20 |
| 19.ნანსი | 23 | 3 | 9 | 11 | 21:38 | 18 |
| 20.ტრუა | 23 | 3 | 8 | 12 | 26:44 | 17 |

**შენიშვნა:**

*აიაჩოს დაკლებული აქვს 2 ქულა*

**ჰოლანდია. ეპედივიზიონი**

ნაიმეგენი-ვიტესი ......................... 2:1
ვენლო-აიაქსი .............................. 0:3
ტვენტე-უტრეხტი .......................... 2:4
ტილბურგი-ფეიენოორდი .............. 1:3

**პორტუგალია. ა ლიგა**

ჟილ ვისენტე-მარიტიმუ ............... 4:2
ბეირა მარი-ბრაგა ........................ 3:3
ოლჰანენსე-აკადემიკა ................. 0:0
ნასიონალი-მორეირენსე .............. 1:2
ბენფიკა-სეტუბალი ....................... 3:0

**ბელგია. პროლიგა**

გენკი-ბრიუგე ............................... 4:1
ანდერლეხტი-სტანდარდი ............ 2:2

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

ოფი-კერკირა ................................ 2:0
ვერია-პანთრათიკოსი .................. 2:0
ოლიმპიაკოსი-ატრომიტოსი ........ 2:3
არისი-პაოკი ................................. 2:2

**თურქეთი. სუპერლიგა**

ორდუ-გენჩლერი .......................... 2:1
ტრაბზონი-გაზიანთეპი ................. 4:1
ესკიშეჰირი-მერსინი ................... 0:0
ფენერბახჩე-სივასი ..................... 1:2

### კალათბურთი

**ნბა. რეგულარული სეზონი**

ბოსტონი-კლიპერსი .............. 106:104
დეტროიტი-ლეიკერსი .............. 97:98
ტორონტო-მაიამი ................... 85:100

### ჰოკეი

**ნჰლ. რეგულარული სეზონი**

ვაშინგტონი-პიტსბურგი .............. 3:6
მონრეალი-ოტავა ......................... 2:1
აილენდერსი-ნიუ ჯერსი .............. 0:3
ბუფალო-ფლორიდა ..................... 3:4

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

# ვინ მიიღებს რუსთაველისა და ეროვნულ პრემიებს?

ეკა ირემაშვილი



საქართველოს პრეზიდენტთან არსებული ხელოვნებისა და მეცნიერების დარგებში შოთა რუსთაველის სახელობისა და საქართველოს ეროვნული პრემიების 2013 წლის კომისიამ კონკურსი გამოაცხადა შოთა რუსთაველის სახელობისა და საქართველოს ეროვნული პრემიების მოსაპოვებლად.

— შოთა რუსთაველის სახელობის პრემიაზე განაცხადები მიიღება შემდეგ დარგებში: მხატვრული ლიტერატურა, მუსიკალური, კინო, სახვითი და თეატრალური ხელოვნება, არქიტექტურა, რუსთველოლოგია, სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებები.

შოთა რუსთაველის სახელობის პრემია ენიჭება ხელოვნების დარგში — ლიტერატურის, მთარგმნელობითი და კვლევითი, ხელოვნებისა და არქიტექტურის უმნიშვნელოვანესი ნაწარმოებისათვის, რომელმაც მხატვრულ ღირსებათა გამო საერთო ეროვნული აღიარება მოიპოვა და გამსჭვალულია თავისუფლების, ჰუმანიზმისა და პატრიოტიზმის ზოგადსაკაცობრიო იდეალებით. მეცნიერების დარგში — მაღალ მეცნიერულ დონეზე შესრულებული და საყოველთაოდ აღიარებული სამეცნიერო ნაშრომისათვის ან ნაშრომთა ციკლისათვის, რომელსაც განსაკუთრებული წვლილი შეაქვს მეცნიერების განვითარებაში; ხელოვნებისა და მეცნიერების დარგებში ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის, რომელმაც საერთო ეროვნული აღიარება მოიპოვა და განსაკუთრებული წვლილი შეიტანა შესაბამისი დარგის განვითარებაში. შოთა რუსთაველის სახელობის პრემია გაიცემა არა უმეტეს შვიდისა, თითოეული 15.000 ლარის ოდენობით. პირს, რომელიც მოიპოვებს შოთა რუსთაველის სახელობის პრემიას, ენიჭება შოთა რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატის წოდება და გადაეცემა ლაურეატის დიპლომი, ოქროს მედალი და ფულადი ჯილდო, — ნათქვამია კულტურის სამინისტროს მიერ გავრცელებულ სპეციალურ განცხადებაში.

რაც შეეხება საქართველოს ეროვნულ პრემიას:

— საქართველოს ეროვნულ პრემიაზე განაცხადები მიიღება შემდეგ დარგებში მხატვრული ლიტერატურა, მუსიკალური, კინო, სახვითი და თეატრალური ხელოვნება, არქიტექტურა, ტელევიზია, პუბლიცისტიკა, კულტურული მემკვიდრეობა, საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, ჰუმანიტარული მეცნიერებები, მედიცინა, ტექნიკა. საქართველოს ეროვნული პრემია ენიჭება, ხელოვნების დარგში — მაღალმხატვრული ნაწარმოებისათვის, რომელიც ასახავს თანამედროვეობის ყველაზე აქტუალურ პრობლემებს, ნერგავს თავისუფლებისა და მომავლის რწმენას და მოპოვებული აქვს საერთო ეროვნული აღიარება; მეცნიერების დარგში – მაღალ მეცნიერულ დონეზე შესრულებული და საყოველთაოდ აღიარებული სამეცნიერო ნაშრომისათვის ან ნაშრომთა ციკლისათვის, რომელსაც განსაკუთრებული წვლილი შეაქვს მეცნიერების, ქვეყნის სულიერ, სოციალურ ან/და ეკონომიკურ განვითარებაში. საქართველოს ეროვნული პრემია გაიცემა არა უმეტეს ათისა, თითოეული 10.000 ლარის ოდენობით. პირს, რომელიც მოიპოვებს საქართველოს ეროვნულ პრემიას, ენიჭება საქართველოს ეროვნული პრემიის ლაურეატის წოდება და გადაეცემა საქართველოს ეროვნული პრემიის ლაურეატის დიპლომი, ვერცხლის მედალი და ფულადი ჯილდო, – აღნიშნულია კულტურის სამინისტროს განცხადებაში.

როგორც კულტურის სამინისტრო იტყობინება, შოთა რუსთაველის სახელობის და საქართველოს ეროვნული პრემიების მოსაპოვებლად კონკურსში კანდიდატთა წარდგენის პირობები და წესი მკაცრად არის განსაზღვრული:

— შოთა რუსთაველის სახელობისა და საქართველოს ეროვნული პრემიების მოსაპოვებლად პრეტენდენტთა წარდგენის უფლება აქვთ იმ სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულებებს, შემოქმედებით და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, რომლებიც მოღვაწეობენ ხელოვნებისა და მეცნიერების დარგებში და აქვთ შესაბამისი ავტორიტეტი და კომპეტენცია; პრემიების მოსაპოვებლად შეიძლება წარდგენილი იქნას პირი მისი მოქალაქეობის მიუხედავად; პირი შეიძლება ერთდროულად წარდგენილი იქნას ორივე პრემიის მოსაპოვებლად; პრემიების მოსაპოვებლად წარდგენილი პრეტენდენტი არ შეიძლება იყოს კომისიის წევრი; კონკურსებში ლიტერატურული ნაწარმოების წარდგენა დასაშვებია მხოლოდ მისი დასრულებული სახით გამოქვეყნების შემდეგ; მუსიკალური, სახვითი, თეატრალური, კინოხელოვნებისა და სატელევიზიო ნაწარმოების წარდგენა მას შემდეგ, რაც მათ სრულად გაეცნობა საზოგადოება კონცერტებზე, გამოფენებზე, თეატრებში, კინოთეატრებში, პრესისა და რადიო-ტელევიზიის საშუალებებით; არქიტექტურის ნაწარმოებისა, მხოლოდ ობიექტის მშენებლობის დასრულების შემდეგ; მეცნიერების დარგში, მხოლოდ სამეცნიერო ნაშრომის გამოქვეყნებისა და/ან მისი პრაქტიკული განხორციელების შემდეგ. რაც შეეხება გარდაცვლილ შემოქმედს და/ან მეცნიერს, პრემია ენიჭება იმ შემთხვევაში, თუ იგი წარდგენილი იყო სიცოცხლეშივე, ან მოგვიანებით გამოქვეყნდა მისი ახალი, მანამდე უცნობი მნიშვნელოვანი ნაწარმოები; დაუშვებელია პრემიის მოსაპოვებლად კომისიის მიერ უარყოფილი ნაწარმოების ხელმეორედ წარდგენა გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ნაწარმოები ან ნაშრომი ტექნიკური მიზეზების გამო არ იქნა დაშვებული საკონკურსოდ; კონკურსებში ავტორთა კოლექტივების წარდგენისას კი დასაშვებია წარდგენა არა უმეტეს 4 პრეტენდენტისა, გამარჯვების შემთხვევაში მათზე ფულადი ჯილდო ნაწილდება თანაბრად. კონკურსში მონაწილეობისათვის საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში წარმოდგენილი უნდა იქნას დოკუმენტაცია, რომელიც მოიცავს: წარდგინებას ანუ ნაწარმოების, ნაშრომის აღწერა-დახასიათებას იმ განსაკუთრებული ღირსებების აღნიშვნით, რის გამოც ხდება მისი ავტორის შოთა რუსთაველის სახელობის ან საქართველოს ეროვნულ პრემიაზე წარდგინება. დოკუმენტს ხელს აწერს წარმდგენი ორგანიზაციის ხელმძღვანელი; საკონკურსო ნაწარმოების, ნაშრომის შესახებ პრესაში გამოქვეყნებული რეცენზიები, აუდიო, ვიდეო, ფოტო და სხვა მასალები ნაწარმოებზე, ნაშრომზე წარმოდგენის შესაქმნელად; ლიტერატურული ნაწარმოები 9 ეგზემპლარად, სამეცნიერო ნაშრომი 5 ეგზემპლარად, სიმფონიური ნაწარმოების პარტიტურა 1 ეგზემპლარად, კამერული მუსიკალური ნაწარმოების კლავირი 3 ეგზემპლარად, აუდიო, ვიდეო ჩანაწერები. რაც შეეხება გადაწყვეტილების მიღების წესს, კომისია უფლებამოსილია ცალკეულ საკითხთა შესწავლის, ასევე წარმოდგენილ ნამუშევართა (ნაწარმოებთა) რეცენზირებისა და ექსპერტიზის მიზნით შექმნას ქვეკომისიები, რომლებიც კომისიისათვის ამზადებენ საექსპერტო დასკვნას; კომისია შეარჩევს შოთა რუსთაველის სახელობისა და საქართველოს ეროვნული პრემიების ლაურეატობის კანდიდატებს; კონკურსის საბოლოო შედეგების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს და პრემიების ლაურეატთა სიას ამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტი, – აღნიშნულია კულტურის სამინისტროს საგანგებო განცხადებაში.

რაც შეეხება საკონკურსო განაცხადებისა და თანდართული მასალების მიღების ვადებს, როგორც სამინისტროს განცხადებაშია ნათქვამი:

— საკონკურსო განაცხადები და მასალები მიიღება 31 მარტამდე საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში, კონკურსის საბოლოო შედეგები და ლაურეატთა სია კი გამოქვეყნდება არა უგვიანეს 26 მაისისა.

# ჩოხოსნებმა მიხა ხელაშვილი გაიხსენეს

დასაწყისი მე-12 გვერდზე

და მანქანებით ავედით. ყველაზე კარგი ის იყო, რომ ძალიან ბევრი ხალხი შეიკრიბა, მართალია არაორგანიზებულად, მაგრამ კარგი გაგებით. ადამიანებმა საკუთარი სურვილით მოისურვეს მიხა ხელაშვილის ხსოვნისთვის პატივის მიგება. საფლავზე შეიკრიბნენ პოეტები ჯარჯი ფხოველი, ვაჟა ოთარაშვილი, ტარიელ ხარხელაური, მოვიდა ჩემი ყოფილი სტუდენტი ირაკლი ტრიპოლსკი, სავსე იყო ახალგაზრდობით იქაურობა. მთელი ნაკადი მოდის ხოლმე ახალგაზრდებისა საგანგებოდ ამისთვის, დაწერილი აქვთ ლექსები და როცა ცნობილი პოეტები გამოდიან, მერე ისინი იწყებენ საკუთარი შემოქმედების წარდგენას. ისინი საგანგებოდ ელოდებიან ამ დღეს და უნდათ თავის გამოჩენა მხოლოდ და მხოლოდ კარგი გაგებით და ამას მივესალმებით. იქ არიან ჩვენი მომღერალი გოგონები დები ნაყეურები, რომლებსაც რამდენჯერმე მივაღებინეთ მონაწილეობა ჩვენს ღონისძიებებში. ახლა მინდა ვისარგებლო ამ შემთხვევით და ბოდიში მოვიხადო: გასული წელი მიეძღვნა მიხა ხელაშვილს, მოსწავლეთა კონფერენცია ჩავატარე ჯერ დუშეთის რაიონში, მერე მთელ საქართველოში, ისევე, როგორც სოლომონ დოდაშვილზე ჩავატარე ჯერ სიღნაღში და მერე მთელ საქართველოში. იმ დიდი ძვრების გამო, რაც მოხდა გასულ წელს ჩვენს ცხოვრებაში, ვერ შევძელი გამარჯვებული მოსწავლეების დაჯილდოება, იმიტომ, რომ უნდა ჩამოვიდნენ მოსწავლეები, სკოლები, ამიტომ ყველას ბოდიშს ვუხდი, ყველამ იცის, ვინც გაიმარჯვა და წელს როგორც კი დათბება და შემეძლება მივიღო გამარჯვებულ მოსწავლეთა ნაკადი, ყველას მოვიწვევ თბილისში და დავაჯილდოებ მოსწავლეთა სასახლეში ისევე, როგორც ამას წინა წლებში ვაკეთებდი.

*— რამდენი წელია მიხა ხელაშვილის საფლავზე დადიხართ?*

— მეათე წელია ამ ტრადიციას არ ვღალატობთ. იქ ახალგაზრდობა მოდის და ეს არის ყველაზე მთავარი, ისინი არიან სკოლებიდან, ექსკურსიები ეწყობა. ამას არ მიეცა ჯერჯერობით ოფიციალური სახე, მაგრამ წელს ყველანაირ მოლოდინს გადააჭარბა და ალბათ მალე გახდება ოფიციალური. არ შეიძლება ასეთი დიდი მოღვაწე, როგორიც იყო მიხა ხელაშვილი და თან ასე უდროოდ დაიღუპა, არ იყოს დაფასებული. პოეზია და ლექსი საქართველოში არავის გაუკვირდება, მაგრამ საქმე ის არის, რა ასაკში დაწერა ამა თუ იმ პოეტმა თავისი შედევრები. მიხა იყო 19 წლის, როცა ნამდვილი ფილოსოფიური ტრაქტატი უძღვნა დედას. არ არსებობს მსოფლიო პოეზიაში ასეთი ამბავი. მან თქვა: „დედას ვუყვარვართ შვილები, დედა არ გვიყვარს შვილებსა“, საბოლოო დასკვნად კი მის მიერ აღიარებულია, რომ ამიტომაც გვაცოდვილებს წუთისოფელიო. ასეთი რამ არავის უთქვამს და რაც მთავარია, 19 წლის ბიჭმა დაწერა ეს ლექსი, არადა, ამ ასაკში ბიჭი უნდა წერდეს სამშობლოსა და გოგოებზე. ეს იყო ნამდვილი აფეთქება. ვაჟა-ფშაველა 32 წლის იყო, როცა წერა დაიწყო, თავიდან ეთნოგრაფიულ და საინფორმაციო წერილებს წერდა ფშავ-ხევსურეთზე და მერე შექმნა თავისი გენიალური ნაწარმოებები. მიხა ხელაშვილი კი საერთოდ შეუსწავლელი ფენომენია. იმდენი რამის თქმა შეიძლება მასზე, ერთი გაზეთი არ მეყოფა. რაც მთავარია, ყველამ უნდა იცოდეს, რომ როცა დედა მოუკლეს მიხას, ორივე მკვლელი დაიჭირა და არ მოკლა, გაუშვა და უთხრა, მე რომ მოგკლათ, არაფერი იქნება თქვენთვის, ამიტომ გაგიშვებთ და თქვენ მთელი ცხოვრების მანძილზე დედის მკვლელები იქნებით და ამ სახელით შეხვალთ ისტორიაშიო. ფშავ-ხევსურეთში ხომ გაფეტიშებულია დედა, ჰოდა, ასეთი სასჯელი მიუსაჯა მან საკუთარი დედის მკვლელებს და მართლაც ასე იყო — ძალიან ცუდი ცხოვრება ჰქონდა ორივე მკვლელს. ერთი მანქანით მიაჭყლიტეს სახლის კედელზე, მეორეს ისე გაუძაღლდა ცხოვრება, არ კვდებოდა და ბოლოს თვითონ ითხოვა, ურმის უღელი დაადეს მკერდზე და მოახრჩვეს. მიხამ დაანახა მთელ ფშავს და ხევს, რომ ისინი დედის მკვლელები არიან, ეს ყველაზე დიდი დანაშაულია და გადაეცემა მთელ თაობას მათი ცოდვაო. მახსოვს, როცა პირველად ჩავედი, ჩემი მასპინძლები იყვნენ უძილაური და გარსევანიშვილი. როცა შევხვდი ბოლოს მიხას ქალიშვილს, რომელიც საპატრიარქოში იწვა და ვუთხარი, უძილაურმა და გარსევანიშვილმა მიმასპინძლეს-მეთქი, გადაირია, როგორ შეიცვალა დროო, მამამისის ერთ-ერთი მკვლელი გვარად გარსევანიშვილი იყო. მიხას ქალიშვილი თამარი შარშან გარდაიცვალა, თვითონაც შესანიშნავი პოეტი იყო, თავისი ხელნაწერით მომცა რამდენიმე ლექსი და აუცილებლად გამოვაქვეყნებ. ის, რომ მიხა ხელაშვილი ახსოვს ქართველ საზოგადოებას, ძალიან კარგი საქმეა და ეს უნდა გაგრძელდეს. ჯარჯი ფხოველი პოეტია და იქ ცხოვრობს, საერთოდ არ ჩამოდის თბილისში. ღონისძიების დასასრულს მან ჩაილაპარაკა, არ გამოაღვიძეთ ეს საწყალი მივიწყებული პოეტიო. იცით რა ამბავი იყო? თვითონაც გაკვირვებული დავრჩი. საოცარი სანახაობა გადაიშალა, ფაქტიურად, ფილმი დაიდგა ახალგაზრდების მონაწილეობით. სპონტანურად ხდება ეს ამბავი და ეს უფრო კარგია, ხომ იცით, როცა არავინ გეძალება, უფრო ეტანება ადამიანი. იმედს ვიტოვებ, ეს ღონისძიება კიდევ უფრო მასშტაბური გახდება და მიხა ხელაშვილს კიდევ უფრო მეტი ქართველი დააფასებს.

# ზაზა წერეთელი: „ქართველებს პასუხისმგებლობის აღება არ გვიყვარს“

დასაწყისი მე-7 გვერდზე

კანონმორჩილება ქვეყნის სიყვარულის და პატრიოტიზმის ერთ-ერთი გამოვლენაა. აქ კანონი იწერება არა იმისთვის, რომ დაარღვიო (რაც ასე გავრცელებული იყო სსრკ-ში და სამწუხაროდ, დიდხანს შემორჩა საქართველოშიც), არამედ იმისთის, რომ დაიცვა. მაშინ, როდესაც თბილისის მერიის პირველი პირები აცხადებენ, რომ ფიქტიურად დაასაქმა ხალხი და ხელფასს უხდიდა იმისთვის, რომ ისენი მღეროდნენ და ამითი ახლგაზრდებს ეხმარებოდა, ეს მას ჰგონია ნორმალური მოვლენა (პირდაპირ ეთერში, დაუფარავად აცხადებს ამას) და ამაში ვერანაირ დანაშაულს ვერ ხედავს, კანონის უზენაესობაზეა საუბარი აღარ შეიძლება.მახსენდება შემთხვევა, როდესაც ტალინის პოლიციის შეფი გადადგა (ხაზს გავუსვამ გადადგა თავისით) 1 დღეში, მას შემდეგ, რაც ინფორმაცია გავრცელდა, რომ მან სამსახურის მანქანა გამოიყენა ავადმყოფი მშობლის გადასაყვანად. შეიძლება ვინმემ თქვას, რა სიმკაცრეა, მშობელი ავად იყოო, მაგრამ კანონის დარღვევის უფლება არავის აქვს. ახვლედიანი ან სხვა ვინმე მის ადგილას ალბათ იქეთ დაგვდებდა ბრალს, რომ მშობლის ინსტიტუტს პატივს არ ვცემთ საქართველოში.

როდესაც ესტონეთის პრეზიდენტი სადმე მიემგზავრება, ქვეყნდება ინფორმაცია, თუ რამდენი დაუჯდება ეს ქვეყანას და მიდის მსჯელობა, ღირს კი ეს ვიზიტი ამდენად. წარმომიდგენია, რა მოხდება ესტონეთსა ან ნებისმიერ ევროპულ ქვეყანაში, მოსახლეობამ რომ გაიგოს, პრეზიდენტს ბებია და მეუღლის ნათესავები მიჰყავს ოფიცილურ ვიზიტებზე! ამის უბრალოდ არ თუ წარმოდგენა, გაფიქრებაც კი შეუძლებელია. პატრიოტიზმი მარტო ცარიელი სიტყვები არ უნდა იყოს. ის, რასაც თვითოეული ჩვენთაგანი ქვეყნისათვის აკეთებს, უნდა კეთდებოდეს არა ვიღაცის მოწონების გამო და ვიღაცის დასანახავად, არამედ ეს ჩვენი შინაგანი მოთხოვნა უნდა იყოს. არ შეიძლება შენ მარჯვნივ და მარცხნივ არიგო ღირსების ორდენები მხოლოდ პირადული სიამოვნების მიღების გამო. არ შეიძლება დააწესო თუნდაც ხსოვნის დღე იმის გამო, რომ ეს პოპულარულია დასავლეთში. ზოგიერთი ხსოვნის დღეზე ყაყაჩოს იმიტომ იმაგრებდა, რომ ამითი ,,ნაციონალური მოძრაობისადმი“ ერთგულება დაემტკიცებინა და არა იმიტომ, რომ მართლა განიცდიდა გმირი ვაჟკაცების დაღუპვას.

***— ამბობენ, რომ ქართულ საზოგადოებას დრო სჭირდება პროგრესირებისთვის. რას იტყოდით ამაზე?***

— ჩრდილოეთის ქვეყანაში ცხოვრებამ დამანახა, რომ ზოგადად ეს ხალხი ძალზედ განსხვავდება მათგან, ვინც სამხრეთში ცხოვრობს. დააკვირდით თუნდაც იმ ფაქტს, რომ სწორედ სამხრეთულ ქვეყნებს შეეხო ყველაზე მძიმედ ეკონომიური კრიზისი. ჩვენი პრობლემა, რაც ხელს გვიშლის სწრაფად პროგრესირებაში, და რაც ასე მოხერხებულად გამოიყენა სააკშვილმა, ჩვენ არ გვინდა პასუხისმგებლობის აღება.

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. ძვირფასი ნივთები, განძი, ფასეულობა; 2. ელექტრობის რაოდენობის საზომი ერთეული ფიზიკაში; 3. ბოლო ბგერების გამეორება ლექსის სხვადასხვა სტრიქონში; 5. შოტლანდიური ნაგაზი; 6. საქართველოს ფეხბურთელთა გუნდი; 8. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი; 11. ოსური ხაჭაპური; 13. მარნეულის ძველი სახელწოდება; 14. დედამიწის ატმოსფეროში სწრაფად მოძრავი გავარვარებული კოსმოსური სხეული; 15. ყვავილების კონა; 19. ყაჩაღის ძველი ქართული სახელწოდება.

**თარაზულად:** 1. ზიარებისთვის განკუთვნილი წმინდა ფქვილისაგან გამომცხვარი კვერი; 4. ტყის კაცი ქართულ მითოლოგიაში; 7. საქართველოში გავრცელებული ძვირფასი, წითელმერქნიანი წიწვოვანი ხე; 9. თავად-აზნაურთა წინამძღოლი ძველად საქართველოში; 10. ოთხფეხა შინაური ცხოველი; 12. სხეულის მოხდენილი, რიტმული მოძრაობის ხელოვნება; 16. ფქვილით, ხახვით, ძმრით და კვერცხით შეზავებული ქათმის წვნიანი კერძი; 17. ხურდა ფული ბრაზილიაში; 18. კუთხე საქართველოში; 20. ერთ-ერთი ძველი ქართული დამწერლობა; 21. იტალიის ფეხბურთელთა გუნდი; 22. ყველაზე წვრილი ფული ინგლისში.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 6. მარაბუ; 7. ენდშპილი; 8. კუპატი; 10. პეშვი; 11. კიდნეპინგი; 13. ლამპიონი; 16. დავოსი; 19. ადმირალი; 20. გირლანდა.

**შვეულად:** 1. მანუალი; 2. აბატი; 3. ონკოლოგი; 4. იპოთეკა; 5. ნიტრიტები; 9. რაიონი; 12. გაზოილი; 14. აბრისი; 15. იორი; 17. სკოლა; 18. კანა.

**სკანვორდის პასუხები:**

1. პინა; 2. მელანო; 3. ლემა; 4. ფიალა; 5. ხმა; 6. ალაფი; 7. საფანტი; 8. მადა; 9. კამბალა; 10. ლიმანი; 11. მაიორი; 12. იოსებ; 13. სუმო; 14. მამალი; 15. ინა; 16. ბაფთა; 17. იორდანე; 18. ბასტილია; 19. რეფერი; 20. ია; 21. კინო; 22. მაროკო; 23. იჯრა; 24. ნიამორი; 25. აბანო; 26. ბოა; 27. ნორდი; 28. დაირა; 29. აკურა; 30. რუ; 31. არდანი; 32. ნული; 33. აუდი; 34. იო.

**სურათებზე:** ელ მაკფერსონი; ჯონ ოში.

# რა არ იცის საზოგადოებამ კიბოს შესახებ?

მერი ნამორაძე

**გუშინ ერთ-ერთი ყველაზე ვერაგი დაავადების, კიბოს მსოფლიო დღე აღინიშნა. ეს დაავადება ყოველთვის ასოცირდება ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობასთან და დიდ ფინანსურ დანახარჯებთან. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის პროგნოზის მიხედვით, მსოფლიოში 2030 წლისათვის კიბოთი სიკვდილობის მაჩვენებელი 13,1 მილიონს მიაღწევს. ამასთან, ახალი შემთხვევების განსაკუთრებული მატება მოსალოდნელია განვითარებად ქვეყნებში. ამაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ აღნიშნულ ქვეყნებში მაღალია კიბოთი გამოწვეული სიკვდილიანობა და დაბალია 5-წლიანი გადარჩენის მაჩვენებელი.**

კიბოს მსოფლიო დღე აერთიანებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, ჯანმო-ს, მთავრობების და სხვა მნიშვნელოვანი ჯანდაცვის ორგანიზაციების ძალისხმევას კიბოს წინააღმდეგ ბრძოლაში. საქართველოს დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრში ამბობენ, რომ არსებობს კიბოს გარშემო არსებული შეცდომაში შემყვანი 4 ძირითადი მითი: რომ კიბო მხოლოდ ჯანმრთელობის პრობლემაა, რომ კიბო მხოლოდ მდიდარ და განვითარებულ ქვეყნებშია გავრცელებული; კიბო არის სიკვდილის განაჩენი და მეოთხე – ბედისწერაა. ამ მითის გასაქარწყლებლად ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ სლოგანი „კიბო – იცოდით თუ არა?“ შესთავაზა საზოგადოებას.

კიბო სიღარიბის მიზეზიცაა და შედეგიც. დაავადება, ერთი მხრივ, უარყოფითად მოქმედებს ოჯახის შემოსავალზე, ვინაიდან მისი მკურნალობის ხარჯები კიდევ უფრო აუარესებს ოჯახის ფინანსურ მდგომარეობას. მეორე მხრივ, ხელმოკლე ოჯახის განათლებასა და ჯანდაცვაზე დაბალი ხელმისაწვდომობა ზრდის მისი წევრების კიბოთი დაავადებისა და სიკვდილის რისკს.

კიბო აგრეთვე ემუქრება ქალთა ჯანმრთელობასა და გენდერული თანასწორობის გაუმჯობესებას. საშვილოსნოს ყელისა და ძუძუს კიბოთი გარდაცვლილთა რაოდენობა ერთად 750,000-ს აღწევს წელიწადში. მათი უმეტესობა კი განვითარებად ქვეყნებზე მოდის. კიბო ყველა ასაკს, ორივე სქესს, ნებისმიერ სოციალურ-ეკონომიკურ ჯგუფს ეხება. დღესდღეობით, კიბოთი გამოწვეული სიკვდილიანობა აღემატება შიდსის, ჰეპატიტისა და მალარიით გამოწვეულ სიკვდილობას ერთად აღებულს.

კიბოს მკურნალობა უმეტეს შემთხვევაში სახელმწიფო პროგრამებით არ ფინანსდება. სწორედ ამიტომ, ამ დაავადებით განსაკუთრებით ღარიბი მოსახლეობა ზარალდება – მათ ძვირადღირებული მედიკამენტებისა და სამკურნალო პროცედურების ხარჯი მძიმე ტვირთად აწვება. განვითარებად ქვეყნებში კიბოს შემთხვევათა 50% 65 წლამდე ადამიანებში გვხვდება. ეს დიდი ტრაგედიაა ოჯახებისთვის, ხოლო გრძელვადიანი პერსპექტივით მნიშვნელოვან ზიანს აყენებს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას. უამრავ ქვეყანაში კიბო სიკვდილის ერთ-ერთი მთავარი მიზეზია 5-14 წლის ასაკის ბავშვებში. თუმცა, ეს მთლიანი სურათის ერთი ნაწილია. დაავადების თანმდევი გართულებები და შეზღუდული შესაძლებლობები არ აძლევს ბავშვებს ნორმალური ცხოვრების საშუალებას. მკურნალობის ხარჯების გამო კი უარესდება მათი ოჯახების ეკონომიკური მდგომარეობა.

როგორც დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრში ამბობენ, კიბოს უმრავლესობა, რომელიც ადრე უკურნებლად ითვლებოდა, დღეს ექვემდებარება მკურნალობას. სულ უფრო და უფრო მეტი ადამიანის კიბოსგან სრული განკურნებაა შესაძლებელი. ადრეულ სტადიაზე გამოვლენილი კიბო გაცილებით მეტად იკურნება და იშვიათად მთავრდება სიკვდილით, ვიდრე გვიან აღმოჩენილი. მსოფლიოში დაახლოებით 30,000,000 ადამიანმა დაძლია კიბო.

იმ ქვეყნებში, სადაც ათწლეულზე მეტია, რაც ძუძუს კიბოს სკრინინგული პროგრამები მოქმედებს, მისგან გამოწვეული სიკვდილობა მკვეთრად შემცირდა. საქართველოში 2008 წლის მაისში დაიწყო ანალოგიური სკრინინგი – პროგრამა. მედიკოსთა მტკიცებით, კიბო არ არის ბედისწერა, რადგან ყველაზე ფართოდ გავრცელებული კიბოს 1/3-ის თავიდან აცილება შესაძლებელია სწორი სტრატეგიის გამოყენებით. პრევენცია ყველაზე ნაკლებხარჯიანი და ეფექტური გზაა კიბოს ტვირთის შესამცირებლად. ფიზიკური აქტივობა, ჯანსაღი კვება, ალკოჰოლის მოხმარების შემცირება, თამბაქოს პროდუქტების გამოყენებაზე უარის თქმა, ეს ის მეთოდებია, რომლებიც თითქმის ანახევრებს კიბოთი დაავადების ალბათობას.

არსებული ტენდენციების პირობებში ნავარაუდევია, რომ 21-ე საუკუნეში თამბაქო შეიწირავს 1 მილიარდ ადამიანს. მოწევა პასუხისმგებელია ფილტვის კიბოს სიკვდილობის 71%-ზე (ორ მესამედზე). ამდენად, მოწევაზე უარის თქმა, ჯანსაღი ცხოვრების წესით ცხოვრება, ძალიან მნიშვნელოვანია კიბოს განვითარების თავიდან ასაცილებლად.

განვითარებადი ქვეყნებისთვის ასევე მნიშვნელოვანია კიბოს გამომწვევი ზოგიერთი ვირუსული და ბაქტერიული ინფექციები. ღვიძლის, საშვილოსნოს ყელისა და კუჭის კიბო კავშირშია ისეთ ინფექციებთან, როგორიცაა ჰეპატიტი, პაპილომავირუსი, ჰელიკობაქტერია პილორი. ამ ქრონიკული ინფექციებით გამოწვეული კიბოს შემთხვევები შეადგენს მსოფლიოში კიბოს შემთხვევათა დაახლოებით 16%. ამიტომ ძალზე მნიშვნელოვანია განვითარებად ქვეყნებში კიბოს ამ სახეობების თავიდან ასაცილებლად ეფექტური და ხელმისაწვდომი ვაქცინაციის არსებობა.



ისეთი გარემო ფაქტორები, როგორიცაა ჰაერის დაბინძურება, რადიაცია და ჭარბი მზის სხივები, კიბოს გამომწვევი რისკ ფაქტორებია. ამ ფაქტორების ზემოქმედების შემცირებით, ასევეა შესაძლებელი კიბოს თავიდან აცილება. როგორც დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრში ამბობენ, საზოგადოების დიდი ნაწილი აღნიშნული დაავადებების შესახებ ინფორმაციის ნაკლებობიდან გამომდინარე ამჯობინებს მის იგნორირებას და ბედთან შეგუებას. ეს კი დიდი შეცდომაა, ვინაიდან ადრეული გამოვლენის შემთხვევაში, მისგან განკურნება, ხოლო ჯანსაღი ქცევებით მისი განვითარების თავიდან არიდებაა შესაძლებელი.

უკანასკნელი მონაცემებით, საქართველოში, ავთვისებიანი სიმსივნეების დიაგნოზით აღრიცხვაზე იმყოფება 25143 ავადმყოფი. სიცოცხლეში პირველად დადგენილი დიაგნოზით რეგისტრირებულია 4252 ავადმყოფი, მათ შორის 49.8% – ქალია, 50.2% – მამაკაცი. 2010 წლის ბოლოსთვის დაფიქსირებული ავთვისებიანი სიმსივნეების რაოდენობრივ მაჩვენებელთან შედარებით, რომელიც ბოლო 10 წლის განმავლობაში ყველაზე მაღალი იყო და შეადგენდა 31370-ს, 2011 წელს ეს მაჩვენებელი შედარებით შემცირდა. ასევე შემცირდა ახალი შემთხვევების მაჩვენებელიც, რომელიც 2010 წელს 5628-ს უდრიდა და რომლის კლების ტენდენცია 2005-2006 წლიდან შეინიშნება. ჯანმო-ს 2010 წლის მონაცემებით, საქართველოში ავთვისებიანი სიმსივნეების ინციდენტობის მაჩვენებელი 2-ჯერ დაბალია, ვიდრე დსთ-ს ქვეყნებში.

კიბოთი სიკვდილობის შემთხვევების უდიდესი წილი ყოველწლიურად ფილტვის, კუჭის, ღვიძლის, მსხვილი ნაწლავისა და სარძევე ჯირკვლის კიბოზე მოდის. კიბოს ყველაზე მეტად გავრცელებული ტიპები ქალებსა და მამაკაცებში განსხვავდება ერთმანეთისგან. კიბოთი გამოწვეული სიკვდილობის დაახლოებით 30% გამოწვეულია ხუთი ძირითადი ქცევითი და კვებითი რისკ ფაქტორით. ეს არის სხეულის მასის მაღალი ინდექსი, ხილისა და ბოსტნეულის არასაკმარისი ოდენობით მოხმარება, ფიზიკური ინერტულობა, თამბაქოსა და ალკოჰოლის მოხმარება. თამბაქოს მოხმარება წარმოადგენს კიბოს გამომწვევ ყველაზე მნიშვნელოვან რისკ ფაქტორს, რომელზეც გლობალურად მოდის სიკვდილობის 22% და ფილტვის კიბოთი გარდაცვალების 71%.

როგორც სპეციალისტები ამბობენ, კიბოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მახასიათებელია ანომალიური უჯრედების სწრაფი წარმოქმნა, რომლებიც იზრდებიან მათი წარმოქმნის ადგილის საზღვრებს გარეთ და აქვთ უნარი შეაღწიონ სხეულის დაზიანების ადგილთან მყოფ უახლოეს ნაწილებში და გავრცელდნენ სხვა ორგანოებში. ამ პროცესს მეტასტაზირება ეწოდება. მეტასტაზების გავრცელება კიბოთი სიკვდილობის ძირითად მიზეზს წარმოადგენს. კიბოს ძირითადი ტიპებად სახელდება ფილტვის, კუჭის, ღვიძლის, მსხვილი ნაწლავის, სარძევე ჯირკვლის და საშვილოსნოს ყელის კიბო.

მაინც რა არის კიბოს გამომწვევი მიზეზი? სპეციალისტთა თქმით, კიბო ვითარდება ერთი უჯრედისგან. ნორმალური ტიპის უჯრედიდან სიმსივნური ტიპის უჯრედად ტრანსფორმაცია არის მრავალეტაპიანი პროცესი, რაც ჩვეულებრივ წარმოადგენს კიბოს წინა მდგომარეობიდან ავთვისებიან სიმსივნედ ჩამოყალიბების პერიოდს. ეს ცვლილებები გამოწვეულია ადამიანის გენეტიკური ფაქტორებისა და გარე ფაქტორიების ურთიერთქმედებით. ეს ფაქტორებია ფიზიკური კანცეროგენები, როგორიცაა ულტრაიისფერი და მაიონიზებელი რადიაცია; ქიმიური კანცეროგენები, როგორიცაა ასბესტი, თამბაქოს ბოლის კომპონენტები, აფლატოქსინი (საკვების კონტემინანტები) და დარიშხანი (სასმელი წყლის კონტემინანტი); ბიოლოგიური კანცეროგენები, როგორიცაა ინფექციები გამოწვეული ზოგიერთი ვირუსისგან, ბაქტერიისა და პარაზიტისგან.

კიბოს განვითარების კიდევ ერთ ფუნდამენტურ ფაქტორად მოიაზრება დაბერება. კიბოს ინციდენტობა ასაკის მატებასთან ერთად მნიშვნელოვნად იზრდება, სავარაუდოდ, ეს დაკავშირებულია ასაკის მატებასთან ერთად კიბოს გამომწვევი რისკ-ფაქტორების დაგროვების პროცესთან. რისკების დაგროვებას ასაკის მატებასთან ერთად თან ახლავს უჯრედების განახლების მექანიზმის ეფექტურობის შემცირების ტენდენცია.

როგორ შეიძლება კიბოს ტვირთის შემცირება? ტვირთი შეიძლება შემცირდეს და გაკონტროლდეს კიბოს პრევენციის, მისი ადრეული გამოვლენისა და კიბოთი დაავადებული პაციენტების მართვის მტკიცებულებებზე დაფუძნებული სტრატეგიების განხორციელებით. არსებობს კიბოს განკურნების დიდი შანსი დაავადების ადრეულ სტადიაზე გამოვლენისა და ადეკვატური მკურნალობის ჩატარების შემთხვევაში.

30%-ზე მეტი კიბოს შემთხვევების პრევენცია შესაძლებელია ისეთი ძირითადი რისკ-ფაქტორების თავიდან აცილებით, როგორიცაა თამბაქოს მოხმარება, ჭარბი წონა ან სიმსუქნე, ხილისა და ბოსტნეულის ნაკლები ოდენობით მოხმარება, ფიზიკური ინერტულობა, ალკოჰოლის ჭარბი მოხმარება, სქესობრივი გზით გადამდები ინფექცია,

ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება ქალაქებში, მყარი საწვავის გამოყენებით გამოწვეული ჰაერის დაბინძურება შენობაში. სპეციალისტთა თქმით, ამ რისკების თავიდან აცილება შესაძლებელია ადამიანის პაპილომავირუსისა და ჰეპატიტის წინააღმდეგ ვაქცინაციის ჩატარებით; სამუშაო ადგილებზე რისკებსა და საშიშ ფაქტორებზე კონტროლის განხორციელებით; მზის სხივების ზემოქმედების შემცირებით.

# მკვლელობა ყოფითი პრობლემების გამო

როლანდ ხოჯანაშვილი

*„ახალი თაობის“ იმერეთის ბიურო*

ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ ვაჭევში მკვლელობა მოხდა. ქმარმა ცოლი, სავარაუდოდ, ყოფითი პრობლემების საფუძველზე ბლაგვი საგნის ჩარტყმით მოკლა. მეზობლებმა ინციდენტის შესახებ ოჯახში შემთხვევით მისული ნათესავისგან შეიტყვეს. ცოლის მკვლელობაში ეჭვმიტანილი პოლიციამ უკვე დააკავა. იმერეთის სამხარეო მთავარ სამმართველოში საქმე განზრახ მკვლელობის მუხლით აღიძრა. 62 წლის მერი ქურციკიძის მკვლელობაში ეჭვმიტანილი მისი მეუღლე ავთო ქურციკიძეა.

შინაგან საქმეთა სამინისტრო ოფიციალურად ავრცელებს ინფორმაციას: „2013 წლის 2 თებერვალს შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს და ჭიათურის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, ჭიათურის რაიონის სოფელ ვაჭევში მცხოვრები, 1947 წელს დაბადებული, ავთანდილ ქ. განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს“.

პირველადი დათვალიერებით შეიძლება ითქვას, რომ დაკავებულმა საყოფაცხოვრებო ნიადაგზე დაწყებული ურთიერთშელაპარაკებისას საკუთარი მეუღლე, 1951 წელს დაბადებული მერი ქურციკიძე მოკლა. თავის არეში ნაჯახით მიყენებული მძიმე ჭრილობის შედეგად, რამაც თავის ქალა მნიშვნელოვნად დააზიანა, მერი ქურციკიძე შემთხვევის ადგილზევე გარდაიცვალა. სამართალდამცველებმა ნივთმტკიცების სახით მკვლელობის იარაღი ამოიღეს.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით მიმდინარეობს. გამოძიებას იმერეთის რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველო აწარმოებს. ჩადენილი დანაშაული 7 დან 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

როგორც მეზობლები ამბობენ, ცოლ-ქმარი ქურციკიძეები ჩაკეტილ ცხოვრებას ეწეოდნენ, თუმცა იციან, რომ ავთო ქურციკიძე ალკოჰოლზე რამდენადმე დამოკიდებული ადამიანია და ხშირად ოჯახური უსიამოვნების ნიადაგზე ჩხუბს იწყებდა.

ავთო ქურციკიძე ამჟამად ზესტაფონშია მკურნალობისათვის გადაყვანილი. როგორც მკურნალი ექიმი აცხადებს, პაციენტი კითხვებზე არაადეკვატურ პასუხებს იძლევა.

## სამგლოვიარო განცხადებები



### ომარ ლალიაშვილის გახსენება

დღეს 70 წელი შეგისრულდებოდა. საუბედუროდ, გასახსენებლად შენი კაცობისა და მადლიანი ცხოვრების მოგონებებიღა შემოგვრჩა. ვცდილობთ, ტკივილი როგორმე შევიმსუბუქოთ, უშენოდ ცხოვრებას შევეგუოთ, მაგრამ არაფერი გამოგვდის. შენ ხომ ჩვენი სიმშვიდისა და ბედნიერების გარანტი იყავი. მამა, საოცრად გვეამაყები და ძალიან გვიყვარხარ. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული.

*ქეთი და თამუნა*

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

## TV პროგრამა

**სამშაბათი 5 თებერვალი**

06.30 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 „ჩვენი დილა„ 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 01.20 „მოამბე„ 10.30 „დილის საუბარი„ 11.00 „სამოთხის ვაშლები„ 12.45 „პირადი ექიმი„ — მარი მალაზონია 13.30 „დღეს ორის ნახევარზე„ 15.00 დ/ფ „ძვლების მკვლევარები„ 17.00 „საფარი„ 18.00 „პეპე და მეგობრები„ 19.05 ტ/სერ „რესტავრატორი„ 21.00 ტ/სერ 22.00 „აქცენტები„ 23.30 მხ/ფ „ლუდის ფესტივალი„ 01.40 დ/ფ „ჩირლიდერები„

08.00 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ ენებზე) 09.00, 12.00, 15.00, 17.00, 20.00, 23.00 „ბრიფინგის დრო„ 11.00 დ/ფ „მეცნიერება ფილმებში„ 14.00 დ/ფ „სახელგანთქმული თვითმფრინავები„ . 16.00 დ/ფ „თანამედროვე იარაღი„ 19.00 ტ/სერ „საიდუმლო აგენტები„ 22.00 „თავისუფალი ტრიბუნა„ 00.00 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ ენებზე)

07.30 იმედის დილა 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 09.10 იმედის დილა (გაგრძელება) 10.00 სერ. „იღბლიანი მოახლე„ 11.20 სერ. „უკვდავი ამბავი„ 12.20 დოკ.ფილმი: ჰოლივუდის წყვილები 2 სერ. 13.00 სერ. „გაქცევა – 4„ 14.40 სერ. „24 – 4„ 15.40 სერ. „დამალული სიმართლე„ 17.50 სერ. „თილისმა„ 18.50 სერ. „სახიფათო ვნება„ 21.00 სერ. „მარტოსული„ 22.00 მხ/ფ „მხსნელი„ (ნ.კინსკი) 00.15 სერ. „ღვინის გზა„ 01.00 მხ/ფ „საშიში ბავშვები„ (ბ.უილისი) 02.55 მუსიკა

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. „სიყვარული მშვენიერია„ 11.00 სერ. „იდუმალი ქალი„ 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 „შუა დღე„ 15.30 ვანოს შოუ 17.00 სერ.„ვნების უფსკრული„ 18.45 სერ. „მგზნებარე გული„ 20.05 სერ. „ღირსება და ამბიცია„ 20.50 ეროვნული ლატარეა 22.00 პოზიცია 23.00 „ნანუკას შოუ„ 01.00, 03.30 მხ/ფ 03.00 კურიერი დაიჯესტი

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 დოკ/ფ „ველური ბუნება„ 06.40 სპექტაკლი „ბნელ ოთახში„ 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 „განთიადი„ 10.00, 18.05, 21.25 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 12.10, 18.55, 21.55, 00.25 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35, 21.20 ლექსით ქებათა ქება 10.40 დოკ/ფ „სარფი მოლენა„ I ნაწ. 11.00 სადვთისმეტყველო საუბრები 11.30 დრო და ტრადიციები 12.05 ამინდი 12.15 მხ/ფ „უცხო„ 13.20 კონცერტი-ელისო ბოლქვაძე 14.50, 18.20, 23.15 ფოტოგალერეა 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 კონცერტი-ჯუმბერ ჯანდიერი 17.35 აქტუალური თემა 18.10 ტელეზღაპარი 18.25 დებიუტი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 ჩვენი ტრაპეზი 19.30 დროის ჩანაწერები 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.15 იელოველთა სექტის სწავლების შეცდომები 21.30 შარავანდედი (გად. 6) 22.25 მგზავრები წუთისოფლისა 23.00 საღამოს ლოცვა 23.20 დოკ/ფ „სარფი მოლენა„ II ნაწ. 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 ერთსულოვნების სალონი 01.45 კარაბადინი

მაესტრო 7.00 ახალი ამბების კოლაჟი (გამ) 7.30, 8.20, 9.15, 10.30, 12.30, 13.30, 15.30, 16.30, 17.10, 18.40, 1.35, 2.35, 3.35, 4.35, 5.35, 6.35 უცხოეთის ამბები 8.00, 9.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 17.00, 20.00 ახალი ამბები 11.30 ყოველდღიური აბები (გამ) 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 14.05 მაესტროს პრესკლუბი 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 19.00 ახალი ამბები ინგლისურ ენაზე 19.05, 22.20 თოქ-შოუ „სუბიექტური აზრი„ 20.05, 0.30 თოქ-შოუ „არგუმენტები„ 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 22.00, 1.15 ყოველდღიური აბები 0.00 ახალი ამბები (ღამის გამოშვება)

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

Akhali-Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


5 თებერვალი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1,6571 |
| ევრო | 2,2638 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 2,6219 |
| რუსული რუბლი | 0,0524 |

## ამინდის პროგნოზი 5 თებერვლისთვის





11 თებერვლიდან „ახალ თაობასთან“ ერთად

მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები

ტომი 1 ამერიკული ზღაპრები

მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები 1

ამერიკული ზღაპრები






მალე, მალე, მალე „ახალ თაობასთან“ ერთად

ილია II

ოქროს ხანა

სამტომეულის მე-2 ტომი


## ჩოხოსნებმა მიხა ხელაშვილი გაიხსენეს

ეკა ირემაშვილი



ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელობის ჩოხოსან რაინდთა დასის წევრებმა სახალხო პოეტი მიხა ხელაშვილი გაიხსენეს. როგორც ჩოხოსნების ხელმძღვანელმა, პროფესორმა და კინომცოდნემ გოგი დოლიძემ განაცხადა, ისინი უკვე 10 წელია ყოველ წელს ადიან ჩარგალში და მიხა ხელაშვილის საფლავზე იკრიბებიან. მათთვის მიხა ხელაშვილი ჭეშმარიტი მამულიშვილი და პატრიოტია, რომელიც 25 წლის ასაკში მუხანათურად იქნა მოკლული.

მიხა ხელაშვილი გასული საუკუნის 20-იან წლებში ანტისაბჭოთა პარტიზანული მოძრაობის მონაწილე და „შეფიცულთა რაზმის“ წევრი იყო. მისი ლექსები ხალხში ზეპირად ვრცელდებოდა და დიდი პოპულარობითაც სარგებლობდა. ის ავტორია ლექსებისა „ლექსო ამოგთქომ ოხერო“, „ბინდისფერია სოფელი“. პოეტი მონაწილეობდა საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ ქაქუცა ჩოლოყაშვილის მეთაურობით მოწყობილ შეიარაღებულ გამოსვლებში ფშავსა და ხევსურეთში. გავრცელებული ვერსიით საკუთარ დაბადების დღეს, 25 წლის ასაკში თავისივე დაბადების დღეზე ის მოკლა საბჭოთა ხელისუფლების მიერ მოსყიდულმა მეგობარმა. სხვა ვერსიით კი დაიღუპა დუშეთის მილიციის რაზმთან შეტაკების დროს.

**გოგი დოლიძე:**

– ჩვენ ტრადიციას არც წელს ვუღალატეთ და კვლავ შევიკრიბეთ მიხა ხელაშვილის საფლავთან. რა კარგია, რომ არანაირი სახელმწიფო ვალდებულება არ გაქვს და შენი შინაგანი სურვილით მოქმედებ. სოფლის გამგებელია ტარიელ უძილაური, რომელთანაც სულ გვაქვს კავშირი და მან გზა გაწმენდილი დაგვახვედრა, გაატარა ტრაქტორი და მარილი მოაყარა. ვაჟა-ფშაველას სახლ-მუზეუმიდან სასაფლაომდე გასასვლელი გზა ყველაზე რთულია, ჩვენ კი პრობლემა არ შეგვქმნია

გაგრძელება მე-10 გვერდზე

## ყველამ გაითვალისწინეთ! წარმატებული დღეა

## ასტროპროგნოზი 5 თებერვლისთვის

**ვერძი** – ფული გაქვთ, პრობლემა არ გაწუხებთ. **კურო** – თქვენი საქმე პირნათლად აკეთეთ. **ტყუპები** – შემოქმედებითი დღეა, შინაგან თავისუფლებას იგრძნობთ. **ტყუპები** – არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **კირჩხიბი** – გადაიხალისეთ გარდერობი, შეხვედრა გაქვთ დანიშნული. **ლომი** – დიდძალი ქონების პატრონი გახდებით, გილოცავთ. **ქალწული** – არ გარისკოთ, დღეს არ ღირს. **სასწორი** – რომანტიკული თავგადასავალი კარგ ხასიათზე დაგაყენებთ. **ღრიანკალი** – რთული სიტუაციიდან გამოძვრებით. **მშვილდოსანი** – არ დაივიწყოთ წარსული, იფიქრეთ ახლობლებზე. **თხის რქა** – გზიდან ფულს მიიღებთ, გელით სხვა კარგი სიახლეც. **მერწყული** – საქმეს ბოლომდე მიიყვანთ, ფულიც გექნებათ. **თევზები** – მიწაზე დაეშვით, ზედმეტი ოცნება არ გარგებთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## კროსვორდი

**შვეულად:** 1. სითბოს რაოდენობის საზომი ერთეული ფიზიკაში; 2. მწვავე სუნის მქონე უფერო აირი; 3. უდაბნო შუა-აზიაში; 4. თვალის კაკლის თეთრი გარსი; 5. წარმატებისთვის, დამსახურებისთვის გაცემული სიგელი, მოწმობა; 6. ორცოლიანობა, ორქმრიანობა; 11. ტროპიკული, ხვიარა, მცოცავი მცენარე; 13. მუსლიმანთა დღესასწაული; 14. პოპულარული ფრანგული ყველი; 15. რაიმეს, განვითარების მიმართულება, მისწრაფება, მიდრეკილება; 17. მოდელების სააგენტო თბილისში; 18. ანგორული თხის მატყლი; 19. სახელმწიფო სამხრეთ ამერიკაში.

**თარაზულად:** 7. აეროპორტი ტოკიოში; 8. ტრიუკების შემსრულებელი კინოფილმში; 9. ბანქოს თამაშის ერთ-ერთი სახეობა; 10. ფინური ხალხური ეპოსი; 12. უცხო ენიდან შემოსული სიტყვა; 14. მგზავრთა სათავსო გემზე; 16. სოფოკლეს ტრაგედია; 18. უღელტეხილი კავკასიონზე; 20. თავის ქალას ზედა ნაწილი; 21. იაპონელი მევიოლინე ქალი; 22. საავტომობილო შიგაწვის ძრავების გერმანელი კონსტრუქტორი; 23. ფეხბურთის სათამაშო ფეხსაცმელი; 24. მეძავის ხარჯზე მცხოვრები მამაკაცი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა



## ჯაბა კილაძე მესაფლავე გახდა

ეკა ირემაშვილი

მარჯანიშვილისა და თავისუფალი თეატრების მსახიობი ჯაბა კილაძე მესაფლავე გახდა.



ამის მიზეზი რეჟისორ თემურ კუპრავას ახალი სპექტაკლია, სადაც მსახიობი მესაფლავის როლს ასრულებს.

კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში პრემიერებია. რეჟისორები აქტიურად მუშაობენ როგორც დიდ სცენაზე, ასევე მცირე სცენაზე. მარჯანიშვილის თეატრის დიდ სცენაზე რეჟისორი თემურ კუპრავა წარმოადგენს უილიამ შექსპირის გახმაურებული „ჰამლეტის“ თავისებურ რეჟისორულ გადაწყვეტას. სპექტაკლის პრემიერა 7, 8 და 9 თებერვალს არის დაგეგმილი. წარმოდგენის რეჟისორი და მუსიკალური გამფორმებელი თემურ კუპრავაა, მხატვარი – ნინო სურგულაძე, სცენოგრაფი – ლევან წულაძე, რეჟისორის თანაშემწე – ნინო კალანდაძე. სპექტაკლში მონაწილეობენ მსახიობები კოკო როინიშვილი (ჰამლეტი), პაატა პაპუაშვილი (აჩრდილი), მალხაზ აბულაძე (კლავდიუსი), ალეკო მახარობლიშვილი (პოლონიუსი), ეკა ჩხეიძე (გერტრუდა), მარიამ ნადირაძე (ოფელია), როლანდ ოქროპირიძე (ლაერტი), ჯაბა კილაძე (პირველი მესაფლავე), ნოდარ დოლონაძე (მეორე მესაფლავე), ბექა გოდერძიშვილი (მსახიობი).

შემოქმედებითი ჯგუფი აქტიურად მუშაობს და უწყვეტ რეპეტიციებს გადის იმისთვის, რომ ორიოდე დღეში მაყურებლის წინაშე შექსპირის უკვდავი ნაწარმოები ღირსეულად წარმოადგინოს. რეჟისორი მსახიობებს ბოლო მითითებებს აძლევს და არანაკლებად ღელავს, ვიდრე თავად მსახიობები.

მარჯანიშვილის თეატრის მცირე სცენაზე კი პრემიერა 5 და 6 თებერვალს გაიმართება. რეჟისორი დათო ჩხარტიშვილი თეატრის ერთგულ მაყურებელს წარუდგენს სპექტაკლს სახელწოდებით „აგნუს დეი“, რომელიც პუშკინის „მოცარტი და სალიერისა“ და „ეგვიპტური ღამეების“ მიხედვით დადგა. სპექტაკლის მხატვარი და მუსიკალური გამფორმებელი ირინა ყველიაშვილია, რეჟისორის თანაშემწე – ნინო კალანდაძე. სპექტაკლში მონაწილეობენ მსახიობები გივი ჩუგუაშვილი (ჩარსკი),

გაგა შიშინაშვილი (იმპროვიზატორი), შაკო მირიანაშვილი (მოცარტი), ჯანო იზორია (სალიერი), დათო ბელთაძე (ჩარსკის მსახური). წარმოდგენაში ასევე მონაწილეობენ „თითების თეატრის“ მსახიობები თეონა მალალაშვილი, გიორგი მებაღიშვილი, ზაალ კაკაბაძე, ელენე ფირცხალავა და მარი ავალიშვილი.

„ამბობენ, ქვეყნად სამართალი არ არსებობსო, მაგრამ ზეცაშიც არ არსებობს იგი

და ეს ჩემთვის ნათელია, ვით, უბრალო მარტივი გამა“ – ასეთია წინასაპრემიერო გზავნილი თეატრის მოყვარულებისთვის შემოქმედებითი ჯგუფისგან.

## ქეცბაიას კორექტივების შეტანა მოუწევს



ხვალ, ტირანაში ალბანეთისა და საქართველოს ეროვნულ ნაკრებთა მატჩია, რომელიც თბილისის დროით 22:00 საათზე, „ქემალ სტაფას“ სტადიონზე დაიწყება. ჯერჯერობით, უცნობია, იქნება თუ არა მატჩის ტელეტრანსლაცია.

4 თებერვალს, საღამოს, ტირანაში სრულად შეიკრიბებიან ის ფეხბურთელები, რომლებიც თემურ ქეცბაიამ ალბანეთთან ამხანაგური მატჩისთვის იხმო. ნაკრების ფეხბურთელთა უმრავლესობა ალბანეთის დედაქალაქში სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩავიდა. კვიპროსიდან გამოემგზავრა გუნდის თავკაცი თემურ ქეცბაია.

მას შემდეგ, რაც თემურ ქეცბაიამ ალბანეთში წამსვლელთა სია დაასახელა, ნაკრების შემადგენლობაში რამდენიმე ცვლილება მოხდა. პირველად, გუნდს ჯანო ანანიძე გამოაკლდა, რომელმაც ოპერაციის შემდეგ, სულ ცოტა ხნის წინ განაახლა ვარჯიში და სასურველ ფორმაში არ იმყოფება. ქეცბაიამ სიას თითქმის მაშინვე დაამატა გერმანული „ბოხუმის“ თავდამსხმელი ნიკოლოზ გელაშვილი. ნაკრებთან ერთად არ იქნება ნუკრი რევიშვილი. მის ნაცვლად კი, დიდი ხნის პაუზის შემდეგ, ეროვნულ გუნდში გამოიძახეს გიორგი მაკარიძე. სამწუხაროდ, დანაკლისები ამით არ დასრულებულა. თავის კლუბთან ერთად შეკრებაზე მყოფმა ბუბა დაუშვილმა ტრავმა მიიღო და ვერც „კარპატის“ ნახევარმცველი შეძლებს „ჯვაროსნებთან“ ერთად ყოფნას.

ლევან ყენია:

– ნაკრებში ყოველთვის ამაღლებული განწყობით მივდივარ. ვეცდებით, ალბანეთს მისსავე მოედანზე მოვუგოთ. მუნდიალზე ჩვენი გასვლის შანსებზე ვერაფერს ვიტყვი. მომავალ თვეში საფრანგეთთან გვაქვს გასვლითი მატჩი და იქ ვნახავთ.

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა